პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი

**განცხადების ტარიფი:**
ერთი გვერდი . . . . 150 მ.
ნახევარი გვერდი . . . 75 მ.
მეოთხედი გვერდი . . 50 მ.

**ხელის მოწერა:**
ერთი წლით . . . . . . . 10 მან.
სამი თვით . . . . . . . 3 „
ცალკე ნომერი ყველგან . . 50 კ.

**რედაქციის მისამართი:**
რუსთაველის პრ. № 22.
**კონტორის მისამართი:**
განათლების სახ. კომისარიატი. სახელ-გამი. ლორის-მელიქის ქ. № 5.
მიიღება ხელის მოწერა დილის 8—2 ს.

**№ 21-22** კვირა, 30 ნოემბერი, 1924 წ. **№ 21-22**

## შვეიცარიიდან პეტროგრადამდე ლენინთან ერთად*).

ეს იყო შორეულ ქვეყანაში. დიდი ხანია მას შემდეგ!.. თუ არც ისე დიდი ხანი!..

შეიდი გაზაფხული ამოეფარა მკაცრ შეიდ ზამთარს! ასე კი მგონია მას შემდეგ, რამდენჯერმე გარდავიცვალე და დავიბადე. თითქო რამდენიმე საუკუნემ განვლო, სავსემ ტანჯვებითა და ვაებით.

ეს მაშინ იყო, როცა მიმდინარე დღეები, სავსე ტანჯვებითა და ვაებით, ტკივილებს მაგრძნობინებდა. წელი წელს მისდევდა და არ სჩანდა დასასრული ცრემლთა დენის.

უცხო ქვეყანაში გადახვეწილს, მშობლიურ ალერსს მოკლებულს, მის მდინარეთა ტკბილ რუკ-რუკს შეჩვეულს, არღა დამრჩენოდა, გარდა იმედით ცხოვრებისა. უთუოდ ძნელია ემიგრანტის ყოფა-ცხოვრება. ათეული წელი ემიგრანტობისა, სავსე მატერიალური შევიწროებით, სულიერი ტანჯვებით, უძილო ღამეებით...

ღამე ბნელია და დაუსრულებელი... და ელი, ელი განთიადს... და გწამს რომ გათენდება... გათენდა კიდეც!.

როგორ იყო?.. ჰო, იმ დღეს ჩვეულებრივ დროს ავდექი და უნივერსიტეტის სამკითხველოსკენ გავწიე ანატოლ ფრანსის კრიტიკული წერილების საკითხავად. მზიანი დღე იყო, როგორ არა, კარგათ მახსოვს!.. ხომ არ შეიძლება ის დღე უმზეო ყოფილიყო!

ჩვეულებრივ, ფიქრებში გართული, მივყვებოდი კარუჟის ქუჩას. შორით შევამჩნიე ორი რუსი ამხანაგი მხიარული სახით რაღაცაზე ლაპარაკობდენ. დამინახეს თუ არა ჩემსკენ მოაშტერეს თვალები და სიცილი დაიწყეს. გაკვირვებული ვუცქერ, გული მომდის. თან ვუახლოვდები შეჭმუხვნილი წარბებით, ისინი კი სიცილს უმატებენ, ხარხარებენ...

მივუახლოვდი. ის იყო უნდა შემეყვირა, რომ შემომძახეს:

— არ იცი?.. არ იცი?.. ვაი, არ იცის, არ იცის, აი!..

— რაშია საქმე, რა უნდა ვიცოდე!—გულმოსული შევეკითხე.

— რუსეთში რევოლიუციაა! ნიკოლოზი გადააყენეს!.. ორივემ ერთად მომახალეს.

— !?!

— თუ არ გჯერა წადი იყიდე „La tribune" და ყველაფერს გაიგებ.

ეს ამბავი მოსალოდნელი იყო.

მაშინვე მოვკურცხლე მოედნისკენ, სადაც ჩვეულებრივათ გაზეთებს ჰყიდდენ. მაგრამ ორი ფეხი არ მყოფნიდა ჩქარა მისასვლელად. შორიდან ვხედავ გაზეთის გამყიდველს! მინდა დავუძახო, მაგრამ შორს არის. და ის პატარა მანძილი, გძელი და დაუსრულებელი შეიქნა ჩემთვის მაშინ.

ვუახლოვდები. მესმის გაზეთის გამყიდველის ძახილი: Demendez la tribune! revolutin en Russie!., la tribune, revolution, tribune!..

მისთვის ეს უშინაარსო სიტყვებია და იმნაირივე კილოთი გაიძახდა, როგორც სხვა დროს, რომელიმე სენსაციური ამბის შესახებ, ოღონდ ნომერი გაზეთისა გაეყიდა.

მიველი და გაზეთს ხელი ვტაცე. ხუთი სანტიმის მაგიერ ათი სანტიმი მიეეცი და გამოვტრიალდი.

გადავშალე გაზეთი, წავიკითხე. დავრწმუნდი რომ სინამდვილე იყო...

მთელი არსება კრთის, ცახცახებს...

უცბათ მოსწყდა მთელი წარსული, როგორც მაღლობ გორაკიდან დაშვებული გამხმარი ბელტი ფხვიერად იქცა და სადღაც უფსკრულში გაქრა. გაზეთს ვკითხულობ და აქეთ იქითაც ვიცქირები. და ეს დიდი ხნის ნაცნობი ქუჩები და ვიტრინები, თითქოს სიზმრად მენახოს და არა სინამდვილეში.

ბეჭებში ხელის დარტყმამ გამომაფხიზლა; მივიხედე. ამხანაგი მოღიმარი სახით.

— მაშ, მივდივართ, მივდივართ რაღა!.. ხომ გეუბნეოდი ამ დღეებში იქნება რამე მეთქი, შენ კი არ გჯე-

*) ვბეჭდავთ დ. ლიხელის წერილს. ეს წერილი მით უფრო საინტერესოა, რომ ავტორი არ ეკუთვნის კომ. პარტიას.

როდა! ახლა?—სალამოს მიტინგია დანიშნული maison du peupl-ში, ხომ მოხვალ?..

კიდევ გვხვდებიან ჯგუფები ამხანაგებისა. ყველას მოღიმარი სახე აქვს, ყველა წასვლაზე ლაპარაკობს და ამ მხიარულებას ერთი მწარე ნოტა ხელს უშლის. რომელი გზით წავალთ! და ამაზე ფიქრი ყველას გვაწუხებს, გვაღონებს.

ვფიქრობდით რომ არც საფრანგეთი, არც ინგლისი თავის ტერიტორიით არ გაგვიშვებდა. სხვა გზა კი არ იყო, რადგან გარშემო მთლათ საომარი ფრონტით ვიყავით შემორტყმული.

გადიოდა დღეები. ჩვენი აზრი რომ მოკავშირეები რუსეთში არ გაგვიშვებდენ, გამართლდა. მათთვის ხელსაყრელი არ იყო, რევოლიუციონერების იმ დროს რუსეთში გასვლა. მგზავრობა კი მხოლოდ მათ ტერიტორიაზე გავლით შეიძლებოდა.

ჩვენი მდგომარეობა მეტად ნერვიული შეიქნა.

მთელი დღეები იმის ფიქრში გადიოდა, თუ როგორ, რა გზით მოგვეხერხებინა წასვლა. შევხვდებოდით ერთმანეთს და მხოლოდ ამაზე ვბაასობდით.

ათეული წლების ემიგრაციაში ყოფნის შემდეგ იქმნება შესაძლებლობა სამშობლოში დაბრუნებისა და ამ დროს წასასვლელი გზა აკრძალულია! დაღვრემილები დავიარებოდით ნაცნობ ქუჩებზე...

უმწეოებს, დაბნეულებს, მდგომარეობასთან შერიგებულებს, მოულოდნელათ მოგვესმა ხმა:

„არის გზა!... მე გასწავლით, როგორ უნდა რევოლიუციისკენ წასვლა! გამომყევით ვისაც გინდა, მე მიგიყვანთ რუსეთში და მე გაჩვენებთ რევოლიუციას!..

ეს ხმა იყო დიდი ემიგრანტის, ეს იყო ხმა ამხ. ლენინის.

ემიგრაციაში ამ ძახილმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია. განცვიფრებულნი და თითქმის გაბოროტებულნი ყველა მიმართულების სოციალისტები მიუღებლათ სთვლიდენ ასეთ თავხედობას.

„როგორ! განა დასაშვებია, რომ ჩვენს მოწინააღმდეგე მეომარ-სახელმწიფოს გერმანიის ტერიტორიით რუსეთში წავიდეთ? მერე, რას იტყვიან ჩვენი თანამემამულეები? განა ეს გამყიდველობა არ იქნება? მერე, რა უნდა ვუპასუხოთ ჩვენ ამაზე? ან შეგვიშვებს განა დროებითი მთავრობა რუსეთში ამ გზით რომ წავალთ? მერე, რატომ გამოგიშვათ გერმანიამ, განა არ იკითხავენ ისინი? არა, არა! ამ გზით წასვლა გიჟობაა!..“

ასე გაიძახდა თითქმის მთელი ემიგრანტობა.

რიგი ორატორებისა გამოდიოდა ამ კითხვის გამოსარკვევათ საგანგებოთ დანიშნულ კრებაზე და თითქმის ყველა ალიარებდა ამ აზრის მიუღებლობას და ჰკიცხავდა ამხ. ლენინს და ყველას, ვინც ამ გზით წავიდოდა.

მაგრამ, მაშინ ვინლა ილენინებდა, თუ ერთხელ გადაწყვეტილ აზრს, მიუხედავათ უამრავი დაბრკოლებისა, ლენინი ცხოვრებაში არ გაატარებდა!

ყოველი დებულება, ლენინის მიერ პირველათ წარმოთქმული, მსმენელში განცვიფრებას იწვევს. მიუღებელი მიგაჩნია იგი! ხოლო შემდეგში, შენდა შეუცნობლად გამოირკვევა ის და მაშინ მთელის არსებით და გატაცებით ეძლევი მას. მიენდობი მას, ჰგრძნობ სიმტკიცეს, ენერგიას, გაბედულებას...

და... безумству храбрых поем мы песню!.. ვინც გაბედავდა ყველას, განურჩევლათ პარტიულობისა, შეეძლო ლენინთან ერთად მგზავრობა. მთელი შვეიცარიის ემიგრაციაში, რომლის რიცხვი რამდენიმე ათასს უდრიდა, წამსვლელი აღმოჩნდა მხოლოდ ოცდაათი.

ლენინის თვისებას ესეც შეადგენდა: მიიღებდა თუ არა ერთ გამორკვეულ აზრს, მის შესასრულებლათ დაყოვნება არ იცოდა, სისწრაფით და ენერგიით შეუდგებოდა კიდეც მის შესრულებას.

ესეცაა: რევოლიუციისთვის დაბადებულს, თვით განხორციელებულ რევოლიუციას, განა შეეძლო უმოქმედობა, დუმილი, მაშინ როცა მის მშობლიურ ქვეყანაში კოცონი უკვე ანთებული იყო?..

მაშ, როგორ არ უნდა გადაელახა მას ყოველი დაბრკოლება, რომ ამ კოცონისთვის თავისი ცეცხლიც მიემატებინა...

და ასეთი გაშმაგებით ისწრაფოდა იგი რუსეთისკენ.

მაშინ ლენინი ბერნში ცხოვრობდა. წასასვლელადაც იქ უნდა შევკრებილიყავით.

შეკრების დღეც დაინიშნა.

ჟენევიდან ხუთი თუ ექვსი წავედით ბერნში. მათს შორის ორი ქართველი, მიხა ცხაკაია და ამ სტრიქონების დამწერი.

სწრაფი იყო გადაწყვეტილება. ერთი დღის განმავლობაში უნდა მოვემზადებულიყავით. ვემშვიდობებოდი ამხანაგებს, ნაცნობებს, ქუჩებს, ჟენევის მიდამოს, უნივერსიტეტს, ჩემს კეთილ დიასახლისს...

ათი წელი ემიგრანტობისა სამარეში ეშვებოდა. იშლებოდა ახალი ჰორიზონტი, ახალი გატაცება, ახალი გადავარდნა....

სადგურზე მრავალი გამცილებელი მოვიდა. ერთმა წითელი აბრეშუმის ცხვირსახოცი გადმოგვცა, პატარა ჯოხზე გავაკეთეთ და ვაგონის ფანჯარაში გამოვფინეთ.

ფანჯრიდან გამცილებლებს ვუცქეროდით მოღიმარი სახით და ვამჩნევდით, რომ ისინი შეგვნატროდნენ ჩვენ, თანაუგრძნობდნენ ჩვენს გაბედულობას... En voitur!.. დაიძახა კონდუქტორმა. ვაგონის კარები დაიხურა და მატარებელიც დაიძრა.

„ვაშა!.. vive la revolution!“. დაიძახეს გამცილებლებმა და ცხვირსახოცის და ქუდების ქნევით გამოყვენ მიმავალ მატარებელს.

მალე სადგურს გავცილდით. თვალი გადავავლეთ ჟენევის მიდამოს, ჟენევას ტბას, შორით ამაყათ ამართულ Montblanc-ს და ვაგონის სკამებზე დავეშვით.

ათი წელი ემიგრანტობისა გამოუცნობ შავი მანტიით აფარებულ დროს ჩაბარდა.

ღამის ათი საათი იყო ბერნში რომ მივედით. მეორე დღეს უნდა გავსულიყავით ბერნიდან. ვერც ლენინი ვნახე იმ ღამეს. თათბირი ჰქონდათ ადგილობრივ პარტიულ ამხანაგებთან კონსპირატიული. სასტუმროში მოვთავსდით.

მიხა ცხაკაიამ და მე ერთი ნომერი დავიჭირეთ. დაწოლის წინ სასტუმროს მსახურმა ქაღალდი შემოიტანა, სადაც ჩვენი გვარი, სახელი და პროფესია უნდა აღგვენიშნა. მე დავიწყე წერა.

ძველი, პარტიულ მუშაობაში კონსპირაციას მიჩვეული მიხა მეკითხება:



ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.
მარჯვნიდან მარცხნივ: სოკოლნიკოვი, ელიავა, ჩერვიაკოვი, ნარიმანოვი, სკრიპნიკი, ცხაკაია.

— „რას შერები, ნამდვილ გვარსა სწერ?

— მაშ, რა უნდა დავწერო, აპა? განცვიფრებით შეეკითხე.

— ჰო, კარგი! დასწერე, დასწერე! ჟურნალისტი ხარ და ეს. ხოლო იმას ნუ დასწერ თუ რუსეთში მივდივართ! რა საჭიროა!..

— კარგი, ეგრე იყოს!.. დავეთანხმე. მსახური გავისტუმრე.

— საზოგადოთ არაა საჭირო იცოდენ ვინ ვართ, სად მივდივართ, რისთვის მივდივართ!.. მეუბნება მიხა.

ჩვენ-ჩვენს ლოგინზე წამოვწექით. არ გვეძინებოდა, ენერვიულობდით. პაპიროსს ვწევდით.

დილას რომ ავდექით, გავიგეთ რომ 12 საათზე სადგურზე უნდა მოგვეკრიფა თავი წასასვლელათ და ლენინსაც აქ ვნახავდით.

დანიშნულ დროს მივედით სადგურზე. ამხანაგების დიდ ნაწილს უკვე მოეკრიფა თავი. ერთი ჯგუფი მიტანილ ბარგთან იდგა, ჩვენც მათ შევუერთდით. იქ იყო ლენინის მეუღლე კრუპსკაია.

ლენინი არ ჩანდა. ადგილობრივი ამხანაგები დაფუსფუსებდენ ბილეთების ასაღებად და ბარგის ბაგაჟში მისაცემად.

სხვა ამხანაგებთან ერთად მალე მოვიდა ლენინიც.

წინათაც ბევრჯელ მინახავს იგი, ხოლო ასეთი მოუსვენარი სახე მას არასდროს ჰქონია. ყველას ჩამოგვართვა ხელი, მოიგონა ვის სად შეხვედრია ჩვენგანს, განსაკუთრებული ღიმილით და ალერსით შეხვდა მიხა ცხაკაიას. ზინოვიევიც იქ იყო, ხოლო რადეკი მგონი ციურიხში შეგვიერთდა.

მატარებელიც მოვიდა. ყველამ თავის კალათს წამოავლო ხელი. ვაგონისკენ გავეშურეთ. გამცილებლები აქაც ბევრი იყო.

ჟენევიდან ჩამოსულები ავერიეთ ბერნელ ამხანაგებში, ვეცნობოდით ერთმანეთს, ვაგონის ფანჯრიდან გავცქეროდით შვეიცარიის გორაკებს და უკანასკნელ სალამს ვუძღვნიდით.

ბერნელ ამხანაგებისაგან გავიგეთ შემდეგი: ლენინს ტელეგრამა მოსვლია ჟენევიდან, სადაც ერთ ჯგუფს ამხანაგებისას გადაუწყვეტია წამოსვლა და ითხოვენ ორი დღით დაცდას. ხოლო ლენინი არ თანხმდება. ამბობს, ასე რომ გავყვეთ, მე ვიცი ყველა მოვა ჩვენს გადაწყვეტილებამდე და მათ რომ ვუცადოთ, დრო არ არისო.

შემდეგში ეს მართლაც ასე მოხდა და მთელი ემიგრანტობა იმავე გზით ჩამოვიდა რუსეთში.

ციურიხში რამდენიმე საათი გავჩერდით, ხოლო ციურიხელი ემიგრანტების ახალშენი ძალიან მკვახეთ შეგვხვდა.

სადგურზე მოვიდა ათეული ამხანაგი და როცა ჩვენ უკვე ვაგონში ვისხედით ყვირილით და სტვენით არ გვასვენებდა. „Изменники, предатели!“... გვეძახდენ და იმუქრებოდენ.

ჩვენ ფანჯარასაც არ გავკარებივართ. ლენინიც ამასვე გვირჩევდა. პასუხი არ გაგვიცია. სანამ მატარებელი არ დაიძრა ისინი ჩვენს ვაგონთან იდგენ და ილანძღებოდენ.

დაბოლოს მოგვესმა კონდუქტორის „vertig.“—და მატარებელიც დაიძრა. ციურიხიდან ჩვენ გამოგვყვა შვეიცარიის სოც.-დემოკრატიული პარტიის მდივანი ამხ. პლატენი.

ლენინის სახე კვლავ მოუსვენარი და დაღვრემილი იყო. მისი პაწია თვალები სულ მთლად მიიმალენ ქუთუთოებში. ხმას არ იღებდა.

როცა შვეიცარიის საზღვარს მივადექით და იქაურმა მოხელეებმა ჩვენს ბარგს ჩხრეკა დაუწყეს, ჩვენ განცვიფრებული დავრჩით, რადგან მათი მოქცევა ჩვენდამი აშკარა მტრული იყო და სულ უბრალო ნივთს გვიდავებოდენ.

მრავალი ხორაგი, სამგზავროდ ნაყიდი და ნივთები წაგვართვეს. ამხ. პლატენი იძულებული შეიქნა შესაფერი ტელეგრამა გაეგზავნა ასეთი უდიერი მოქცევის შესახებ, სადაც ჯერ იყო.

გადავედით გერმანიის საზღვარზე, ვაგონიდან ჩამოვედით ჩვენი ბარგით. ზრდილობიანათ გამწკრივდენ სადგურის მოხელენი, გზა გაგვიკეთეს და ყველა ერთს ოთახში მოგვათავსეს.

ომამდის მიცხოვრია გერმანიაში, ვიცნობ გერმანელ ხალხს. მათ კმაყოფილ, დაწყნარებულ და ჟინჟღლიან სახეს, ხოლო ომის დროის გერმანელები სრულიად არ ჰგავდენ წინანდელ გერმანელებს.

მათი ფერმკრთალი სახე, ახლა მოუსვენარი და ნერვიული იყო. და მე ვიგრძენი ამ დევ-გმირი ხალხის სულისკვეთება, რომელსაც მთელი ქვეყანა დახვეოდა და ცეცხლის ალი ერტყა. როგორც ბუნაგში მომწყვდეული დათვი, გააფთრებით იბრძოდა და იმედი გამარჯვებისა მუდამ გულში ჰქონდა.

არ ვიცი რად, ხოლო გერმანიის ტერიტორიაზე რომ ფეხი დავდგი, გამოურკვეველმა საშიშროებამ, მიუწვდომელმა კრთომამ ამიტანა. თითქო მოვწყდი ქვეყნიე-

რებას და ვიმყოფები ტყვედ, ხოლო ტყვედ გმირთა გმირის და ზღაპრულ ქვეყანაში.

საღამო ხანი იყო. მალე მოვიდა მატარებელიც ჩვენთვის განსაკუთრებული რბილი ვაგონი ჰქონდა მიბმული, სადაც ჩვენ მოვთავსდით და მთელი გერმანიის ტერიტორიაც ამ ვაგონით გავიარეთ დაკეტილი კარებით.

არც ერთ სადგურზე არ გავჩერებულვართ. მხოლოდ ბერლინში დავდექით თითქმის მთელი დღე.

გავცქეროდით სადგურს, სადაც მოძრაობა ძალიან შენელებული იყო. აღარ იყო წინანდელი ხშირი მიმოსვლა მატარებლების და აღარც მგზავრების.

ძალიან მოგვბეზრდა დაკეტილ ვაგონში ყოფნა და როცა გერმანიის საზღვრიდან გემში ჩავსხედით შვეციისკენ გასამგზავრებლად—თავისუფლად ვიწყეთ გემის ბანზე სეირნობა, ყველას სახეზე ღიმი კრთოდა.

ეს გემი საბარგო იყო და მის ბაქანზე ორ წყებათ საქონლის ვაგონები იდგენ. პასაჟირები კი მხოლოდ ჩვენ ვიყავით.

გავიფანტეთ ბანზე და გავცქეროდით შორეულ სივრცეს.

ახალგაზრდობა ერთ ალაგს შეჯგუფდა და რევოლიუციური სიმღერის მღერა იწყო. შუაში ერთი ახალგაზრდა, ალგზნებულის თვალებით და ყელში დაჭიმული ძარღვებით ერთს სიმღერას მეორეთი სცვლიდა და სხვებიც მას მიყვებოდენ. მარსელიოზას კარმანიოლა მოსდევდა, კარმანიოლას ინტერნაციონალი და ასე სხვა რევოლიუციური სიმღერები.

თუმცა გემი ძალიან დიდი და საკმარისად დატვირთული იყო, მაგრამ ღელვისა გამო ძლიერ ქანაობდა. ყველა თავს ვიკავებდით, რომ ზღვის ავადმყოფობა არ დაგვმართოდა.

მგონი ამის ბრალი იყო, რომ ლენინი გამწარებული, გაფითრებული ბანზე ჩქარი ნაბიჯით მიდი-მოდიოდა და ეტყობოდა რაღაცას ებრძოდა და სძლევდა.

ღელვა იმდენად გათავხედდა, რომ ბანზე ტალღის შხეფები ისროლა, რამაც ლენინი დაასველა.

— ესეც შენ, ამხანაგო ილიჩ! ეს პირველი რევოლიუციური ტალღაა რუსეთიდან მონაგორი, რომელმაც კოცნა გიძღვნა!.. იხუმრა ერთმა.

ლენინი კი იცინოდა და ცხვირსახოცით წვეთებს იცლიდა.

როცა ის იცინოდა მისი ისედაც პატარა თვალები, მთლად ილულებოდენ და მოკლე ხაზად ციმციმებდენ წინ გადმოდგმულ ტიტველა შუბლის ქვეშ. იყო რაღაც თავისებური მის ღიმილში.

გემი ტალღებს მიარღვევდა და შვეციის შქერიან ნაპირებს გვიახლოვებდა.

გემის რწევამ დაგვღალა. მოაჯირს მივადექით, ტალღათა მსხვრევას ვუცქეროდით.

მალე გამოჩნდა ქალაქი მალმე. წყნარა და ნელა მიადგა გემი ნავთსაყუდარს და რწევაც შეწყდა.

მალმეში არ შევჩერებულვართ. იმ ღამესვე გავედით სტოკჰოლმში და დილის ათ საათზე იქ ვიყავით.

სტოკჰოლმში მოგველოდენ ადგილობრივი სოც.-დემოკრატები. ჩვენთვის გამზადებული იყო საუკეთესო სასტუმრო—რესტორანი. წეროებივით გავემართეთ სტოკჰოლმის ალმართიან ლამაზ ქუჩებით სასტუმროსკენ.

სასტუმრო დარბაზში ჩვენთვის გამზადებული იყო საუზმე. შუა გულ დარბაზში გამართულ მაგიდას გარს შემოვერტყით და ფეხზე მდგარი ვსაუზმობდით. უხვად იყო მაგიდაზე ჩამწკრივებული სხვადასხვა საჭმელი.

საუზმიდან სადარბაზო ოთახში შევგროვდით. აქ გვიცდიდენ ადგილობრივი სოც-დემოკრატიის ორგანიზაციის წარმომადგენლები.

პატარა ბანკეტი გაიმართა. სიტყვები წარმოსთქვეს გაზეთი „Politiken"-ის და სოც.-დემოკრატიის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, გვილოცავდენ რევოლიუციას და გვისურვებდენ მის ნაყოფიერ დამთავრებას. მათ უპასუხა ლენინმა და ზინოვიევმა.

სრულიად გამოიცვალა ლენინის სახე. თვალები ბრწყინავდენ; განკარგულებებს იძლეოდა, ჩქარობდა, ადგილობრივ ამხანაგებს ავალებდა, რომ იმ დღესვე მოეხერხებინათ ჩვენი მატარებლით გამგზავრება.

სწერდა ტელეგრამებს პეტროგრადში. ერთი ტელეგრამა კ. ჩხეიძესაც გავუგზავნეთ მიხა ცხაკაიას და ჩემის ხელმოწერით, რათა მას თავის მხრივ მიეღო ზომები, რომ მისვლისას კადეტურ მთავრობას არ დავეტუსაღებინეთ.

აქვე უნდა მომზადებულიყო რუსეთში შესასვლელი ვიზები. ამის გარდა ჩვენ გამოგვიცხადეს, რომ ხელნაწერის და ზოგიერთი წიგნის შეტანა რუსეთში შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ ყველა თავის ბარგს ათვალიერებდა, ხელნაწერებს ადგილობრივ ამხანაგებს ვუტოვებდით ჩვენის მისამართებით, შემდეგში გადმოსაგზავნათ.

დაგვესიენ გაზეთების კორესპონდენტები. იმ დღეს უკვე გამოსულიყო „Politiken"-ი ლენინის სურათით და ბიოგრაფიით.

კორესპონდენტების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მიხა ცხაკაიამ როგორც უხუცესმა ჩვენს შორის. მეც დაწვრილებით ვაცნობდი კორესპონდენტებს მის ბიოგრაფიას, მის არალეგალური მუშაობის ისტორიას, მის დატუსაღებას, დევნას, კვლავ პარტიაში მუშაობას და სხვა. განსაკუთრებულ ხაზს ვუსვამდი იმას, რომ იგი საქართველოს სოც-დემოკრატიული პარტიის მამა მთავარია და თვითმპყრობელობის მიერ დევნილი. ათეული წელი ემიგრაციაში იმყოფებოდა და ეხლა კვლავ ბრუნდება საქართველოში, რა სათავეში ჩაუდგეს საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიას.

ხოლო მიხა ალბათ მეტად სთვლიდა ჩემს დაწვრილებით ცნობების გადაცემას. ეკრძალებოდა გაზვიადებას და მეუბნებოდა:

„აბა, რა საჭიროა ყველაფერი ეგ! კმარა! საქართველოში მივდივარ თუ სადაცა ეგ სულ ერთია! მე მივდივარ კოსმოსის ერთს პატარა კუთხეში"...

სტოკჰოლმიდან იმ დღესვე გავედით. ლენინის კუპეში მოვხვდი და პეტროგრადამდე მასთან ვიყავი.

სადგურს დავცდით თუ არა ლენინმა საიდგანღაც ამოიღო გროვა რუსული გაზეთებისა, სტოკჰოლმში ამხანაგებმა რომ მიუტანეს, გაიძრო პიჯაკი, ავიდა ზევით საწოლზე, აანთო ელექტრონი, წამოწვა და იწყო გაზეთების კითხვა.

Володя, ты же так простудишься! შენიშნა მეუღლემ და უნდოდა ზევიდან საფენი დაეხურა, მაგრამ ლენინმა არ ჰქნა!

მეც მის პირდაპირ მეორე ძნარეს წამოვწექი და თვალყურს ვადევნებდი როგორი გაფაციცებით ათვალიერებდა და სიჩქარით კითხულობდა გაზეთებს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცნობებს რუსეთის რევოლიუციის მსვლელობის შესახებ შვეიცარიაში ჩვენ მხოლოდ ტელეგრამების საშვალებით ვგებულობდით, ასე რომ მხოლოდ შვეციაში მოგვეცა შემთხვევა სწორე და უშუალო ცნობები მიგვეღო სტოკჰოლმში მოსულ გაზეთებიდან და ამა თუ იმ კრების ან სხდომის სიტყვები წაგვეკითხა.

მატარებელი მიგოგმანებდა წყვდიადით მოცულ სივრცეში.

ჩვენს კუპეში მყუდროება და სიჩუმე იყო; მხოლოდ ისმოდა გაზეთის ფურცლის სწრაფი შრიალი და ხმამაღლა წამოსროლილი ლენინის სიტყვები: „ах каналья!.. ах изменник! და კარანდაშით ხაზის გასმა გაზეთის ფურცელზე.

ჩვენ ვიცოდით, რომ ეს სიტყვები ჩხეიძეს ან წერეთელს შეეხებოდა, რომელიმე მათ მიერ წარმოთქმული სიტყვის გამო და ჩვენთვის ვიღიმებოდით. „прихвостни, изменники!.. კიდევ კარანდაშით ხაზის გასმა.

არა, ეს სიტყვა სოციალ-დემოკრატი იმდენათ გაახსირდა, რომ ჩვენ უნდა თავიდან მოვიცილოთ იგი! სირცხვილია ამ სახელის ტარება! ჩვენ უნდა სხვა სახელი დავირქვათ!..

მოგვმართა მან ანთებული თვალებით, რომლებიც ელექტრონის სინათლეზე სანთელივით ციმციმებდენ.

კვლავ გადაბრუნდა. ტიტველი მოზდილი თავი კედლისკენ მიაფარა და გაზეთის კითხვა განაგრძო.

დიდ ხანს იბორგა საწოლზე ფიჯაკ გახდილმა. წაკითხულ გაზეთს იქვე ფეხებთან ისროდა და ახლა სხვა გაზეთს შლიდა.

ანთებული ელექტრონი არ მაძლევდა დაძინების საშვალებას. ქვეით საწოლზე მისი მეუღლე ჩურჩულებდა მზრუნველობით: „что мне делать, Володи простудится, он без пиджака!" და ვერც ბედავდა, რომ კიდევ შეეთავაზებინა სახური.

მეორე დილას, როცა ჩაის ვსვამდით ვაგონის ფანჯრის წინ და ტყეს გავცქეროდით, რომლის მაღალი ტანი ლარივით ამართული აბხეულათ გარბოდენ ჩვენს თვალ წინ, ლენინის მეუღლე კი ბუტერბროტებით გვიმასპინძლდებოდა,—ლენინმა სთქვა: „აი მივალთ რუსეთში და გერმანიის ამხანაგების მსგავსად დავაარსებთ ისეთ გაზეთს, როგორიც სპარტაკია, ოპოზიციაში ჩავუდგებით სოციალ-დემოკრატებს და ვაიძულებთ რაც შეიძლება მარცხნივ იარონ. ვამხელთ მათ უპრინციპობას, ოპორტუნისტობას, ჩვენ კი მათთან თანამშრომლობას არ გავწევთ"...

ჩაის სმა რომ გავათავეთ ლენინი მეუბნება:

„გადით, ჩამოუარეთ ყველა კუპეს და უთხარით კორიდორში მოგროვდნენ. უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ დავიჭიროთ თავი, რა უნდა ვთქვათ, თუ ვინცობაა რუსეთში შესვლისას კადეტების დროებითი მთავრობა დაგვატუსაღებს"...

მეც ჩამოვუარე ყველა კუპეს და ლენინის განკარგულება გადავეცი. ხოლო კუპეებიდან არავინ გამოსულა კორიდორში.

ლენინი შემეკითხა: „რა ქენი, გამოვიდნენ თუ არა კორიდორში?"

ვუთხარი ყველას, მაგრამ არ გამოსულან!

მერე და როგორ ვერ უთხარი ისე რომ გ ა მ ო ს უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ.

მაშინ ვერ მივხვდი ამ სიტყვების მნიშვნელობას. ეხლა მესმის თუ როგორ უნდა მეთქვა ლენინისებურად ი ს ე რ ო მ გ ა მ ო ს უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ

მაშინ გავწითლდი, ვერაფერი ვუპასუხე. თვითონ ჩამოუარა.

როცა ვიწრო კორიდორში მოვგროვდით ლენინმა განგვიმარტა თუ როგორი შეტევითი ხასიათი უნდა ჰქონოდა ჩვენს სიტყვებს მათ წინაალმდეგ. ბრალდებულის სკამზე თვით ისინი უნდა დაგვესვა და ბრალდებაც ის უნდა წამოგვეყენებინა, რომ იმათ სრულიად არ იზრუნეს ჩვენზე და რუსეთში წამოსასვლელი გზა არ აღმოგვიჩინეს, რომ მათ არაფერი წინადადება არ მისცეს მოკავშირეებს, რომ ემიგრანტები გამოეშვათ რუსეთში.

ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ და ისევ კუპეებში დავბრუნდით.

მალე მივადექით ფინეთის საზღვარს.

გაყინული პატარა მდინარე ტორნეო ციგებით გადვიარეთ და სადგურში შევედით.

აქ პირველათ შევხვდით რუსეთის რევოლიუციურ სალდათებს. ყველას სახეზე სიხარული და აღფრთოვანება იხატებოდა. გვინდოდა ყოველი სალდათი დაგვეკოცნა. თან კი ბურუსიან გაკვირვებას ვგრძნობდი, ჩემს თავს ვეკითხებოდი: ამ ათეული წლის წინათ ასეთმა სალდათებმა დამიჭირეს და ციხეში ჩამსვეს. ახლა იგივე სალდათები მანთავისუფლებენ ტყვეობიდან.

მალე სათითაოდ გამოგვკითხეს, ოფიცრებმა დაგვკითხეს და საანკეტო ფურცელი შეგვავსებინეს. ამხ. პლატენი მაშინ არ შეუსვეს რუსეთში.

როცა მატარებელში ჩავსხედით, ლენინის აქნამდის შეკავებული ღიმილი ახლა აშკარა სიცილად გადაიქცა. ვერ მალავდა სიხარულს, აღტაცებას. თვალები ციმციმებდენ, ულვაშები განზე იწევდენ.

ჩვენს კუპესთან თავს იყრიდენ ამხანაგები და თითქოს აქნამდის დაგუბებულმა, თავში მოგროვილმა აზრებმა, გამოსავალი ნახეს,—აჩხრიალდა ნაკადულივით და გვაუწყა ის დებულებანი, რომელიც ლენინს უნდა განეხორციელებინა რუსეთში ჩასვლისთანავე.

ერთი ასეთის ბაასის დროს შემეკითხა ლენინი:

— როგორ გგონიათ, საქართველო გამოეყოფა რუსეთს თუ არა?

— არა მგონია გამოეყოს, ხოლო ავტონომიას კი მოითხოვს უსათუოდ!

— თუგინდ გამოეყოს კიდეც, ხოლო შემდეგში ისევ შემოგვიერთდება!..

— და თუ ახლა ავტონომიას მოითხოვს, უნდა დავუჭიროთ მხარი თუ არა?

— რასაკვირველია! უსათუოდ! მიპასუხა.

— აი, ხომ ხედავ, რას ამბობს ლენინი ავტონომიის შესახებ! ვუთხარით მიხა ცხაკაიას კერძო ბაასში.

— მეც სწორეთ მაგას ვამბობ! და ყველა ის დებულებანი, რასაც ახლა ლენინი ხსნიდა მეც აგრეთვე მაქვს წარმოდგენილი, ხოლო სიჩქარის გამო ვერ მოვას-

წარი წამომელო თან ის ჩემი ნაწერები, რომელიც ქენევაში დამრჩა, თორემ ლენინს ვაჩვენებდი და მასაც გაუხარდებოდა რომ ჩვენ ორივეს ერთნაირი წარმოდგენა გვქონია რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაზე.

ჰელსინგფორსის მახლობლად ჩვენი მატარებლის ერთი ვაგონი სალდათებით გაივსო. ბევრი ამხანაგი გავიდა მათთან. ვეკითხებოდით ემცნოთ ჩვენთვის უფრო დაწვრილებით, თუ როგორ მოხდა რევოლიუცია პიტერში, რა განიცადეს მათ ფრონტზე, რა მონაწილეობა მიიღეს თვით მათ იმ ხანებში და სხვა.

ლენინიც გამოვიდა იმ ვაგონში. ისიც უსვამდა თავისებურ კითხვებს და როცა მათი პასუხიდან თავის დებულების დამამტკიცებელ საბუთებს მიიღებდა, მაშინვე ჩვენ მოგვმართავდა: უსმინეთ, უსმინეთ!..

ვიბორგში მუშათა მანიფესტაცია დაგვიხვდა დროშებით. ზინოვიევმა სიტყვით მიმართა მათ. აქვე შეგვხდენ კამენევი და სტალინი (ჯუღაშვილი).

ჩვენი აღფთოვანება საზღვარს სცილდებოდა. თვალები გაგვიფართოვდა, ერთმანეთს ველარ ვცნობდით. გულის ძგერა მატულობდა.

ღამე იყო, როცა პეტროგრადში შევედით ფინეთის სადგურით.

სინემატოგრაფული სურათივით მახსოვს შემდეგი: მატარებელი გაჩერდა. სადგურის ბაქანი სავსეა ხალხით. ჩვენი ვაგონის წინ გამწკრივებულია ორ რიგათ ჯარისკაცები, მატროსები თოფებით და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გვესმის: Ленина давайте нам сюда, Ленина!...

გაიყვანეს ლენინი. დანარჩენები ფანჯრებსა ვართ მიცვენული და სურათს ვუცქერით. გვესმის კომანდა. წყება გაიპო შუაზე და გასავლელი ალაგი დასტოვა. „на караул!..“ ამართეს თოფები შუბლის წინ. შუაში ჩაატარეს ლენინი, მერე უკანვე ამოატარეს დიდი თაიგულით. განცვიფრებისაგან დაბნეული ვართ!

ახლა, როდესაც ჯარიც ჩვენს ხელშია და სხვაც,— არაფერი განსაცვიფრებელი სურათი არ არის მსგავსი რამ. მას შემდეგ ლენინის წინ ათასობით და ათიათასობით გაუვლია ჯარს. ხოლო მაშინ, ასე მოულოდნელათ ჩვენთვის, როცა პირველათ დავინახეთ ჯარის პატივისცემა რევოლიუციის ბელადის წინაშე,—ჩვენს განცვიფრებას და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა!

ლენინი უცბათ გაიზარდა, აეიდა ზევით და ახლა მიუწდომელი გახდა ჩვენთვის...

მერე დიდ დარბაზში შევედით. იქ მისასალმებელი სიტყვები უთხრეს ლენინს ჩხეიძემ და სხვა პარტიების წარმომადგენლებმა. ლენინმაც უპასუხა.

შემდეგ გარეთ გავედით.

მახსოვს პროჟექტორები, ავტომობილები, ფაიტონები. ავირ-დავირიეთ ერთმანეთში. ლენინი ავტომობილში ჩასვეს და გააქროლეს. ჩვენ კი ფაიტონებით წაგვიყვანეს.

მოველოდდით დატუსაღებას. ასეთი აღფრთოვანებული კი დახვდა ლენინს პეტროგრადის პროლეტარიატი, რასაც არც თვით მოელოდდა.

მეორე დღეს პეტროგრადი გაიყო ორ ბანაკათ:

ლენინის ჩამოსვლის მომხრენი და მისი მოწინააღმდეგენი.

ჩამოსვლის შესახებ გავრცელდა მრავალნაირი ცრუ და ყალბი ხმები.

ჰაერი გაიჟღინთა ლენინის სუნით. ბევრი ტკბილათ ყნოსდა მას, ბევრი მწარეთ...

მაშინ იყო პეტროგრადი და იყო ლენინიც! ლენინის მომავალი წინ იყო, პეტროგრადი მას მისდევდა. დაბრკოლება უამრავი იყო. ლენინი ერთი იყო...

მახსოვს სათათბიროს შენობის ერთ ოთახში პარტიული სხდომა, ეს იყო მეორე თუ მესამე დღეს ჩამოსვლის შემდეგ. ამ სხდომაზე მხოლოდ პეტროგრადის— ბოლშევიკური კომიტეტის წევრები და რამდენიმე პროვინციებიდან ჩამოსული მოწინავე მუშები დაესწრენ.

პირველად აქ გააკეთა ლენინმა თავის მოხსენება. მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე პროვინციებიდან ჩამოსული ამხანაგები. უნდა გენახათ მაშინ ლენინი, როცა რომელიმე მოწინავე მუშა გვისურათებდა თუ როგორ მოხდა რევოლიუცია ამა თუ იმ ქალაქში და როგორი გამოძახილი მიიღო მან ქარხნებში. უბრალოდ მოთხრობილი ამბავი მისთვის განძიანი მასალა იყო თავისი დებულების განსამტკიცებლად და ურწმუნოთა დასანახვებლათ, ხშირათ ჩაურთავდა ხოლმე: უსმინეთ! უსმინეთ!

ამავე სხდომაზე გამოვიდა ლენინი შეურიგებელი მოწინააღმდეგე მენშევიკებთან გაერთიანებისა. პეტროგრადის მუშებში მაშინ ეს კითხვა დღის წესრიგში იყო დასმული და პეტროგრადის ბოლშევიკური კომიტეტიც ამ გზაზე იდგა.

მახსოვს კუთხეში მდგარი კამენევი გძელ ულვაშებს რომ თითებით გამწარებული იგრეხდა.

ეს სხდომა დამთავრებული არ იყო კიდევ, რომ შემოვიდა წარმომადგენელი და განაცხადა: დიდ დარბაზში კრებაა. ლენინს სთხოვენ აქ ჩამოვიდეს და გააკეთოს თავისი მოხსენება. მყისვე შესწყდა სხდომა და დიდ დარბაზში დავეშვით.

ეს კრება შესდგებოდა ყველა სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებისაგან. სავსე იყო თითქმის დარბაზი. თავმჯდომარეობდა კ. ჩხეიძე. მისვლისთანავე სიტყვა მიაკუთნეს ლენინს.

ეს იყო პირველი გამოსვლა ფართო მასის წინაშე! ვეფხივით ტრიალებდა ტრიბუნაზე და ტიტველა თავზე და წინ მოვარდნილ შუბლზე მომდგარ ოფლს იდაყვებით იწმენდდა. ორ-საათ ნახევარი ილაპარაკა ათი წუთის შესვენებით.

დარბაზი სმენად იყო გადაქცეული, ხოლო ყველას სახეზე გაფითრება ისახებოდა. დიდი ნაწილი პროტესტს აცხადებდა მის დებულებათა წინააღმდეგ, მხოლოდ ეს პროტესტი მკრთალი იყო და გაუბედავი. მცირე ნაწილი ტაშის კვრით იზიარებდა მის შეხედულებას, ხოლო აქაც გაუბედაობა და იქვე იხატებოდა.

საერთოდ მთელი დარბაზი განცვიფრებული შესცქეროდა მას და პირდაღებული გაკვირვებით უცქეროდა, მის გადაჭრილ და გაბედულ ნაბიჯებს.

როგორც მოწმენდილ ცაზე უცბათ ღრუბელი წამოვა და ქუხილს იწყებს— ისე ლენინის სიტყვები იყო მოულოდნელი პეტროგრადის სოციალისტურათ მოაზროვნე პირთათვის...

პეტროგრადის ცხოვრებაში—ახალი ეპოქალური ხანა იწყებოდა...

**დ. ხულიაშვილი** (დ. ლიბელი).

# ტამბუკა, დევის კუნძული.

## თავი პირველი.

I.

მგზავრები თანდათან გონზე მოდიოდენ.

— ცოცხალი ვარ! ყველა ცოცხალი ვართ! ეს იყო მათი პირველი ფიქრი.

რა იყო ეს: სიზმარი, მოჩვენება, თუ მართლა მოხდა რამე?

უყურებდენ ერთმანეთის შეშინებულ სახეს, დალაპარაკება ვერ გაებედათ, თვალები დარბოდენ ერთი საგნიდან მეორეზე.

— დაღამდა, თუ ჩვენ დავკარგეთ ხედვა? უეცრად გაისმა მორუას ჩუმი ხმა.

ხმამ ყველა გაახარა, მაგრამ პასუხი არავის გაუცია. როლლერმა გაჰკრა წუმწუმას. კაიუტა განათდა. გამოჩდენ ლანდები.

— ღამე ყოფილა! გაისმა მეორე ხმა, უფრო დამშვიდებული ვიდრე მორუასი.

როლლერს უეცრად მოხვდა სხვისი ხელების სითბო.

— რა მალე დაღამდა! თითქმის ყურთან მოესმა



ანატოლ ფრანსის დაკრძალვა პარიზში.

ყველაფერი ნაცნობი იყო — კაიუტა, ვიწრო ფანჯრები, სავარძელი, პატარა შავი მაგიდა და მაგიდაზე საფერფლე ნამწვავებით სავსე.

თითქოს არაფერი შეცვლილა. მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ მხოლოდ ეხლა გამოფხიზლდა, რომ მოხდა რაღაც საკვირველი, გამოუცნობი და საშინელი.

კაიუტაში ისინი იყვნენ ოთხნი—ფრანგი მორუა, გერმანელი გომბერ, ამერიკელი როლლერ და მისი საცოლე მისს ირბი.

არავის მოსვლია აზრათ გაეგო რა დრო იყო. დრო თავისთვის იყო, ისინი თავისთვის. უყურებდენ მხოლოდ ერთმანეთის სახეს, ფეხს, ხელს და ხელებზე თითებს, რომელზედაც ბრწყინავდენ ბეჭდები.

კაიუტაში მალე დაღამდა და სიბნელემ დაფარა ყველაფერი.

როლლერს და მან იგრძნო ჰაერის სითბო, რომელიც გამოიტანეს სიტყვებმა ქალის ტუჩებიდან.

— გეშინია.

პასუხის მაგიერ ირბის მკლავები სალტესავით შემოერტყა როლლერს.

თანდათან უბრუნდებოდათ მგზავრებს დროის გრძნობა. თანდათან დრო ეჩვეოდა მათ და ხდებოდა გრძელი, დაუსრულებელი, დამაღონებელი.

გათენებას, რომელიც მეორეთ დაინახეს, ეხლა ოთხივე მეტი სიხარულით შეხვდა.

როლლერს უეცრად რაღაც მოაგონდა. წამოიჭრა სავარძლიდან და წინ გაექანა. რამოდენიმე წამის შემდეგ ისეთივე ენერგიული ნაბიჯით გამობრუნდა, მოჰხვია ხელი ირბის და ჩაჰკოცნა.

გულჩახვეულ ამერიკელის ქცევამ თანამგზავრები გააკვირვა.



კინო-სურათ „სამ სიცოცხლიდან“.

შემდეგ როლლერი მოუბრუნდა თანამგზავრებს და ხმით, რომლის სინაზემ გააკვირვა ფრანგი და გერმანელი, სთქვა:

— პილოტი არ არის, ალბათ დაიღუპა. ჩვენ ღვთის ანაბარათ ვართ..

მგზავრები მისცვინდენ კაბინკასთან. ადგილი მართლაც ცარიელი იყო.

უეცრად მათ იგრძნეს მთელი საშინელება მდგომარეობის. ეხლა ყველაფერი გათავებულია. გადარჩენაზე ფიქრიც შეუძლებელია. სიკვდილი ყოველ წუთშია მოსალოდნელი.

მაგრამ ამის გაგება თითქოს იმისთვის იყო საჭირო, რომ მათ შორის სიმშვიდე და მოსვენება ჩამოვარდნილიყო. მათ იგრძნეს, რომ შეურიგდენ ბედს. და გულს სიმშვიდე მოეფინა.

— საკვირველია, სთქვა მორუამ, ყოველგვარი იმედი გაჰქრა, მე კი სრულიად დამშვიდებული ვარ და ტკბილი მეჩვენება ეს წუთები, როცა ასე პირდაპირ ვუცქერი სიკვდილს!

ყველას გამოცოცხლება დაეტყო. სიამოვნებით უყურებდენ ერთმანეთს და უხაროდათ, რომ ხედავენ.

— სად გაქრა ის კაცი? ისე იკითხა გომბერმა, თითქოს პილოტის დაბრუნება კიდევ იყო მოსალოდნელი.

პასუხი არავის გაუცია.

როლლერმა ხარბად მოსწია თამბაქო: კვამლის ცისფერი ზოლი ნელა მიიწევდა ჭერისკენ. ბოლს, რომელიც ირმის ნახტომივით გაიწევა. ყველამ გააყოლა თვალი.

2.

ცოტაოდენი მარაგი წყალის და საჭმელის, რომელიც კაიუტაში მოიპოვებოდა. თანდათან ილეოდა.

დღეები გასაოცარა სისწრაფით სცვლიდენ ღამეებს. მორუას ყველაზე უფრო უხაროდა ლაპარაკი:

— როგორც სჩანს, ჩვენ უკვე რამოდენიმე დღე-ღამე გავატარეთ მანქანაში. ეს რომ სინამდვილეა, თუ გნებავთ იმითაც დაგიმცკიცებთ, რომ თქვენ, ბატონო გომბერ, წარსულ ღამეს გეძინათ და ტკბილადაც ხვრინავდით.

—- მაშასადამე ისლა დამრჩენია, მოვიხადო ბოდიში თქვენთან, ქალბატონო ირბი!

ირბის გაეღიმა გერმანელის თავაზიანობაზე ისე, როგორც ეღიმება ავადმყოფს მეგობრების დანახვაზე.

ყველაზე უფრო როლლერს აწუხებდა ეს გაურკვეველი მდგომარეობა. გასტეხოს ფანჯარა და გადაიხედოს? მაგრამ ეს საშიშია. შესაძლებელია ქარი, გაგიჟებული ჰაერი, მიაქროლებდეს სივრცეში მანქანას. შეიძლება მათი აფრენის შემდეგ მოხდა უეცარი კოსმიური კატასტროფა, დედამიწისგან მოგონებაც აღარ დარჩა და შემთხვევით მოხვედრილი სხვა ატმოსფერაში ეს პატარა მანქანა



„სახკინმრეწვის“ კინო-სურათი: „სამი სიცოცხლე“
წარბა (ყიფიანი), ესმა (ნატა ვაჩნაძე).

გადაიქცა მუდმივ მოხეტიალე ნივთიერებად. თუ ასეა, მაშინ ეს უცაბედი უბედურება კიდევ არ არის სამწუხარო. იგლოვოს და მოიგონოს, მაგრამ ვინ და რა, როცა შესაძლებელია არაფერი არსებობდეს და ყველაფერი იყოს გადაქცეული ქაოსად. როგორ მოხდა ეს, როგორ დაიწყო? აფრენის დღეს არაფერი მომხდარა, არაფერს ელოდენ. დღე იყო ჩვეულებრივი, მზიანი, ქარი ქროდა. არა ის უფრო ულონო ნიავი იყო. მაგრამ როდის არის ისეთი დღე, რომ ჰაერი სულაც არ მოძრაობდეს! ასეთი დღეები გამოერევა ხანდახან ივლისის სიცხეებში, მაგრამ ეხლა ხომ შემოდგომაა!. სახლიდან გამოვიდა დილით. იყო ის დრო, როცა მოხელეები მიიჩქარიან კანცელარიებში, მსახურე ქალებს კი გამოაქვთ ფურნედან ცხელი პუ-...მელსაც ასეთი გემრიელი სუნი აქვს. ქუჩებში კიდევ თეთრ ტანსაცმელში დადიოდა. ფოთლებს შემოდგომის სიყვითლე შერეოდა. მზე კიდევ იყო ...ლი, თუმცა ჩრდილს ალარავინ ეძებდა.

ბევრი რამ, რისთვისაც როლლერს ყურადღება არასოდეს მიუქცევია და არ ეგონა, რომ ისინი ხსოვნაში დარჩებოდენ, გადაიშალა მის წინ და გაცოცხლდა. ახ, ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოა, როცა შესაძლოა აღარ არსებობდეს საყვარელი ქალაქი, სახელმწიფო, როცა შესაძლოა აღარ იყოს მთელი ქვეყანა.

მოგონებები მოდიოდენ ნაწყვეტებათ. ერთმანეთს არ ებმოდენ, ერთმანეთს არ უცდიდენ. იმ დროს, როცა როლლერი ფიქრობდა მომავალ ბედზე, უეცრად გადასერავდა აზრს სრულიად უმნიშვნელო რამე, შეიპრებოდა ხსოვნაში რომელიმე წვრიმალი წარსულიდან: წვიმიან საღამოს როგორ გადადიოდა ქუჩას უცნობი მოხუცი დედაკაცი, რა ნაღვლიანი ხმაურით გადაიფრინა ქალაქზე ელექტროს შუქით შეშინებულმა წეროების გუნდმა!

რამდენი დღეა, რამდენი ხანია რაც ეს უბედურება დაატყდათ? როლლერი ცდილობდა უფრო ხშირად ამაზე ეფიქრა, მაგრამ ვერაფერი გაერკვია.

— ვნახოთ როდემდის გვატრიალებს ბედი... ვიფრინოთ, მეტი რა გზა გვაქვს!

როლლერმა შეამჩნია, რომ მისი თანამგზავრებიც გართული იყვენ წარსულით. გომბერი ჩაფიქრებული სწევდა პაპიროსს. მორუა კაიუტის ბოლოს მისჩერებოდა და ეტყობოდა დღევანდელზე არ ფიქრობდა. ირბის, საბრალო ირბის, ჩასძინებოდა სავარძელში.

— ჩემი ტვინი, ალბათ, მათხოვარის ჩანთასავით ყარს! სთქვა უეცრად გომბერმა.

მორუამ და როლლერმა გაკვირვებით მოიხედეს მისკენ.

— შეუნახავს ყველაფერი გლახა ძუნწივით, რომელიც ბოჭავს გამოუსადეგარ ბინძურ ნაჭრებს, გატეხილ ბოთლებს, აფთიაქის შუშებს და სხვა ათასგვარ მძორს... არაფერი დაუკარგავს წარსულიდან... სად დაეტია ყველაფერი, ან რა საჭირო იყო!? საკვირველია!...

გომბერს აბრაზებდენ წვრიმალები წარსულ დღეებიდან. წარსული თითქოს უკანასკნელ პარადს აწყობდა მის წინაშე. ბევრს უყურებდა ზიზღით, ზოგიერთი კი ახარებდა.

ეხლა მტვერიც აღარ იქნება ალუბალის ხეებიდან, რომელიც შარშან დარგო თავის პატარა ბაღში. საბრალო ბელურები, რომლებსაც ჰქონდათ იმდენი ჭკუა თავის ჩიტის თავში გაეგოთ, რომ გომბერს ეცოდებოდა



„რკინის რაზმი".
ბარსკის დადგმა

ისინი. რა უშიშრათ და ხარბათ კენკავდენ აივანზე დაყრილ პურის ნაფხვენებს!

— ყოფილხართ პარიზში, კომედიის თეატრში? იკითხა მორუამ.

— რამდენიმეჯერ, უპასუხა როლლერმა.

— იქ ერთი ქალი დადიოდა. მას ჰქონდა იისფერი თმა. თქვენ ალბათ არასოდეს გინახავთ იისფერი თმა... ო, ეს ისეთი სილამაზეა!

— ახ, რა სულელური მოგონებებია! ამოიოხრა გომბერმა.

— თუ კი სხვა არაფერი მაგონდება?! ყოველ შემთხვევაში, ბატონო გომბერ—ღიმილით დაუმატა მორუამ —მე თქვენთვის არ მომიცია უფლება ასე უხეშათ შემიწყვიტოთ ეს სასიამოვნო მოგონება. ისიც არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ მე ფრანგი ვარ და ფიცხი... თუ მოხდა სასწაული და კიდევ მოვესწარი დედამიწაზე დაბრუნებას, იცოდეთ რომ პასუხს მოგთხოვთ:

— გაქვთ კიდევ იმედი? დაცინვით იკითხა გერმანელმა.

— არავითარი! ცივათ წამოისროლა როლლერმა.

— თქვენ გგონიათ? შეეკითხა მორუა.

— დარწმუნებული ვარ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ მორუამ დაილაპარაკა:

— ეს, რა თქმა უნდა, სიზმარი არ არის, მაგრამ არასასიამოვნო სინამდვილეა. ყველაფერი ეს თუ გნებავთ' მომხიბლავი რომანტიკაა... ჩვენ ვგევართ ზღაპრულ მოგზაურებს ვარსკლავეთის სივრცეებში, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ შესაძლებლობა აღარ მაქვს დავიკვეხნო ვინმესთან...

### 3.

ირბი დიდიხანია ღრმა ძილში იყო.

როლლერს', მოუსვენრობა ეტყობოდა. მძინარეს თვალს არ აშორებდა.

**სერგო კლდიაშვილი.**

(შემდეგი იქნება)



ტანვარჯიში „სპარტაკ".



ტანვარჯიში „სპარტაკ".

# ბაკუნინი ლოკარნოში.

(მოგონებიდამ)

1869 წ. დასაწყისში, პეტერბურგის უნივერსიტეტის მოსწავლეთა შორის მღელვარების გამო, რამდენიმე ჩვენი თანამემამულე სტუდენტიც იყო უნივერსიტეტიდამ დათხოვნილი *). ამათ შორის ერთი ახალგაზრდა, პირველი კურსის სტუდენტი, **ძიგოევი**,—ოსი, ერთობ ნიჭიერი და კარგი მიმართულების ყმაწვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე ძალზე დაავადებული ფილტვების ავადმყოფობით, რასაც ხელს უწყობდა პეტერბურგის ჰავა... აქვე უნდა მოვიხსენიო, იმ დროს, ამ ავადმყოფობამ იმსხვერპლა მეორე ჩვენი თანამემამულე ახალგაზრდა სტუდენტი ბეს. ჩვენებური მოსწავლე ახალგაზრდობა ბლომად იყო გერმანულ შვეიცარიის ქალ. ციურიხის უნივერსიტეტსა თუ პოლიტეხნიკუმში.—ჩვენთან ერთად ციურიხში ცხოვრობდა და სწავლობდა თბილისელი ახალგაზრდა სომეხი პ. იზმაილოვი.

პ. იზმაილოვი უფრო ქართველი იყო, რადგან თბილისში და ციურიხშიაც ის სულ ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობის წრეში ტრიალებდა და მუშაობდა. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, ის იყო თბილისის ქალაქის საბჭოს მდივნად არჩეული, შემდეგ—გამგეობის

## საბჭოთა აღმშენებლობა



საფეიქრო ტრესტი. ბამბის ქარხანა.



ქალაქის_სასაკლაოების სამანქანო განყოფილება.

ხამაშურიძე, რომელზედაც დიდს იმედს ამყარებდა მაშინდელი მოწინავე და საზოგადოებრივი მოძრაობის ხელმძღვანელი ჩვენი ახალთაობა,.

ძიგოევს როგორც ღარიბ სტუდენტს დიდს დახმარებას უწევდა ცნობილი ნ. ი. ნიკოლაძე. ამ წელს ეს უკანასკნელი პეტერბურგში იყო და რუსულს დიპლომზე იჭერდა ეგზამენს უნივერსიტეტში. ის ძიგოევს დაახლოებით იცნობდა. ნ. ი. ნიკოლაძის შეოხებით, ერთმა ძიგოევის უნივერსიტეტის ამხანაგმა სტ. ზარაფიშვილმა,—ტფილისელი შეძლებული სომხის შვილმა, ძიგოევს დაუნიშნა სტიპენდია და თავისივე ხარჯით გაისტუმრა იტალიური შვეიცარიის პატარა ქალ.—ლოკარნოში საცხოვრებლად. ქალ. ლოკარნო ტესსინის კანტონშია და გაშენებულია მდინ. მედჟის შესართავთან, ლაგო-მადჟორრიოს ტბასთან.

თავისი რბილი და უქარო ჰავით და ამასთან ზამთარზაფხულ მწვანით მოცული არე-მარეთი, ლოკარნო კლიმატიურ სტანციად ირიცხებოდა.

ძიგოევი დააბინავეს ლოკარნოში 1870 წ. ამ დროს წევრად და ბოლოს—თბილისის ქალაქის თავად.—ამ თანამდებობამ იზმაილოვი ერთობ გადახარა და სომეხთა უკიდურეს შოვინისტად გადანათლა.

ძიგოევის ავადმყოფობის მდგომარეობა თხოულობდა, რომ იმასთან ვინმე ჩვენთაგანი მუდამ ყოფილიყო. მე და იზმაილოვს შეგვხდა ავადმყოფთან მორიგეობა,—ერთს თვეს იზმაილოვი მორიგეობდა, მეორე თვეს—მე. ამის ხარჯიც იკისრა აგრეთვე ზემოხსენებულმა ზარაფიშვილმა.

ეს მორიგეობა იმითაც მიზიდავდა, რომ ვიცოდი იმ დროს იქ, ლოკარნოში ცხოვრობდა ცნობილი მ. ბაკუნინი, რომლის ნახვა და გაცნობა ერთობ მენატრებოდა.

ამავე მიზნით იყო შვეიცარიის ქალაქებიდამ ლოკარნოში განუწყვეტელი „პილიგრიმობა“ რუსის ახალგაზრდობისა;—ყველა ესენი დანატრებული იყვნენ ერთხელ მაინც ენახათ ბაკუნინი,—ის ადამიანი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მთელ ორმოციან, ორმოცდაათიან და სამოციან წლების განმავლობაში ევროპის „საფრთხოს“ უძახოდენ და ერთი სახელმწიფოდან მეორეში დატყვევებულს ისტუმრებდენ ხოლმე (პრუსია, საქსონია, ავსტრია,

*) ნ. დ. ყიფიანი, ბ. ჯაფარიძე, იგ. ჯაბადარი, ნ. ჩიკოიძე, ლ. მღებრიშვილი და სხ.

საფრანგეთი, რუსეთი), სანამ ციმბირიდან გამოქცეულმა (1860 წ.) თავი არ შეაფარა ჯერ ლონდონს და მერე შვეიცარიას, სადაც, როგორც ზევით ვამბობ, დაბინავდა ქ. ლოკარნოში.

დაბეჯითებით ვიცოდით, რომ რუსეთიდამ შემოხიზნულ ახალგაზრდობას ბაკუნინი ძალიან იშვიათად უახლოვდებოდა.—ყველას ახსოვს უთუოთ, რომ ცნობილი ნეჩაევი, სანამ კარგათ არ გაიცნო დაახლოვებული პირების შემწეობით, ახლოს არ გაიკარა—რუსის შპიონს უძახდა.

ჩემს მორიგეობის დროს, ლოკარნოშა რომ ჩავედი და მივედი ძიგოევთან, იქ უკვე ბაკუნინი დამხვდა,—თურმე ეს ერთობ დაახლოვებოდა ავადმყოფს და ყოველ დღე ნახულობდა მას, დილით თუ საღამოობით.

ავადმყოფმა მასპინძელმა გამაცნო ბაკუნინს, რომელმაც ისე ამხედ-დამხედა, რომ ეტყობოდა, არაფრად ვეჭაშნიკე ახალი ნაცნობი, თუმცა მერე და მერე, ვინაიდგან ერთმანეთს ერთობ ხშირად ვხვდებოდით ავადმყოფთან, დარწმუნდა, ალბათ, რომ მე „საშიში" არა ვარ, და ერთობ დამიახლოვდა.

აი დაახლოვებით, ბაკუნინის სურათი: ფეხზე მდგომი წინიდამ, ყლაყზე ამდგარ ვეებერთელა შავ დათვს ჩამოგავდა; ზორბად მსხვილი იყო, მაღალი და ბეჭებში შესაფერად სქელი; პირის სახე მოშავო და წამომწვეინებული ჰქონდა, რომელზედაც უხვად ეყარა, ალბათ, დიდი ხნის დაუვარცხნელი წვერ-ულვაში, უკვე ძალზე თეთრნარევი; მისს დიდს შავ თვალებს, სქელ წარბების ქვეშ, თვისი ელვარება ჯერ კიდევ არ დაჰკარგოდა; ჩაცმულობა ერთობ ღარიბი ჰქონდა: გარედამ ზამთარ-ზაფხულ განუწყვეტლად ატარებდა იტალიანურ უსახელო მანტოს—კლოკს, მარტო კისრის საკინძით მიმაგრებულს; თავზე ეხურა განიერი კალთებიანი, ძალზე გახუნებული და მოცვეთილი შლიაპა.—სიარული ერთობ დინჯი და ნელი იცოდა, რადგან გულის ცემას უჩიოდა; სიარულში კოჭლობდა და მიტომაც იყო, რომ ერთობ მსხვილს ბზის ჯოხს ატარებდა.

ერთხელ რომ დავეკითხე კოჭლობის მიზეზი, მითხრა—ეს ქალ. ოლმიუცის საპყრობილეს ნაჩუქარი მაქვსო. ცნობილია, რომ, როდესაც ბაკუნინი „არჩევანით" ავსტრიას შეხვდა, ავსტრიის მთავრობამ იგი ქალ. ოლმიუცის საპყრობილეში მოათავსა და თან კედელზე მიაბა ჯაჭვით—ექვსი თვე ასე მიჯაჭვული ყოფილა.

ჩემი ბინა ძიგოევის ოთახში იყო და, მაშასადამე, ბაკუნინს ყოველ დღე ვნახულობდი, ვინაიდან, როგორც ზევით ვამბობ, ის დღე მუდამ ნახულობდა ჩვენს ავადმყოფს. ხშირად, როდესაც ავადმყოფს მიეძინებოდა, ბაკუნინი და მე გამოვიდოდით ქალაქში სასეირნოთ; ხშირად ქალაქის მიდამოებსაც მოვივლიდით. ერთს ამისთანა სეირნობის დროს, მან მასტუმრა და გამაცნო იტალიელი ემიგრანტის საუცხოვო ოჯახობა—ემირიოსი და რუსის ემიგრანტი ზაიცევი..

ორიოდე სიტყვა ამ ზაიცევზე.

ბართლ. ალ.-ძე ზაიცევი სამოციან წლების ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოძრაობის ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი იყო რუსეთში; ის იყო ახლობელი და შემჩნეული თანამშრომელი იმ დროინდელი ლიბერალური ჟურნალებისა—„Русское слово" „Дело"-სი, „Отечественныя Записки"-ს და სხ., რომლებშიაც ხშირათ ათავსებდა ისტორიულ და ფილოსოფიურ მონოგრაფიებს, ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს და სოციალურ, თუ პოლიტიკურ სხვადასხვა კითხვებზე რიხიან სტატიებს. იმ დროს რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობა ეტრფოდა და ეწაფებოდა ზაიცევისა და მისი ერთსაზრის და ერთი მიმართულების მოღვაწის—დ. ი. პისარევის ნაწერებს.. სამოციან წლებში არსებულმა რეაქციამ და „Русское Слово"-ს დახურვამ ზაიცევი აიძულა საზღვარგარეთ ეცხოვრა და ამანაც თავი შვეიცარიას შეაფარა,—ლოკარნო ირჩია საცხოვრებლად.—1882 წ. ზაიცევი გარდაიცვალა; დამარხულია შვეიცარიის პატარა ქალაქში კლარანში, ჟენევის ახლო.

ბაკუნინი ხშირათ გვიამბობდა თავის წარსულიდან, თუმცა ეს მოგონებები იმას იმდენად არ ახალისებდა, რამდენათაც აღელვებდა... ხშირად ოხვრით დაამთავრებდა ხოლმე რომელიმე ეპიზოდს თავისი წარსული მღელვარე ცხოვრებიდან.—ამავე დროს ის ავადმყოფს არ აძლევდა ლაპარაკის ნებას,—„შენ ყური გვიგდე, თორემ გავჩუმდებითო,"— ხშირად ეტყოდა ხოლმე მას. ასე უვლიდა ის ჩვენს ავადმყოფს!

ერთხელ, მახსოვს, ტკბილი ბაასის დროს რუსეთის მწარე ამბებზე, ბაკუნინმა ალმაცერად გადმომხედა და ოხვრით მითხრა:

„მიუხედავათ ამისა, სულ ტყუილია თქვენი ოცნება... რეაქციონური რუსეთი თქვენ არ მოგცემთ ცალკე არსებობის საშუალებას. გათელავენ ერთ მუჭა ხალხსო"..

—„სამოცდაათი წელიწადია რუსეთი გვთელავს და ჯერ კიდევ ვერ გაგვთელა",—მეთქი, მივუგე მე.—სხვებიც რამდენჯერმე გადაყლაპვას ლამობდნენ, მაგრამ მინელების შეეშინდათო"....

ჩვენს ლაპარაკში ძიგოევს ჩაეძინა. ჩვენც ფეხაკრეფით გამოვედით გარეთ. ბაკუნინმა დიასახლისი გააფრთხილა,—ხშირად შეეხედნა ავადმყოფის ოთახში.

გარეთ რომ გამოვედით, ბაკუნინმა მითხრა—გავისეირნოთ დიდი ქუჩით და ერთს ახირებულ სურათს გიჩვენებო. მეც გავყევი და შევდგით ფეხი ამ დიდ ქუჩაზე თუ არა, მომესმა ქუჩის აქეთ-იქეთა მხრიდან პატარა ბავშვების ყვირილი—„Eviva"!. მე პირველათ ყური არ მივაქციე ამ ყვირილს, მაგრამ პირველ გამოძახილს თანდათან ეხმაურებოდენ—Eviva, Eviva! ქუჩის ყოველ მხრიდან და შეიქნა ერთი ზრიალი ბავშვებისა, შევეკითხე ბაკუნინს—„ვის ეგებებიან ამ ამბით ბავშვები" მეთქი.—„მეო" მითხრა და ამ თქმაზე გავიხედე თუ არა, ქუჩის ორივე მხრიდან გამოცვივდნენ ოცამდე 7-10 წლის ქალ-ვაჟნი, შემოეხვივნენ ბაკუნინს, წაავლეს ხელი მის კლოკს, ზოგმა მარჯვნივ, ზოგმა მარცხნივ და ასე გაფარფაშებული მიჰყავდათ იგი, თან განუწყვეტლივ ყვიროდნენ „Eviva", „Eviva"-ს! კარგი მანძილი გავიარეთ ამ ამბით; ბოლოს ბავშვებმა ხმაურობა შესწყვიტეს, და ახლა თვით ბაკუნინმა დაიბღავლა თავის ჩახლეჩილი ხმით—„Eviva". ეს საკმაო იყო, რომ ბავშვები გამოხმაურებოდნენ საოცარის ყვირილით „Eviva Bakounin"-ს „Eviva!"—ბავშვების მშობლებიც, ზოგი ბაქანზე გამოსული, ზოგიც ფანჯრებიდამ სიცილ-ხარხარით შესცქეროდენ ამ სურათს.

ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც თავათაც დაიღალა და ბავშვებიც შეატყო რომ მოიქანცნენ, უთხრა მათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა აღმშენებლობა



ლითონის ტრესტი ქარხანა.



ლითონის ტრესტი, ჩამომსხმელი განყოფილება.



ლითონის გან-ბის სამჭედლო ცეხი.



ლენინის სახ. თამბაქოს ქარხნის საგილზო განყოფილება.

რომ გეყოფათო და აბა ახლა სახლში წადით! ბავშვებმაც, ამის თქმის უმალ, შეუშვეს ხელი კლოკს, და შინ მიმავალი კიდევ ბრუნდებოდნენ და ხელის სალამით ბაკუნინის მიმართ, შესძახოდნენ—„Eviva," „Eviva!"-ს—ეს ხმაურობა ბავშვების არ შესწყდა სანამ ჩვენ დიდ ქუჩიდამ არ გადეუხვიეთ, რომ მათ არ დავენახეთ.

შემდეგაც ხშირი მოწამე ვიყავი ბავშვების მიერ ამგვარი ოვაციებისა ბაკუნინის მიმართ.—ეს, რასაკვირველია, იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად პოპულიარი იყო ბაკუნინი აქ ბავშვთა შორის, რომლებთაც, ეჭვეელია, დიდებისაგან ჰქონდათ გაგონილი—თუ ვინ და რა კაცია ეს ვეებერთელა ადამიანი—ბაკუნინი.—თავათაც, უნდა გითხრათ, ეტყობოდა, რომ ერთობ მოსწონდა ბავშვების ამნაირი ალტაცება და ბავშვური მღელვარება. საზოგადოთ, ვატყობდი, რომ ბავშვები ძალიან უყვარდა, ზოგიერთ მათგანს იცნობდა პირადათ და სახელით და გვარით მოიხსენებდა ხოლმე ამისანებს.—ვფიქრობ, რომ ბაკუნინი ამ ბავშვების მღელვარების დროს ოცნებობდა უფრო დიდების მიერ მღელვარებაზე, რომელთაც ის ერთ დროს წინამძღვრობდა წარსულ ამბოხების დროს დრეზდენში, თუ სხვაგან ...

—

ლოკარნოში ბაკუნინი ერთობ განცალკევებულა ცხოვრობდა და—ვფიქრობ, თავის კარგი წარსულით უფრო ოცნებობდა. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მოქმედების სურვილი და გამბედაობა აღარ უჭრიდა, არამედ იმიტომ, რომ ამისათვის ღონე აღარ შესწევდა,—ერთობ დაღლილი და მოქანცული იყო წინეთ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში რევოლიუციონური, გამძაგებული და დაუცხრომელი მუშაობით... არც ისე მოხუცებული იყო წლოვანობით,—ლოკარნოში ის 57—58 წლის თუ იქნებოდა (დაბად. 1814 წ.).—

—

საბრალო ძიგოევი ლოკარნოში გარდიცვალა და იქვეა დამარხული. ჩემდა სამწუხაროდ, არც ერთი მისი თანამემამულენი მის სიკვდილს და დასაფლავებას არ დასწრებია,—ერთად-ერთი მისი ჭირისუფალი ბაკუნინი ყოფილა, რომელსაც მიუღია თავზე მისი დამარხვა სამოქალაქო დასაფლავების წესით,—ერთი პატრი არ გაუკარებია სიახლოვეს, წინააღმდეგ მიცვალებულის დიასახლისის დაჟინებული თხოვნისა...

—

ღირსაღსანიშნავია, თუ რამდენი გულ-ლმობიერება, ნაზი გრძნობა და მოყვასთა სიყვარული ღვივოდა კიდევ ოდესმე ამ მუდამ მღელვარე, ძეამბოხე და „მნგრეველ" ადამიანში!..

ამის დასამტკიცებლად საკმარისია წარმოვიდგინოთ ზემო მოყვანილი ორი სურათი—ბავშვების მშობლებრივი ალერსი და მისთვის ვიგინდარა ავადმყოფის მოვლა და პატრონობა!...

ბაკუნინი გარდაიცვალა 1876 წ. შვეიცარიის ქალ. ბერნში, სადაც იგი დასაფლავებულია.

**ივ. მესხი.**

თბილისი, 15 ნოემბერი 1924 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ა. ყაზბეგის ავტორობის ცოცხალი მოწმენი:



სოსიკო მელიქიშვილი.



ეგნატე იოსელიანი.

# ყაზბეგიანა

### კიდევ ალექსანდრე ყაზბეგი.

მეტად მაკვირვებს მოქ. ზანდუკელისა და ხართიშვილის გამოსვლა ალ. ყაზბეგის წინააღმდეგ. განსაკუთრებით დ. ხართიშვილმა გადააჭარბა თავის წერილში („ჩირაღდანი“) ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგზე.

მინდა მოგახსენოთ, რომ დიმიტრი ყაზბეგზე, წინად სულ სხვა აზრისა ვიყავი, იმიტომ რომ მე იმას ვიცნობდი ილია ჭავჭავაძის სიტყვებით. როდესაც ილია იყო არჩეული ბანკის თავმჯდომარედ, მაშინ მას დ. ყაზბეგი უნდოდა გადმოეყვანა ბანკში დამფასებლად. ილიამ მე მთხოვა, რომ მომეგროვებინა დიმ. ყაზბეგისათვის ხმები, რადგან მე ბევრი მეგობრები მყავდა, რომელთაც ხმები ჰქონდათ. მე, რასაკვირველია, მოვუგროვე, მაგრამ დ. ყაზბეგი ილიამ ვერაფრით ვერ ჩამოიყვანა. ამიტომ აღარც დაუდგეს არჩევნის ყუთი.

მე ერთხელ ვკითხე რატომ აგრე ზრუნავ დ. ყაზბეგზე? ილიამ მიპასუხა, რომ დიმიტრი ჩემი ამხანაგი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში, როცა ჩერნიშევსკის ამბები მოხდა, მაშინ რამდენიმე ჩვენი ყმაწვილები, ცისიშვილი, ჯაბადარი, ჩიკოიძე და ჩერქეზიშვილი გაგზავნილი იყვნენ კატორღაში და დიმიტრისაც როგორც მონაწილეს, საფრთხე ელოდა. მაშინვე მე მივმართე კ. აბხაზს, გამოვართვი საჭირო ფული და დ. ყ. გავისტუმრეთ საზღვარ-გარედ, რომელიღაც პატარა ქალაქში, არ მახსოვს კარგად. იქიდან დაბრუნდა თავის სამშობლოში მხოლოდ 1868 წ.

როცა მე დანიშნული ვიყავი დუშეთს გამომძიებლად, მაშინ დიმიტრი მე მოვიწვიე გამომძიებლის ბოქაულად.

ილია ხშირად იტყოდა, რომ დიმიტრი განვითარებული კაცია, შეიძლება მწერლად გამოდგეს. მაგრამ უნდა მისცე მასალა, კისერზე უნდა აჯდე, რომ დასწეროს რამე. თვითონ ის ვერაფერს ვერ დასწერს, თუ ამნაირად არ მოიქეცით. იმიტომ მინდოდა თბილისში ჩამომეყვანაო.

მაგრამ დიმიტრი არ ჩამოვიდა, ილიას გაუცრუვდა იმედები.

იმ დროს მეტად ცოტა გვყვანდა ქართული ლიტერატურის მოყვარულები და ყველა დიმიტრისთანა კაცებს ებლაუჭებოდა, რომ მოემზადებინათ ქართული ლიტერატურისთვის თანამშრომლები.

ამ ნაამბობის შემდეგ იმ აზრის ვიყავი, რომ დიმ. ყაზბეგს შეეძლო რაიმეს გაკეთება, ხოლო, რასაკვირველია, სხვის ხელმძღვანელობით, ეხლა, როდესაც ხართიშვილი გამოილაშქრა, მაშინ დიმიტრიზე ჩემდა სამწუხარო აზრი გამოვიცვალე იმიტომ რომ, როგორც სჩანს, იმას თავის სამშობლოში ლოთობის მეტი არაფერი გაუკეთებია. რუსული ანდაზა ამბობს: „სულელი მეგობარი მტერზედ უარესია“! რა ბრალსაც სდებს ზანდუკელი ალექსანდრეს, აღმოჩნდა, რომ ლიზა ყაზბეგის მონაწილე ყოფილა. მე ეს ვიცი, რომ ლიზას ისე ეჯავრებოდა და შურით უყურებდა ალექსანდრეს რომ ის არაფერს ნაწერს არ დაანებებდა ალექსანდრე ყაზბეგს. პირიქით, სწორედ როდესაც სახელი გაითქვა ა. ყაზბეგმა, მაშინ

## ა. ყაზბეგის ავტორობის ცოცხალი მოწმენი:



ან. წერეთლისა ეკ. გაბაშვილი ეკ. მესხი.

ლიზას ერთ ათად აღეძრა შურისძიება, უნდოდა რაღაც გამოეგონა. პირველ ჩემს წერილში აღვნიშნე ლიზას განცხადება, რომ ეგ ნაწერები ჩემ ძმას ეკუთვნის. როცა ჩემი პასუხი მიიღო, ძალიან ეწყინა და თითქმის მთელის წლის განმავლობაში აღარ მელაპარაკებოდა. მას შემდეგ გაჩუმდა, ხმა არ ამოუღია. ახლა გამოსულა მ. ზანდუკელი და ხართიშვილი და ამტკიცებენ, ვითომც ავტორი დიმიტრი ყოფილიყოს. რაზედ ემყარებიან? ორი მოხევის განცხადებით ბევრსა სწერდა დიმიტრი, მაგრამ არავის არც უნახავს და არც წაუკითხავს. რა დასაჯერებელია, რომ დიმიტრის ჰქონდა დიდათ ღირსეული მოთხრობა, როგორიც არის „ელგუჯა", სხვას კი არ წააკითხა, ან არ გააცნო.

მაგრამ ცოცხალი მოწმეები არიან, როგორც მე, ეკატერინე მესხის და ვიცით, რომ ჩვენ თვალწინ სწერდა ალექსანდრე. ამის გარდა, მე ვიწვევ იოსებ მერკვილაძეს, რომელიც იმ დროს მსახურობდა „დროების" რედაქციაში. რატომ ხმას არ იღებს? მას ხომ სველსველი ნაწერები თვით წაუღია რედაქციიდან სტამბაში?! მან იცის, თუ ალექსანდრე როგორ სწერდა ან როგორ ვაიძულებდით დაწერას, როდესაც კი რედაქციისთვის მასალა დაგვაკლდებოდა. ამ წერილთან ერთად გიგზავნით ზაქარია რუსიშვილის წერილსაც. იგი იმ წლებში ასოთამწყობათ იყო „დროებისა".

**სოხიკო მელიქიშვილი.**

## ღია წერილი ი. მელიქიშვილთან.

ერთ ჩემს ნაცნობს წაუკითხა „დროშაში" № 16—17 თქვენი მოგონება—ალექსანდრე ყაზბეგზედ. მე ძალიან აღმაშფოთა ზანდუკელის ცილის წამებამ, რომელიც სწერს თავის წიგნში, ვითომც ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერი კი არ არის, ვიღაცა დიმიტრი ყაზბეგის და მე მოგყევარ დამსწრეთ და მოწმეთ. მაგრამ ერთი საბუთი გამოგიშვიათ, უთუოდ არ გახსოვდათ, რომ მე, კობალაძე—დიომიდე და სხვანი ასოთ ამწყობები იყვნენ თხოვნისა დროს. ძალიან ვთხოვეთ ჩვენ ყველამ, რომ კიდევ გვაჩვენე ელგუჯას ვაჟკაცობა და ჯერ ნუ მოკლავო. მაშინ-ალექსანდრე ყაზბეგმა პატივი გვცა და იქვე ჩვენთან შესცვალა იმ ფელეტონის ბოლო, იქვე კანტორაში დაჯდა და დასწერა ჩვენი დასწრებით გაგრძელება ფელეტონისა შემდეგის ნომრისათვის, კარგად არ მახსოვს, ორს თუ სამს „დროების" ნომერში იყო დაბეჭდილი: მოგვთხოვა „ოტისკი", ბოლოც გადააკეთა ის „ოტისკები" დაიდო წინ და შემდეგი ნომრისათვის დასწერა გაგრძელება და სველ-სველი დაწერილი გადმოგვცა ასაწყობათ. ჩემდა საუბედუროთ, მარტო მე დავრჩი იმათგან—მოწამე. ისინი რომ ცოცხლები იყვნენ ჩემზედ უმეტესათ აღშფოთდებოდნენ.

მე მაკვირვებს ამისთანა დაუფიქრებელი გამოლაშქრება ზანდუკელისა.

თქვენ კარგათ იცით, რომ მე 1866 წ. ვმუშაობდი ასოთ ამწყობათ გაზეთ „დროებაზედ" იმ დრომდისინ, მანამ დაიხურებოდა.

თქვენი პატივის მცემელი ღრმა მოხუცებული და აღშფოთებული ასოთ-ამწყობი

**ზაქარია რუსიშვილი.**

# მავნე სულები.

**ამბავი მოხევეთ ცხოვრებისაგან.**

ერთს მოხევის სახლში სხედან: ივანე, პოვლე, სამი სტუმარი და დედაკაცები. დედაკაცები კერის პირსა სხედან და კაცებიკია ზოგი პატარა სამფეხა სკამებზე და ზოგიკია გძელ სკამზე, რომელი დივნის მაგიერი არის და ლასტის ერთი ბოლოდამ მეორემდის სწვდება.

— იცით, ხალხნო, წუხელი პოვლეს რაი მოუვიდა, იტყვის ივანე.

— რაი?

ოხშმობის*) დრო იყო, ისრი გარეთით პოვლეს ხმა მოგვედინა.

— ქალავ! ა..ი ქალავ!

— რაიაო, გარეთ მყოფს მალიკომ დაუძახა.

— ჩირაღი გააქვეროლაო.

— „ვაი მე, ჩემს დანელებასა!“ დაიწყა ტირილი ქალმა, ავაიმე, ჩემს მასხლეტასაო!

ჩირაღი გააქვრეს და მას უკან შავიდა პოვლე და პირდაპირ დასაწოლათ მივიდა თავის საგებელჩი. ადამიანებს მთელი ღამე ერთი ოგლახი-ღა ედგა.

— წმიდაო გივარგი, შენ გვიშველე; წმიდაო გივარგი, შენ გვიშველე-ღა, გაზძახოდეს. აბა იმ ღამეს რასლა ვკითხავდი. წყეულებს რომ უწოლებიათ, ის კი გავიგეთ. დღეს დილაზე-ღა გვიამბა.

— ჩვენც გვიამბე-ღა, პოვლე როგორ იყო, ეტყვის ერთი სტუმარი.

— იმ გორა, რომ სტეფან-წმიდით რომ არ წამოვე ეკალჩი ერთი მელაის მაგიარი რაიმ დამხვდა. გამიძლვა წინა და ერთი ვერსი რაიღაც ჩემ წინ იარა. მამრე გაქრა კიდეც. მამრე ბატარაი რომ ამოვიარე, ორი ადამიანი (დედაკაცი) შამხვდა გზაზე, ერთი ერთკე უდგა გზასა და მეორე მეორეთკე, და ჩემს სახელს მიძახოდეს. შაშინდა ცხენი, კიდეცა გამაიქცა შინისაკე. ამ რბოლაჩი უკენ რაიმ შამამიფრინდა ცხენზე. გავიძვერ სატევარი კიდეცა, და დაუწყე უკენ ქნევა. როდის დამანება თავი წყეულმა კი, არ ვიცი. სახლთან რომ მოვე, მაში-ღა მომაგონდა— ცხენი თუ არ დავჭერ მეთქი სატევრის ქნევითა, მაგრამ, მადლობ ღმერთსა! არ დამიჭრია.

— კაია, თუ ღმერთი გწამს, შეგშინებია და ისაა, ცხო არც რა.

— რაი შაგშინებია! იტყვის ერთი სტუმარი; მაშ ეშმაკი არა-ა?.. ეშმაკი რომ არ იყოს, ჩვენ მაშ მიგუდას**) რაისთვი ვცხოვრობთ!?

— როგორა?

— იმ გორა, რომა ჩვენ ხევსურები ვიყვენით და ხევსურეთს ვიდეგით, იქნება შენც გაიგონე, რომა ეხლაც გვქონდა აქა მამულზე დავა და წაგვართვეს კი ის მამული; და ეშმაკის წყალობითა ვართ ეხლა მიგუდასა.

— აი კადევა!

— რაი აი კიდევაო!!.. ყური დამიგდე-ღა, მე გიამბობ როგორც იყო.—ჩვენს პაპის პაპის პაპასა როსტომ ექვინა. ძრიალ კაი კაცი სადმე იყო, რომ მეტი არ შაიძლება, 24 შვილი ხყვალია, ბევრი ცხორი, ბევრი ფური,— ისრი, რომ მეტი არ შაიძლება, იმასთან თურმე მტრობასა მტერიც ვერ ლბედავდა ისითი ძრიალი ოჯახი თურმე ხქონდა. ერთხალა გზაზე სადმე მოდიოდა და გასცქირა კიდეცა, და ეშმაკები გზის პირს სიფროზე სხედან, ლუდი არაყი დიდის ვერცხლის თასებით წინ უდგიათ; სჭამენ, სომენ, ლხინობენ, რომ მეტი არ შაიძლება, რომ დაინახეს როსტომ, დაიძახეს კიდეცა:

როსტომ მოდის რეშითა,
ცხენი მობყვავ ხვნეშითა;
ეშმაკებო, მეეცალეთ,
თორო დავხეთქსთ ფეხითა.

ეს რომ გაიგონა, გამააქანა როსტომმა კიდეცა. ერთსა ბალღი ხყვალიყო აკონჩი; გააჭყლეტინა ის ბალღი, დასცა ერთს ლუდის თასსა ხელი, (ვერცხლისა არის, მამრე ხატს შასწირა იქაურსა, ხევსურულსა. ასეთია, რომ არ შაიძლება არცა და ისითი)... ა, შენი ჭირიმე!.. დასცა იმ თასს ხელი, კიდეცა, და გამააქცია ცხენი. მამრე დასწყია თურმე ეშმაკმა, კიდეცა, ერთი შვილი მყონდაო და ისაც მომიკალო; ღმერთმა შენს სახლჩი ერთის მეტი ნუ

*) ვახშმობის ნაცვლად აქ ოხშობაა. ხშირად ვა—ქართულში ო იქცევა და ვიტყვით ხოლმე: კომლი (კვამლი), დასდო (დასდვა). მთაში მცხოვრებელმა ქართველებმა ეს უფრო ხშირად იციან.

„კრებულის“ რედაქციის შენიშვნა

## ა. ყაზბეგის ავტორობის ცოცხალი მოწმე



ასოთ-ამწყობი ზ. რუსიშვილი. 85 წლის მოხუცი.

ამყოფოსო შვიდ შვილობამდე, რომ არც გასწყდეთო და არც გაშენდეთ, ისრიო. მასუკენა დაზარალდა როსტომის სახლი; ზოგი ჭირით გაუწყდა შვილები; რომ დაცოტავდეს, მამრე მტერმა მიხჭყო ხელი (ამა კაის კაცსა მტერი რად არ ეყვალებოდა!?), ახლა იმან დახოცა. ისრი, რომა ერთი-ღა დარჩა, ისიც ხმლით დაკუწვილით და სნეული. აღარ ეცხოვრებოდა მტრის შიშითა ხევსურებში და მიგუდას*) გარდმოსახლდა. მასუკენა, ეხლა მელა მყავ შვილი, რომ თავის მამა იცნა თორო, როგორც შვილი ვის გაუჩნდის, მამა მოკვდის; შვილი მამას ვერ გაიცნობდის-კე ესრე იყო... ეხლა შენ დაგიჯინია, წყეული არ არისო. მაშ ეს რაია, თუ არ არის!?..

— როგორ არა-ა, ჩემო ყველაო: წმინდამ გივარგიმ დაწყიას, რომთენს უნახია და რომთენი უწოლებია! დაიძახებს ერთი დედაკაცი.

— არის კაცო! მაგრამ ეშმაკი გულადსა და ჯანიანს კაცს კი არ ეტანება. რომელსაც მხრებში სინათლე არ გაზდის, იმას ეტანება, ცხოს არა გულადსა და ჯანიანს კაცს კი დევი ეტანება, იტყვის ერთი სტუმარი... მე და ჩემი დედაკაცი გუდამაყარას ვიყვენით ხატჩიგა. (ძრიალ ძრიალი ხატია დიდება იმასა და შაგეწიასთ იმის მადლი!) ა, შენი ჭირიმე!... ვიყვენით...

— აცა-ღა! რომენი ხატია, დიდება იმის ძალსა? იკითხამს ერთი დედაკაცი.

— ფუცის ანგელოზი, შეგეწიასთ სუყველას იმისი მადლი!

— შენიმც შამწევი იქნება, ეტყვიან სხვანი. —...ა, შენი ჭირიმე!... ვიყვენით ხატჩიგა, კიდეცა და ერთი თუში მასულიყო იქავ; შორით რაიმ იყო ძრიალა. დიდის სამსახურით მასულიყო: მეეტანა ერთი საპალნე ღვინო, მეეყვანა ერთი მაზვერი, ისეთი, რომე კაცი გასაკვირვებელი რაიმ იყო, ლომის მაგიარი; —ქვეყანა იმას-ღა ხკვიროდა... ა, შენი ჭირიმე... თავათ თუში ისეთი ვაჟკაცი, რომ რასლა იტყვის კაცი: მაღალი, მშვენიარი, დაუწყეს კიდეცა კითხვა: ვინა ხარო, საითა ხარ? რაის სოფლის სახელი-თქო, კი აღარ მახსოვს, იქითა ვარო. თავის სახელიც გვითხრა და ისაც დამავიწყდა. ა, შენი ჭირიმე... მამრე გვიამბა კიდეცა: მე აი როგორ მოვე ამ ხატის კარზედა, დიდება ამის ძალსაო. სამამუხში ცხორი მედგაო და ერთხალა ერთი ასამდე ცხორი მამისხლტაო საითკენაცაო. წავე იმათ საძებნელათაო. წინა ღამეს ბატარაი თოვლი მოვიდა, ისრი ყაპყის მაგიარი. (კარგა ხანს ვიარეო, მილამდებოდა კიდეცაო დილას წამოსულს კაცსაო. მაგრამ ჩემის ცხორისა კოლიც ვერცადა ვნახეო). მამრე ის-ისა-ა დაბინდებას რომ აპირებდაო, ირმის კოლსა შავხედი, ვიპოვნე და ღმერთმა მამცაო... ა-ა, შენი ჭირიმე!.. მანამდი დამიღამდა კიდეცაო დავეცი ერთის ხის ძირსა, დავანთე დიდი ცეცხლი, გავთალე ორი შამფური და დაუწყე მწოდებს წვაო... ა, შენი ჭირიმე... ჩემს ახლო მთა იყოო და ერთი დიდი ხევი ჩამოდიოდა ტყიანიო. ბატარამ ხანმა რომ გაიარა, დადგა ერთი საშინელი ქუხილი და მეედვა ამ ხევს ცეცხლიო. კაცს ეგონებოდა, ქვეყანა იქცევა, ისეთი ამბავი-ღა იყოო. ამ ვაგლახში მივიცქირეო და ერთი მთის ოდენაი კაცი წამამადგა ზედაო. მოვიდა და ცეცხლთან კი ჩამომაჯდაო.

— წმინდაო გივარგიო, შენ დაგვწერე ჯორი, იტყვიან დედაკაცები.

— ა, შენი ჭირიმე!... ჩამოჯდა ცეცხლის პირასაო, აიღო ერთი შამფურიო და

კიწიწორა, კიწიწორა,
ეს მწოდი ჩემთვინ შამწორა.

გამაივლა შამფური პირში და ცარიალაი შამფურიღა კი გარდმამიგდაო. ახლა მეორე აიღა, „კიწიწორა, კიწიწორა, ეს მწოდი ჩემთვინ შამწორა". ისიც ისრი გამაივლა პირში და შამფური კი გადმამიგდაო. მწოდები ავაგეო და იმეებსაც ისრი უყოო. ვიფიქრე, რაი ვქნაო. ჩემი თოფი ხეზე მიყუდებული იყო და წინავ როგორც-კე დავინახე, ავიღე და მუხლებზე დავიდევო... ა, შენი ჭირიმე!.. ახლა თოფი მუხლებზე მიდევს, და ვფიქრობო: ვახალა თუ რაი ვქნაო? ვახალა და ზარბაზანიც ვერაც უზამსო; არ ვახალა რაი ვქნაო? დაუწყე ხატებს ხვეწნა, კიდეცაო: დიდებულნო ღვთის ანგელოზნო! თქვენ მიშველეთ. დაალნა დაშნი კიდეცა და ღლუ ღლუ-ღლუო. ჩამოვთოლე ხატების სახელები: კოპალე გმირო, ლაშარის ჯორა, კიდევ ცხოვრებიცა და აბაი! ღლუ-ღლუ-ღლუო. მაჯავრებს კიდეცაო: ვიცოდი რომ ერთი რაიღაც სალოცავი არისო, წყეულების მტერი; გაგონილი მქონდაო, მაგრამ სახელი კი ველარ მოვიგონეო. როგორც ის ჩავიფიქრიო, და წავიდის ფერი კიდეცაო: ბევრი ვიწვი-ვიდაგეო და ვერ მოვიგონე იმის სახელიო. მამრე ბოლოს დროს-ღა დავიძახეო. კიდეცა: დიდებულო ფუცის ანგელოზო, შენ მემეხმარე შენს უყმოს ყმასაო! — უყმო ყმასაო!? და ეგ რაიღა-ა, შენ გენაცვალე, იკითხავს ერთი დედაკაცი.—

— ეგ ის არის, რომა კაცი რომ რაიმე ხატის საყმოში არა ცხოვრობს, იმასა, იმ ხატის უყმოს ყმას ხქვიანებენ...

ა, შენი ჭირიმე! დავიძახეო კიდეცა: დიდებულო ფუცის ანგელოზო, ღთის შვილო.. მიშველე შენს უყმოს ყმასა და, შენმა მადლმა, სამსახურით შენს კარზე მოვიდეო. ვთქვი თუ არა, წამოვიდა ცაში ის დალოცვილი, ცეცხლის მაგიარი, დაასქდა ამ დევსა და ნაცრად იქცა კიდეცა ეს დევი. ორანი ბატარიანი ყურიანი-ღა დარჩნეს.., ა, შენი ჭირიმე!..

— ჰო, ეგრე იცის დევმა, რომ რამე არ მოხკლავს, თითონ კი ნაცრად იქცევა-კე და ყურანიკი დარჩებიან-კე.. წესი არა-ა, რომ ყურებიც ნაცრად იქცნეს.

—.... ა, შენი ჭირიმე!... ნუ გეშინიან ჩემო უყმო ყმაოო, მითხრა კიდეცაო. ადეგ და ამ ჭალას თავქვე დახყევ; თოფის სროლით და კივილით ჩაიარე და სამჯრის მეტლათ-კი ნუ ახლი. გათენების პირზე შენს ცხორსაც იპოვნი. მე კი აქათით ბალდადის ქოყანაში უნდა წავიდე: ურჯულოებში ერთ ჩემ ყმას უნდა მივეშველო... ეს რომ თქო, კიდეცა, წავიდა ის დალოცვილი ისრივა, ცეცხლის მაგიარი ცაში... (არ შეიძლება, თუ რომ კაცი ეგეთს გაჭირვებაში იქნას და შეეხვეწას რომ არ მიეშველას). მამრე, შინ რომ მოვე, არც მე ვიცოდი და ვერც ცხვებმა მითხრეს—როდის არის-კე იმ დალოცვილის დღეობა. ერთმა სასაკვირლო საქმემ მიშველა მაგ გაჭირვებაში.—ეს მაზვერი, აქ რომ მოვიყონე, თათარში ვიყიდე. არ უდგებოდა საქონელსა, ველაქ შამოვაგდეთ სახლში. ერთს დღეს

---

*) სოფელი მიგუდა მდებარეობს თითქმის 10 ვერსის სიშორეზე სტეფან-წმინდიდან (ყაზბეგის სტანციიდამ).

„კრებულის" რედაქ. შენიშ.

თითონ შამოვიდა სახლჩი და დაიკივლა; მამრე დაბრუნდა და გავიდა გარეთა. გაგვიკვირდა, ეს რაი ამბავიაო, რომ აქამდი სახლჩი ძალითაც ვერ შამოვაგდეთ და ეხლა თითონ მოვიდაო... ა, შენი ჭიიმე!.. იმ ერთხალა ყური არ ვათხოვეთ. მოორეთ კიდევ შავიდა და კიდევ ისრი ქნა. გამოვე, კიდემცა და გავყევ. წინ ის მიმიძღვება უკენ ცქერითა, ითამ—მამდევს თუ არაო? მაშინ-კი ვიფიქრეო: ეს იქნება დიდებულის ფუცის ანგელოზის ნანებები საკლავი მეთქი. ეს რომ გავიგე, მევეძზადე საჩქაროდა, ვიყიდე ერთი საპალნე ღვინოცა და გავყევ ამ მაზვერსა. იარა, იარა, მე უკენ მივდევ და სწორათ რა დროსაც უნდოდა, იმ დროს—კი მამიყონა ხატის კარზე,—ესრე კი გვიამბა იმ თუშმა.

**დ. უ. (დიმიტრი ყაზბეგი).**

სოფ. სტეფან-წმინდა.

**რედაქციის შენიშვნა:**

ჟურნალი „დროშის“ რედაქცია, ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის საკითხში, თავიდანვე ცდილობდა ყოფილიყო მიუდგომელი და მზად იყო მოეთავსებინა თავისი ჟურნალის ფურცლებზე ყველა მასალები, რომელნიც შეეხებოდენ ამ საკითხს. რედაქცია ამ ნომერში ბეჭდავს დიმიტრი ყაზბეგის ერთად ერთ გამოქვეყნებულ მოთხრობას, რომელიც დაბეჭდილი ყოფილა 1872 წ. „კრებულ'ში“. ამით რედაქციას სურს შეადაროს დიმიტრი ყაზბეგის სტილი და წერის მანერა იმ „მოთხრობებს, რომელთა ავტორად ცნობილი იყო ალექსანდრე ყაზბეგი.

მკითხველი დარწმუნდება, რომ, „მაენე სულების“ მიხედვით მეტად ძნელია დიმიტრი ყაზბეგისთვის მიკუთნება ავტორობის ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა. ყოველ შემთხვევაში რედაქცია შეეცდება ახლო მომავალში გამოსთქვას უკანასკნელი შეხედულება ამ საკითხზე.

---

**შეცდომის შესწორება:** ჟურ. „დროშის“ № 19—20-ში გაიპარა შემდეგი შეცდომა. სწერია: ყაზბეგის **დედმამები**, უნდა იყოს: **დები**.

# ვანო სარაჯიშვილი

ყველაზე უინტიმესი სქესური გზნებაა, თანვე: ყველაზე უძლიერესი. არაფერი ისე არ სახავს ამ გზნებას, როგორც „ხმა“. ხმაში მოცემულია მთელი სქესი. ხმის ნიუანსები ამ გზნების ნიუანსებია. შესაძლოა ვინმეში მარტო ხმა გიყვარდეს. უფრო მეტი: შესაძლოა ვინმე მარტო ხმისთვის გიყვარდეს. კიდევ მეტი: შესაძლოა უნახავი მხოლოდ ხმით შეიყვარო (სადმე გვერდით, საცა მხოლოდ ხმა გესმის). გარდაცვლილის ხმის მოგონება უფრო მძაფრია, ვიდრე მისი სახის გახსენება. ხმა რომ ინახებოდეს ისე, როგორ სახე ინახება, სიკვდილის საშინელებას ბევრი რამ წაერთმევა. ხმა თითქმის ყველაფერია: მასშია სურნელება სხვადასხვა ყლორტების, მასშია ფოთლები უთვალავი ფერების. ინდივიდუალობის გადმოცემა არაფერს ისე არ შეუძლია, როგორც ხმას. მართალია წყეთამდე ვასილი როზანოვის სიტყვა: პუშკინ რომ იცოდე, მისი ხმა უნდა გსმენოდეს. პოეტი უპირველესად ხმით ცნაურდება. ლექსი, ავტორის ხმის გარეშე, მხოლოდ გრამოფონის ფირფიტაა. მრავალი არტისტის სახელი მხოლოდ ხმით არის ახალისებული. ელეონორა დუზეს ლამაზს ხელებს ეჯიბრება მისი ხმა. სარრა ბერნარს ხმისთვის უფრო აღმერთებდენ. სანდრო მოისსი ხმის ჯადოში ატარებს დრამატიულ პასსაჟებს. კაჩალოვის ხმით ტფილისიც იქმნა დატყვევებული. არის ხმა, საცა მთელი რასსა მეტყველებს. ასეთია ხმა შალიაპინის. მისი ხმის ტემბრი თვითონ დიდი რუსეთის ველია, რომელმაც იცის გრიგალი, თოვლი, გავარდნა, გაგიჟება.

ვანო სარაჯიშვილის ხმაში მოსჩანდა საქართველოს რასსიული ტემბრი. სარაჯიშვილი იგივე იყო საქართველოსათვის, რაც არის შალიაპინ რუსეთისათვის. ქართული ლირიზმი სარაჯიშვილის ხმაში იყო უთუოდ. ამ მხრით იგი პირველია ქართველთა შორის. საქართველო სიმღერაა თვითონ: მარტო სიმღერა. აქ ყველა მღერის. ხმა მრავალია. არც ერთს ერს ასეთი მდიდარი სიმღერა არ აქვს, როგორც საქართველოს. მთელი ერის რასსიული ამღერება უფრო კოლლექტივშია, ვიდრე ინდივიდში. მით უფრო მაღალი იყო ვანო სარაჯიშვილი:: მასში მღერის ქართველი ერი ქალდეადან მოყოლებული კავკასიის კალთებამდე. არის ხმა უფრო ძლიერი, უფრო მაგარი, უფრო მაღალი. მაგრამ სარაჯიშვილის ხმაში იყო ისეთი „დარბილება“ და თან ისეთი „კეთილშობილება“, რომ მისი სიიშვიათე უძვირფასეს ქვას წააგავდა! არ შეიძლება ამ ხმამ ძირამდე არ შეგარხიოს. არის ხმა, რომელიც მარტო „სმენას“ ხვდება. სარაჯიშვილის ხმა პირველად „გულს“ ეპრებოდა. ამისათვისაა, რომ იგი საყვარელი იყო ყველასათვის. ასეთი ხმა საუკუნოებში ერთხელ იბადება. ყველას ახსოვს სარაჯიშვილის პირველი გასტროლები. მაშინ ტფილისი მარტო სარაჯიშვილით ცოცხლობდა. დიდი აფიშები არშინიანი ასოებით და თეატრის კასსასთან გძელი „კუდები“. მაშინ იყო ტრიუმფი არტისტის როგორც არტისტის. ძველს ჰელლადაში რომ ყოფილიყო ეს ამბავი, სარაჯიშვილს ნახევარ-ღმერთად გამოაცხადებდენ და მის კულტს დაარსებდენ.

დრო არაფერს ისე არ აჩნევს კვალს, როგორც ხმას: რადგან ხმა არის ყველაზე უნაზესი და ყველაზე უყვავილესი. სარაჯიშვილის ხმას დრომ თავისი დაღი დაასო.

მაგრამ სარაჯიშვილი არტისტი იყო ამ სიტყვის უკანასკნელი დაწმენდით და ყოველს არტისტს დიონისური ღვთიურობა ავსებს. ამ ავსილობით არტისტს შეუძლია დასძლიოს დაუძლეველი. სარაჯიშვილი რომ დიდი არტისტი იყო, ამას გრძნობს ყოველი თეატრი, საცა კი იგი გამოსულა. სარაჯიშვილი ჰქმნიდა არტისტულ ფლუიდებს, როცა იგი სიმღერას იწყებდა, თეატრში ელექტრონ გადმოვარდებოდა უეცრად. ასეთ წამს სარაჯიშვილმა არ იცოდა, რა იყო სიძნელე. ხანდახან იგი სუსტი იყო. მაგრამ ნამდვილი არტისტი არ შეიძლება იყოს ყოველთვის უძლეველი. ეს სხვათა შორის, დიდი მახასიათებელია. სარაჯიშვილიც ასეთი იყო. კიდევ: მასში იყო არტისტული დინამიზმი. მახსოვს მისი სიტყვა „როგორ უნდა ვიმღერო ერთს აქტში, როცა თანდათან მხოლოდ ბოლოში ვძლიერდებიო?!“ ასეთი თქმა შეუძლია ნამდვილ არტისტს, მართლაც: ასეთს „გაძლიერებაში“ სარაჯიშვილი ისეთს დინამიზმს იჩენდა, რომ თვალწინ გიდგებოდა სარაჯიშვილი პირველი გასტროლების. აბსოლუტური სმენა სარაჯიშვილის ცნობილი იყო. შეუძლებელი იყო მის ნოტაში მოხვედრილიყო სიყალბე. დიდი ტალანტი—უდავო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარაჯიშვილი იყო დამწყები ქართული ოპერის. „აბესალომ და ეთერი“ ვერ მოევლინებოდა სცენას, რომ სარაჯიშვილი არ ყოფილიყო. სარაჯიშვილი პირველია ქართველ მომღერალთა შორის.

როგორც ნამდვილი არტისტი, რომელშიაც ღვიოდა დიონისოს თესლი, სარაჯიშვილი ახლო იდგა პოეტებთან და პოეზიასთან. როგორც შალიაპინის სახელი ლეგენდათ გადაიქცევა რუსეთში, ისე საქართველოში სარაჯიშვილის სახელი გახდება ლეგენდათ. ამ ლეგენდის პირველი ავტორები ჩვენ ვიქნებით: პოეტები.

**გრ. რობაქიძე.**



ვანო სარაჯიშვილი.

# ანკეტები ვანო სარაჯიშვილზე:

## ვანო სარაჯიშვილი.

პირველი მერცხალი მახარობელია ბუნების გაღვიძების, გაშლის და აყვავებისა. გულის გასახარი მისი ჭიკჭიკი აღვიძებს ზამთრის ძილში წასულ ბუნებას და საგალობელ ჰიმნს უმღერს ახალი ცხოვრებისათვის გამოფხიზლებულ ქვეყანას.

ქართულ სიმღერაში, ქართულ ოპერაში ასეთი მერცხალი იყო ვანო სარაჯიშვილი.

არაჩვეულებრივი სინაზის, ტკბილი ხმა, იშვიათი ტემბრისა. ხმა რომელშიაც ჩართულია ერთსა და იმავე დროს სიხარული და სევდა, ვნება და სიყვარული, ტანჯვა და გმირობა. განა ეს ხმა არ იყო ამოხეთქილი ქართველი ხალხის გულის სიღრმიდან.

ამ ხმაში იყო რაღაც რაც ახლო გვანათესავებდა ჩვენ ყველას მომღერალთან, იყო რაღაც, რაც გამოხატავდა ხალხის საუკუნოებით ტანჯვას და ვაებას და იმავე დროს ახალ ცხოვრებისაკენ მისწრაფებას.

ვანო სარაჯიშვილის „ურმული“ ეს ხომ გოდება იყო შრომით გატანჯულ, სოფლელ გლეხისა.

„თავო ჩემო ბედი არ გიწერია“ განა აქ ვანოს სევდიანი ხმით არ გოდებდა ქართველი ხალხი ძველი ცხოვრების სიდუხჭირეს და უმსგავსობას?

ჭეშმარიტად სახალხო მომღერალი იყო ვანო სარაჯიშვილი.

ი. გედევანიშვილი.

## დიდი მომღერალი.

რაც უნდა დიდი და სახელგანთქმული მსახიობი არ იყოს, მაინც მისი ცხოვრება წამიერია. იტყვიან: დიდებული არტისტი იყო, კარგი მომღერალი, აუდიტორია თავის მომხიბლაობით ხელში ჰყავდა, მაგრამ ეს სიტყვები მხოლოდ იმ ხალხს მოჰხვდება და ისინი იგრძნობენ, რომლებმაც თვალით იხილეს და ყურით მოისმინეს.

სხვებისთვის? შემდეგ თაობისთვის? დარჩება მხოლოდ ფოტოგრაფიული სურათი სხვა და სხვა როლებში, ან სიმღერები ფირფიტაზე.

იქნებ რომელიმე კრიტიკოსმა შეაფასოს—რომელი შეფასებაც უეჭველად სუბიექტური იქნება და ვეროდეს ვერ გადასცემს, რასაც თვით მსახიობი იძლეოდა.

პოეტები, ლიტერატორები, მხატვრები ამ მხრივ სიკვდილის შემდეგ უფრო ბედნიერები არიან;

მათ დარჩებათ ნაწარმოები, რომლით თვითეულს ჩვენგანს შეუძლიან შეაფასოს, ან დაიწუნოს ან მოიწონოს; მსახიობი კი თავის თამაშთან და სიმღერასთან ერთად თაქდება.

ამ სტრიქონების წერის დროს მაგონდება ვანო და გული მწყდება: ნუ თუ ჩემი ძმა და მეგობარი, მომჯა-

დოები ყოველ ოპერის თამაშის დროს, შეუდარებელი და განუმეორებელი „აბესალომი“, პირველი დიდი ქართველი ოპერის მსახიობი—ჩემს ხსოვნასთან ერთად წავა და შემდეგ თაობას საშუალება არ ექნება მასზე ნამდვილი წარმოდგენა იქონიოს? ისევე დასტკბეს მისი სიმღერებით, როგორც სტკბებოდენ მისი თანამედროვეები?

ო რაოდენ ბედნიერები ვართ ჩვენ, ვანოს შემსწრენი, მომავალ თაობაზე! ჩვენ ვიხილეთ ვანო, ჩვენ განვიცადეთ იგი და ჩვენ დაგვატკბო!

მომავალ თაობას კი გარდაეცემა მხოლოდ მოგონება!
მოგონება კი ლანდია უსულდგმულო!
ვგლოვობ ვანოს უდროოდ დაკარგვას!
და ვამაყობ, რომ ვანო ვიხილე და საკუთარის გრძნობებით განვიცადე.

**სანდრო შანშიაშვილი.**

# ვანო სარაჯიშვილი.

—

ვანო სარაჯიშვილი ჩვენი უსაყვარლესი ხელოვანი იყო, რადგან მასში ჩასკვნილი იყო ნამდვილი ქართველური სახიერება; მისი ნაზი, ტკბილი, გრძნობით აღვსილი ხმა ზედმიწევნით გამომხატველი იყო იმ ერის თვისებებისა, რომელსაც იგი ეკუთვნოდა; იგი იყო ლამაზი როგორც არის ქართველის სული, რამაც ისეთ სიმაღლეს მიაღწია ხელოვნების ყოველ დარგში, რომლით ის შედის თამამად კაცთა საერთო ძმობაში. ამიტომ მისი ერი გულით გლოვობს მის დაკარგვას, დაკარგვას უდროოს და ულმობელს.

**დავ. კლდიაშვილი.**

სარაჯიშვილი უმთავრესად პოეტია.

მე მას წარმოვიდგენ, როგორც პილოტს—სპილენძის თვალებით, რომელიც დირიჟაბლის ფრთებიდან ეხმაურება უდაბნოს სამუმს.

ხანდახან მისი სიმღერა ისმოდა, როგორც ქვითინი ვერლენის სკრიპკის.

დაწმენდილი ხმა, ლირიულ განცდის ნჟუანსი, ქართული კოლორიტის სიჭარბე—ატრიბუტებია სარაჯიშვილის ნიჭის.

მისი სახელი შევა პოეზიაში, როგორც სახელები: ტირტეის და ორფეის.

მას თან წაჰყვება სიყვარული და მადლი ქართული მიწის.

**ვასილ გორგაძე.**

# ვანო სარაჯიშვილი.

ყოველ ერს აქვს თვისი საკუთარი სული, რომელიც ნათლად და მკაფიოდ მოსჩანს ერის სარკეში—იმისს საზოგადო კულტურაში, ხოლო კერძოდ—ხელოვნებაში. ვანო სარაჯიშვილის გამოჩენამ ქართულ ხელოვნების სასიმღერო დარგს სულიერი ცის ახალი კარი გაუხსნა, ხოლო იმისმა ნაადრევმა გაქრობამ ეს კარები ისევ მიჰკეტა.

ჩვენს სიმღერას წინადაც ჰყავდა და ეხლაც ჰყავს ერთგული და თავდადებული მუშაკი, მაგრამ მას არც ჰყოლია და არცა ჰყავს ვანოსავით გამოკვეთილი ხელოვანი. ძუნწმა ბედმა დაუვიწყარ ვანოს უხვად აჩუქა კულტურული იერი, მუსიკალური განათლება, ვაჟკაცური ტანადობა, ნათელი პირისახე, ხუჭუჭა თმა, არტისტული ცეცხლი, ხავერდიანი ხმა და ჩვენი სულის ამფორიაქებელი და აღმგზნებელი ღვთიური ნიჭი.

ბევრს მოგვისმენია ჩვენსა, რუსეთსა და ევროპაშიც უდიდესი ხელოვანნი, მაგრამ მე არ მჯერა, რომ ვანოსავით ვინმემ დასძლიოს და ამოსწუროს ჩვენი სევდიანი ლამური ურმული და შვიდსართულიანი გიჟურ-გენიალური კახური.

ქართულ ოპერასაც დედა-ბოძი გამოეცალა. დაობლება ყველას და ყველაფრის ხვედრია, მაგრამ ასეთი დაობლება და ასე ეულად დარჩენა ჩვენთვის და ჩვენი ნორჩი ოპერისთვის მეტის მეტად გაუძლისი და სასტიკია. ალბად კიდევ კარგა ხანს ვივლით გულცალიერნი და თვალცრემლიანნი ყველანი—ქართულ ოპერისა და სიმღერის მსმენელნიც, მომღერალნიც, შოთას დამწერი არაყიშვილიც და აბესალომის მამა მაქრო ფალიაშვილიც.

არ ვიცი, ამიერიდან ვისი კახური აგვშოტავს და აგვიტაცებს ცაში, ვისი ურმული და „თავო ჩემო“ გაგვიღხობს გაყინულ სულს და რომელი აბესალომი დაგვწვავს იმქვეყნიურ საამურ შანთით.

დავობლდით და დავლამდით. და ნუგეშად დაგვრჩა ღრმა იმედი, რომ ჩვენი მადლიანი და უხვი მშრომელი ხალხი თავისს იდუმალსა და დაუშრეტელ ზღვაში კიდევ გვიპოვნის ახალ მნათობს, რომელიც ვანოობას გაგვიწევს და ჩაბნელებულ სულიერ გზას კვლავ გაგვინათებს. ულეველი და უზღურბლოა მისი გული!

**მიხეილ ჯავახიშვილი—ადამაშვილი.**

# ვანო სარაჯიშვილის დასაფლავება.

„ხელოვანთა სასახლე“ ყველაზე პოპულიარული სახლი გახდა ტფილისში.

აქ ესვენა ვანო სარაჯიშვილის ცხედარი. მას სდარაჯობდენ ქართველი პოეტები, არტისტები, არ დარჩენილა არც ერთი ქართველი ხელოვანი, რომ მას არ მოეხადა ვალი საპატიო ყარაულისა, სარაჯიშვილის ცხედრის წინაშე.

ხუთშაბათს ღამით, როდესაც დარბაზში თითქმის არავინ იყო, სახალხო არტისტი ვასო აბაშიძე, მთელი საათი იდგა მიცვალებულის სასთუმალთან. ნახევრად დაბინდებულ, დათალხულ დარბაზში, ვასო აბაშიძე ჰგავდა ფრთებ დამძვრალ ბებერ ორბს, გაყუჩებულს და მთვლემარეს. კუბოსთან, ნოხზე დამხობილია მარო სარაჯიშვილი, განსვენებულის ცოლი და მზრუნველი, რომელი

# ვანო სარაჯიშვილი.

უკანასკნელი ამბები ჰქუხან
და ამ ცხოვრების ყველა ხვეული
ქანაობს, როგორც ბებერი მუხა
ტიალ მინდორზე ძირ-შერყეული.
განმეორებით რეკავენ ხმები
და იზნიქება შავების ლილი...
სამშობლო მხარევ! გაშალე თმები,
აღარ გყავს ვანო სარაჯიშვილი!
სიკვდილი მოდის, ვინ გასცემს პასუხს?
გულს კაეშანი აეგლისება...
ეს ტკივილები ვინ დაგვიფაროს,
ეს დანაკლისი რით შეივსება?
ვიცი არაფრით... მაგრამ იქნება
საშვილო-შვილოდ ლეგენდარული:
გაუგონარი ტკბილ—ხმოვანება,
დაუშრეტელი გრძნობის არული.
ჩვენ ყურთა სმენას ჯერ კიდევ ალზენ,
რეკს როიალი, კვნესს პიანინო...
შენ, დიდ ხელოვანს გიყვარდა ხალხი
და ხალხთან ერთად კახური ღვინო!..
ღვინო, მუსიკა, ვინ მოსთვლის ძმაო,
რამდენი ტანჯვა... პირს ალებს კუბო...
მაგრამ გრძნობები ვით დაიგუბოს
შავ, გარინდებულ ყრუ სასაფლაოში?
„იტირე მარო, გული იჯერე“,
დე, ზანდეს ცრემლი ალესილ ლიწვებს!
ბედო! წკრიალა ხმებით მოღვაწე—
რად მოგვიკალი, რად შეგვიჩერე?
აღარ ხარ, არა, მაგრამ არ კმარა—
ეს მშობელ ერის სანუგეშებლად!
მის სამსახურში დაიწვი ფერფლად,
მუსიკა, ხალხი გახსოვდა მარად.
და ეს ლეგენდა, ეს სიყვარული,
ეს მწუხარება, ეს სათნოება,
განცდის გრძნობებში შემოპარული:
უკანასკნელი გამოთხოვება—
დარჩება ისევ ყოფნის სიმბოლოდ
რომ განცდა გრძნობით წამოიყვანოს...
და ზღვა გულებში იქნება მხოლოდ:
უკვდავი მარად სახელი ვანოს!

**იონა ვაკელი.**

# ვანო სარაჯიშვილს.

## ძვირფასო ვანო!

ქართველი ასოთ-ამწყობები დამწუხრებულნი შენი უდროოდ გარდაცვალების გამო, შენს ცივ სამარესთან გიძღვნიან უკანასკნელს სალამს:

ძვირფასი სურა ცრემლებით სავსე,
ცივ სამარეში თან ჩაიტანე,
სანამ სცოცხლობდი, ჩვენი იმედი,
განაბრწყინვალე, ცას აიტანე...

მაშინ გვიმღერდი, როს ფიქრი—სევდა,
გოდების ფერფლად გვაქცევიდებოდა;
და ჩვენ დაღვრემილთ ისევ რიგრაჯი—
ნათელ-სხივებად გვილვივდებოდა!

დე, საყვარელი დღეს ძეგლი შენი
მშრომელთა გულში ღრმად ჩაიმარხოს,
რომ ჩვენს მომავალ შთამომავლობას
უფრო ბრწყინვალე ვანო ენახოს!

„დროშის“ ასოთ-ამწყობი

**დათიკო ღოლობერიძე.**

გულმოსაკლავად ატირდება, როდესაც მეორე დარბაზიდან მოისმის ორკესტრის ზრიალი—„თავო ჩემო ბედი არ გიწერია“.

ხალხმა გაიგო მიცვალებულის გადმოსვენება სასახლეში, ყვავილების გვირგვინები მოსცურავენ დარბაზში, როგორც ფერადი ვენეციის გონდოლები.

მეთაური ტფილისის მწუხარე დღეების კოტე მარჯანიშვილია.

ძვირფასი „დადგმა“ ვანო სარაჯიშვილის გასვენებისა მას უფრო გაუძნელდა, ვიდრე ყველა მისი ფანტასტიური გამარჯვებანი სცენაზე.

შუაღამემდის არ იშლება დემონსტრაცია. გასვენების მომწყობმა კომისიამ, მილიციამ და კომენდატურამ ვერ შესძლეს შეეჩერებიათ ხალხი, რომელიც მოაწყდა სასახლეს პარასკევს და შაბათს გასვენების წინა დღეებში.

განმეორდენ დღეები ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის დასაფლავების.

მარტო ქართველებისაგან არ შესდგება ეს უნაპირო ზღვა. აქ არის ყველა ეროვნება. მწუხარება აქ ლაპარაკობს ათეული ენით.

სომხეთის მსახიობი ალიხანიანი, ქართულ ხელოვნების ძველი მეგობარი კუთხეში სდგას გაკმენდილი. მის დანახვაზე მაგონდება ოვანეს თუმანიანი.

ოპერის მსახიობმა პოპოვამ, თითქოს მიიღო თავის თავზე ყვავილებზე გამგეობა. მზრუნველობით ალაგებს გვირგვინებს, ფრთხილად ეხება ვარდების ფურცლებს, ასწორებს მათ.

ყარაულად სდგანან ძმები ფალიაშვილები.

კიდევ ისმის მეზობელ ოთახიდან მუსიკის კვნესა: „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“ ორივე ძმა შეტორტმანდება, ებრძვიან ცრემლებს.

მათ სცვლიან დავით კლდიაშვილი და კოტე მაყაშვილი.

კუბოდან მარცხნივ სდგას ხუთი ძმა სარაჯიშვილები. მათ იციან, რომ მათი რჩეული ძმა ყველას უყვარდა, მაგრამ მათ არ იცოდენ თუ ეს სიყვარული გადაიქცევოდა ნიაგარათ.

შაბათ ღამეს ორკესტრებს სცვლიან ორკესტრები, ხოროები მორიგეობენ.

მაჩაბლის ქუჩა ირხევა, როგორც დიდი მიწის ძვრის დროს.

ყოველ წუთში ხალხში გაისმის კივილი. არიან დაშავებულნი. დედები ეძებენ დაკარგულ ბავშვებს.

სასახლის ალაყაფის კარებს ხალხი აწყდება ისე— თითქოს ხანძარია და თავის შველა უნდათ.

მხოლოდ ღამის ორ საათზე დაიცლება დარბაზი, მაგრამ ცხედარი მაინც არ რჩება მარტო. მას ფუტკარივით ესევიან ახალგაზრდა მხატვრები, რომ შეუნახონ მომავალს სარაჯიშვილის გადაცვლილი, მაგრამ მაინც ძვირფასი სახე.

კვირას გასვენება გადაიდო სამი საათისთვის, რადგან იმავე დღეს ზემო ავჭალაში მიდიან მთავრობა და ორგანიზაციები, რომ დაესწრონ „ზაჰესის“ დღესასწაულს:—მტკვარი საუკუნეებით მიჩვეული თავის ნაპირებს, იმ დღეს გადადის ახალ არხში, მიტომ რომ მისცეს ტფილისს ახალი სინათლე და ბრწყინვალება.

სამ საათზე იწყება ვანო სარაჯიშვილის გამოსვენება. ხელოვანთა სასახლის კარებთან მაჩაბლის ქუჩა უეცრად გადაიქცევა ათას ფეროვან ბაღად.

საერთო მწუხარებას უფრო ალრმავებს და ტირილად აქცევს სკრიპკით, ვიოლონჩელით და როიალით შესრულებული ლისტის პანაშვიდი. უკანასკნელი მუსიკალური სიტყვა ეკუთვნის მაესტრო გოროვიცს.

სახალხო განათლების სახელით ლაპარაკობს იოსებ გედევანიშვილი, კომპოზიტორი იპოლიტ ივანოვი ეთხოვება მიცვალებულის ცხედარს რუსული ხელოვნების სახელით.

ამხანაგები ოპერიდან მიასვენებენ კუბოს. ხელოვანთა სასახლის აივნიდან მთავარი კომიტეტის სახელით ლაპარაკობს პაოლო იაშვილი.

ათამდე ორკესტრი შეხვდება კუბოს სამგლოვიარო მარშით. ქუჩის მარცხენა მხარე ელვარებს ჯარებით. იხრებიან უამრავი დროშები. უზარმაზარი კოტე ფოცხვერაშვილი, შემდგარი მაგიდაზე, თითქო ჰფარავს ქუჩას თავისი გძელი ხელებით, რომელთაც ემორჩილება რევოლუციონურ სულთათანას შემსრულებელი აკადემიური ხორო.

მაჩაბლის ქუჩიდან ოპერის თეატრამდე—ხალხი სდგას როგორც მინაში ჩალურსმული.

# შურის მაძიებელი

I



ჯავახიშვილი—ადამაშვილი.

— მაიკო! გესმის, მაიკო! აქ მოდი... აქ შემოდი, ჩქარა!

მაიკოს ქმარი ქაიხოსრო ღართიშვილი შეფიცხებული იყო. ალეწილი დარბოდა ოთახში, ხელებს იქნევდა, წვერ-ულვაშს იწეწავდა და ბრაზს ავეჯეულობაზე იყრიდა.

— გესმის, აქ მოდი მეთქი!

სკამი გარახუნდა და ფეხები გაფშიკა. საფერფლემ დაიჰახუნა და ძირი ჰერს მიუშვირა.

— მოვდივარ... რა გინდა, რა დაგემართა?

— დაჯექი.

პატარა, შავგვრემანი და ფუნჩულა მაიკო სავარძელზე ჩამოჯდა. აწეწილი და ხუჭუჭა თმა შეისწორა და დიდრონი უმანკო თვალები ქმარს შეანათა.

— რა გინდა? რა მოხდა?

ქაიხოსრო გალიაში დამწყვდეულ მხეცივით დარბოდა ოთახში.

— საზიზღრობა მოხდა. ამ ჰარამზადამაც მომატყუა.

— ეხლა რომ გავიდა?

— ჰო, ეხლა რომ გავიდა. იმ რუსმა მაინც თავიდანვე ხელი აილო. მიილო ხუთი თუმანი და გადაიკარგა. ამ ჯიბგირმა კი თორმეტი თუმანი გამომართვა, სამი კვირა მატარა და ეხლა მეუბნება: არ შემიძლიანო, კარგი ვაჟკაციაო, ვერ გავიმეტეო.

— კარგი ვაჟკაციაო?! ვილაც ჯიბგირი ყოფილა ეგ შენი მიკიჩა, თორემ ლევან ნარიშვილის ვაჟკაცობა რა მოსატანია!

— შენ ეგა სთქვი, და! ან რომელი ვაჟკაცი გამომინახეს ლევანი?! ყორანივით შავი, მოპრანჭული და დიდცხვირა! ჰმ! ვაჟკაცი?.. ჰარამზადა ვაჟკაცი!.. ჯიბგირი!.. სალახანა!

-- მაშინვე გითხარი, ლევანს მე თვითონ მოვკლავ მეთქი. მაგისთანა საქმეს დაქირავებულ ნაძირალს ნუ მიანდობ, თორემ გაგვცემენ და დაგლუპავენ მეთქი.

ქაიხოსრო გვერდით მოუჯდა მაიკოს.

— გენაცვა, მაიკო, შენ როგორ გაგიმეტო, თორემ შენი გეგმა ძალიან კარგად არის შედგენილი.

— რომელ გამეტებაზე ლაპარაკობ, ქაიხოსრო! ჩემი გამეტება რა მოსატანია! ერთხელ კიდევ გეუბნები: ეშმაკიც ვერ გაიგებს ამ ამბავს. ყური მიგდე...

და მაიკომ მეათეჯერ გადუშალა თავის ქმარს გეგმა ლევან ნარიშვილის მოკვლისა.

ქაიხოსრო კი მეასეჯერ გაიძახოდა:

— არა, მაიკო, არა... არ შემიძლიან, არ შემიძლიან.

ვერ გაგწირავ, ამ საქმეში ვერ ჩაგრევ. აბა რა ქალის საქმეა კაცის მოკვლა!

მაგრამ დღეს მისი „არა-არა“ წინანდელზე უფრო ლბილად ისმოდა, მისი სიმტკიცე იბზარებოდა და საცაა უნდა გატეხილიყო.

ლოგინში შუაღამემდის ჩურჩულებდნენ.

შურისძიებით გახერხილი მაიკო რამდენიმე საათს ქმარსაც ხერხავდა. ტანშიშველი და გაწეწილი, თითქმის გატეხილ ქმარს თავეთ წამოსჯდომოდა და ისედაც დაღლილ ტვინს უკორტნიდა:

— იქნება შენ დაივიწყე ის ამბავი, თორემ მე სიკვდილამდის ვერ დავივიწყებ. დღე არ გავა, რომ სიმწარისგან გული არ წამივიდეს და ბავშვივით არ ავტირდე. ამდენი წელიწადი წელში ვსწყდებოდით, სიმშილს ვითმენდით, ტიტვლები დავდიოდით. ბედმა ძლივს გადმოგვხედა და ორიოდე გროში მოგვაწოდა. ისიც ვიღაც ოხერ-ტიალმა ნარიშვილმა შეყლაპა! თავის საყვარლებს შეაჭამა! მე კი... მე ფეხშიშველი დავდიოდი.. მთელი ზამთარი გარეთ ვერ გავედი, რადგან ჩაუცმელი ვიყავი.. სტუმარიც ვერ მივიღე... ოჰ, ღმერთო! ღმერთო!

მაიკო ასლუკუნდა.

— კარგი, გენაცვა, კარგი... გეყოფა, დამშვიდდი.

— როგორ თუ დამშვიდდი! ნეტა შენ, რომ აგრე არხეინად გძინავს. ოღონდაც! ზოგი ჩემს გულში ჩაიხედე და ნახე, იქ რა ჯოჯოხეთი ტრიალებს. მიწოლილა არხეინად და სხვას არაფერს ეკითხება. შენ ვაჟკაცი კი არ ყოფილხარ, შენ... შენ ქალაჩუნა ხარ! დიაღ, ქალაჩუნა ხარ მეთქი?

ქაიხოსრომ წამოიწია, ოთახი გაანათა და მაიკოს ვალერიანის წამალი დაალევინა. თანაც ამშვიდებდა:

— ჯერ დაწყნარდი და მერე ერთხელ კიდევ მოვიფიქროთ.

— რაღა დროს ფიქრია!—სლუკუნით შეუტია მაიკომ. ორი თვეა ფიქრობ, საქმე კი არა სჩანს.

— კარგი, თუ აგრეა, ლევანს მე თვითონ მოვკლავ, მაგრამ...

— არა. ათასჯერ გითხარი, შენ ამ საქმეში არ უნდა ჩაერიო მეთქი. შენ განზე გადექი და ისე მოაწყე საქმე, რომ ხელი ვერ ჩაგკიდონ. თორემ, თუ დაგიჭირეს, მეც ულუკმაპუროდ დავრჩები და რკინისგზის საქმეც ხელიდან წაგივა. მართალია, შურისძიებით გავძღებით, მაგრამ არც ის საქმე უნდა წაგივიდეს ხელიდან.

კიდევ დიდხანს ზომეს და სწონეს ლევან ნარიშვილის მოკვლის გეგმა, რომელიც ძალიან კარგად იყო დალაგებული: მაიკოს უნდა ივდითობა გაეწია და მოეკლა ქაიხოსრო ღართიშვილის ოჯახის ოლოფერნი—ლევან ნარიშვილი, რომელმაც ღართიშვილები გაანიავა.

ლევან ნარიშვილმა და ქაიხოსრო ღართიშვილმა ერთ თვეში ერთმანეთი გაიცნეს, დაიმეგობრეს და ერთს ისეთ საქმეს მოჰკიდეს ხელი, რომ ის საქმე ოქროს ყუთს უდრიდა.

ნარიშვილს ჯიბეში ედო მოსაგები საქმე—რკინის გზასთან დადებული მეტად სახეირო ხელშეკრულება. მაგრამ ფული არ ჰქონდა. მუდმივ უფულო და უსაქმო ქაიხოსრო ღართიშვილს სწორედ იმ დროს ფული გაუჩნდა: იმ ხანებში იმისმა მარტოხელმა ბიძამ სული განუტევა, ხოლო მისი სახლი ქაიხოსროს დარჩა. ქაიხოსრომ იმ სახლის შემოსავალი გამოიანგარიშა, და რადგან აღმოჩნდა, რომ ის სახლი შემოსავალზე მეტ ხარჯს მოითხოვდა, მაშინვე იგი თავიდან მოიშორა.

ნარიშვილი და ღართიშვილი ისე ენდნენ ერთმანეთს, რომ ხელწერილი არც კი დასდეს. ფული და საქმე შეაერთეს და ოქროს ყუთს წააწყდნენ. წააწყდნენ და მოგების განაწილებაში ერთმანეთს წაეჭიდნენ. ბოლოს დავა იმით გათავდა, რომ ერთხელ ქაიხოსრო ღართიშვილი თითქმის გულწასული დაბრუნდა სახლში.

— დავიღუპე... დავიღუპეთ... ფული დამცინცლა.. საქმე წამართვა...

ერთი საათის შემდეგ, როცა ქაიხოსრომ გული მოიბრუნა, გამწარებული ცოლ-ქმარი ჯერ ერთმანეთს დაეტაკნენ. ერთი-მეორეს აბრალებდნენ, ლანძღავდნენ და საყვედურით ავსებდნენ. მერე ორივენი ნარიშვილს დაუბრუნდნენ:

— მოვკლათ!.. მოვაკვლევინოთ!.. არ შევარჩენთ!

შურისძიების გარდა ქაიხოსროს ნარიშვილის საქმის დაჩემებაც ელანდებოდა.

ამ წივილ-კივილსა, უძილო ღრენისა და მოკვლის სამზადისში თვეზე მეტი გავიდა.

გაწიწმატებული მაიკო მოსაკლავად იწევდა, ხოლო ქაიხოსრო ცოლს არ იმეტებდა. თვითონაც ეშინოდა საკუთარის ხელით ანგარიშის გასწორება, რადგან არც დაპატიმრება ასცდებოდა და საქმეც ხელიდან წაუვიდოდა.

დრო გადიოდა. მაიკოს ბრაზი არ კლებულობდა, დღითი დღე კიდევაც მატულობდა. დილიდან რომ მოჰყვებოდა ქმრის ხერხვას და ღრღნას, შუაღამეს ძლივს გაათავებდა:

— დიაცო!.. ლაჩარო!.. ქალაჩუნავ! მე უნდა ვყოფილიყავი მამაკაცი, შენ კი ქალად უნდა დაბადებულიყავი. ვერც შენ ახერხებ იმ ჰარამზადას გათავებას და მეც ხელფეხს მიკრავ. დიაცო!.. ქალაჩუნავ!.. ნაცარქექიავ!

ბოლოს ქაიხოსრომ ველარ გაუძლო და იმ ღამეს მაიკოს კისერი მოუღრიკა:

— გეყოფა, გენაცვა, იკმარე... თანახმა ვარ. ოღონდ ერთხელ კიდევ უნდა მოვიფიქროთ, თვითეული ნაბიჯი უნდა ავწონოთ და გავზომოთ, თორემ...

— ყოველიფერი ასჯერ ავწონე და გავზომე. გათავებულია! ხვალვე საქმეს შევუდგები. გაჩვენებ ვინც ყოფილა მაიკო... ნახავ... გაიგებ.

ბურანში წასული და ღელვით მოქანცული ქაიხოსრო ლუღლუღებდა:

— კეთილი... კარგი... ხვალვე შეუდექი... ძალიან კარგი...

II

მეორე დღეს მაიკომ ჰკითხა ქაიხოსროს:

— სად ატარებს საღამოობით დროს ნარიშვილი?

— დაიცა, ქალო, ნუ აჩქარდები. ერთხელ კიდევ მოვილაპარაკოთ.

— გეყოფა ამდენი ჩხირკედელობა!—შეუტია მაიკომ. სთქვი, სად ატარებს დროს?

— ქართულ კლუბში. ზოგჯერ სინემაში. ზოგჯერ ლალიძესთანაც შეივლის ხოლმე.

— კეთილი. დანარჩენი მე ვიცი.

— რაკი არ მოგიშლია, ერთს კიდევ გეტყვი: მაშ ასე: შენ ლევანი ადვილად აგყვება... მოსწონხარ.

— მოვწონვარ? საიდგან იცი?

— თვითონ მითხრა ხუმრობით.

— რატომ აქამდის არ მითხარი?

— რა ვიცი, დამავიწყდა. მაშ ასე: ადვილად აგყვება მეთქი. მაგრამ შენ ისე უნდა მოახერხო, რომ სხვებმა არ დაგინახონ. შეგხვდება თუ არა, მაშინვე აიყოლე და მიყრუებულ ქუჩებით გაჰყევი. ხმა, კრინტი არ დასძრა ჩვენი ანგარიშების შესახებ; ვითომ შენ არაფერი იცი, თორემ საქმე თავიდანვე ჩაგვეფუშება.

— ვიცი, ვიცი! ნუღარ მასწავლი.

— იცი, მაგრამ ერთი რამე კიდევ უნდა გითხრა: ჯერ დაათვრე და მერე... თორემ... ჰა, ფრთხილად! არაფერი მოხდეს... ნამუსს ნუ დასთმობ...

— კარგი, გაათავე, ხომ არ გაგიჟდი! სინიდისი აღარ გაქვს, მაგას რომ მეუბნები?!

— ნუ ცხარობ, ქალო. ვინ იცის შეიძლება ისე დატრიალდეს საქმე, რომ იმან თავისი გაიტანოს და შენ შენი საქმე მერე შეასრულო. თუმცა... ერთი სიტყვით შენ იცი... შენის იმედით ვარ. ეხლა სად მიხვალ?

— პატარა ხანჯალს ვიყიდი. ისეთს პატარას, რომ კაბის ქვეშ ადვილად დავმალო.

— სანამ შენ ივლი, მეც უნდა ვიარო აქეთ-იქით. საბუთი უნდა მქონდეს, რომ იმ ღამეს მე ამხანაგებთან ვიყავი, თორემ... მაშინვე მე მტაცებენ ხელს.

საღამოზე მაიკო კოხტად მოირთო. კაბის ქვეშ ერთი მტკაველის სიგრძე ხანჯალი ჩამოიკიდა და სთქვა:

— ისეთ ალაგას ვიყიდე ეს ხანჯალი, რომ ეშმაკიც ვერ მიაგნებს იმ კაცს.

— მე საათის პირველზე ან ორზე დავბრუნდები. შენ უნდა ჩემზე ადრე დაბრუნდე.

ორივენი ღელავდნენ, ერთ სათქმელს სამჯერ იმეორებდნენ, კვლავ ერთმანეთს არიგებდნენ და გულის ფანცქალით წასასვლელად ემზადებოდნენ. ბოლოს ერთმანეთს ჩაეხვივნენ, ჩაეკონნენ და იქამდის ვეღარ მოსწყდნენ, სანამ სული არ შეუგუბდათ. ორივეს თვალთ ცრემლი მოერიათ:

— ვინ იცის... იქნება... ვინ იცის, რა მოხდეს...

— არაფერიც არ მოხდება მაგრამ... მაინც...

კიდევ ჩაეხუტნენ და ისე გამოეთხოვნენ ერთმანეთს თითქოს ერთმანეთის ნახვის იმედი აღარა ჰქონდათ.

— აბა, შენ იცი.. შენი ჰკუის იმედით ვარ. მ ვიდობით!

— მშვიდობით! მშვიდობით!

ორივენი გავიდნენ. ქაიხოსრო ვერისკენ წავიდა, მაიკომ რუსთაველის პროსპექტისკენ ჩაუხვია.

მიდიოდა და ქუჩის ორივე ნაპირს ათვალიერებდა. ჯერ ერთ სინემაში შეიხედა.

ლევანი არსად მოსჩანდა.

მაიკომ „ეთერსა" და „არფასტოსაც" მოავლო თვალი. არც აქ იყო ლევანი.

ჩაიარა გრძელი ქუჩა, მობრუნდა, ლოლიძეს ყავახანაშიც შეიხედა და ისევ გატრიალდა.

ქართულ კლუბში შევიდა და დაჩრდილულ სკამზე ჩამოჯდა.

კლუბის ხეივნები თანდათან ხალხით ივსებოდა. მუსიკა უკრავდა. ოციოდე თეთრი მაგიდა მუშტარს ელოდებოდა.

მაიკო ჯერ ღელავდა, მერე დამშვიდდა. ფიქრობდა:

— შეიძლება დღეს არც კი მოვიდეს. ტყვილად არ უნდა ავღელდე, ნერვიული ენერგია უნდა გამოვიზოგო. ისე უნდა გავმაგრდე, როგორც კაცი, თორემ.. შეიძლება მიმიხვდეს. დავიღუპები, ან შევრცხვები.

იმავ სკამზე უცნობნი ჩამოსხდნენ. ლაპარაკობდნენ შესახებ ცხოვრების გაძვირების, სახლების გაიაფების, ჯამაგირების დაკლება-მომატებისა და აუტანელ სიცხისა.

მხოლოდ მაშინ გაახსენდა მაიკოს, რომ ბაღშიც გაუძლისი სიცხის ბუღი ტრიალებდა. ხელსახოცით ოფლის მარგალიტები მოიწმინდა და ისევ თავის ჰაზრს დაუბრუნდა.

ბოლოს თვალი მოჰკრა ლევან ნარიშვილს. ძლივს იცნო.

— ღმერთო ჩემო, ორ თვეში როგორ გამოცვლილა!

თავით ფეხებამდის თეთრებში იყო ჩაცმული. ახლად გარეცხილს და დაუთოვებულს ჰგავდა. გვერდით ქერა ქალი მოსდევდა.

— ჰარამზადავ! რომ იპრანჭება კიდევაც!... ნეტა ეს ქალი ვილა არის? არსად მინახავს... ესეც იგრიხება.. შორიდან უფრო ლამაზი მოსჩანდა... მეტის-მეტად წაგლესილია... თევზის თვალები აქვს.

ორივენი მაიკოს გაუსწორდნენ.

—ქალბატონ მაიკოს ჩემი სალამი!

მაიკომ თვალები მოჟუტა, ლევანს გაუღიმა და ორჯერ-სამჯერ მეგობრულად ჩაუქნია თავი. გულში კი ზხამიანმა ისარმა გაჰკრა:

— ჩემი სალამი! ჰმ... დამაცა, სალამს გაჩვენებ!.. მალე, დაგიქვრივებ მაგ პრანჭიას... დამაცა... ჰარამზადავ! უსინიდისო სალახანავ!

და ერთის წუთითაც არ მოაშორა თვალი ნელის ნაბიჯით მიმავალ კოხტა ქალ-ვაჟს.

უკან რომ გამოტრიალდნენ, ლევანმა მაიკოს ისევ ჩაუღიმა:

— მარტო ბრძანდებით, თუ ქაიხოსროც აქ არის?

— ჯერ მარტო ვარ. ქაიხოსრო არ მოვა.

წავიდნენ. ქალებმა ერთმანეთი შურის თვალით გაზომეს.

— ეს კარგად ვუთხარი.—გაიფიქრა მაიკომ.—ჯერ მარტო ვარ მეთქი ესე იგი, ჩემთან მოსვლის ნება მიეცი... მოვა, უეჭველად მოვა... ნეტა გამაგებინა იმ ქალის ვინაობა... პრანჭია! მაჯლაჯუნა! მალე აგიტირებ მაგ თევზის თვალებს! ჯოჯოვ!

ათიოდე წუთის შემდეგ ლევანმა ის ქალი ვიღაცას გადაულოცა და თვითონ მტკიცე ნაბიჯით პირდაპირ მაიკოსკენ წამოვიდა.

— საღამო მშვიდობისა, ქალბატონო მაიკო! რა ამბავია, რა მოხდა? ამ კლუბში მხოლოდ მეორეჯერ გხედავთ.

ახლოს მოუჯდა და ხავერდის თვალებით მოუალერსა.

— მეორეჯერ? საიდან იცით? წინათ ხშირად მოვდიოდი.

— ხშირად? მხოლოდ ორი თვეა რაც გაგიცანით, მაგრამ შორიდან ხუთი თუ ექვსი წელიწადიც გიცნობთ. რა ბრძანეთ? საიდგან გიცნობთ? დამნაშავე ვარ. თქვე-

ნისთანა ქალს ძალაუნებურად დავადგი თვალი... არა, ღმერთმანი არ გეფერებით. მთელი ქალაქი გიცნობსთ.

— მართალს ამბობს,— ფიქრობდა მაიკო, სანამ ლევანი ფიცულობდა.— გულწრფელი კაცი მოსჩანს. მართლა მთელი თბილისი ლამაზ ქალად მთვლის, ეს კაცი რაღად უნდა ქლესაობდეს?.. ალბათ ამასაც მოვწონვარ. აკი ქაიხოსრომაც მითხრა. კარგი... ძალიან კარგი... თევზი ბადეს ეტანება.

— მართალია, მე და ქაიხოსროს უსიამოვნება მოგვივიდა, მაგრამ თქვენ ალბად განზე სდგეხართ. დარწმუნებული ვარ, რომ ქაიხოსრომ თქვენ არ მოგცხოთ ის შხამი, რომელმაც ჩვენ ერთმანეთს გაგვყარა. თუმცა... ალბათ გიამბოთ...

— ჰო, რაღაც მიამბო, მაგრამ მე... დამავიწყდა კიდეც... არც დავუჯერე.— ხმამაღლა ლუღლუღებდა მაიკო, გულში კი ძლივს იმაგრებდა სიავისა და ბოროტების შადრევანს.

— სხვა ჩემ მაგივრად ქაიხოსროს საპატიმროში ჩასვამდა. მე კი ვერ გავიმეტე... თქვენ ვერ გაგიმეტეთ, თორემ ქაიხოსროს არ დავინდობდი.

რაო? რას როშავს ეს სალახანა?! ქაიხოსრო და საპატიმრო?! მე ვერ გამიმეტა! ეს ჯიბგირი თვითონ უნდა იჯდეს ცხრაკლიტულში... ჩაჯდება კიდეც, თუ დასცალდა... თუ მაიკომ დააცალა.

— არ მესმის... რა ჩაიდინა იმისთანა ქაიხოსრომ?

— არ იცით? არ გიამბოთ ქაიხოსრომ? მეც აგრე მეგონა. ნამდვილი ამბავი ალბათ ყირამალა გადაატრიალა, თავის თავი გაითეთრა და მე გამაშავა. რაკი ეგრე მოიქცა და თქვენს თვალში ალბად სალახანად გამომიყვანა, მეც იძულებული ვარ ქაიხოსრო გავიმეტო და ყველაფერი მოგახსენოთ.

და მოახსენა.

ეს რა ამბავია?! რას ამბობს ლევანი?! დაიჯეროს მაიკომ? რაო, რა სთქვა? ქაიხოსრომ საერთო ფული მიიღო რკინის გზის სალაროდან და გაფლანგა?! ქაღალდში წააგო!.. იმ კლუბში!... ანგარიში გაასწორეს და ლევანის ფულიც ზედ დაედო!.. დაუჯერებელია!.. შეუძლებელია! მაშ რის იმედით უჩივის სასამართლოში ლევანს?

— მაშ აგრე გამაშავა ქაიხოსრომ?— სცხარობს ლევანი.— რაკი ქაიხოსრომ არ დამინდო, მაშ არც მე დავინდობ და ერთ სამართლეს კიდევ მოგახსენებთ, დიად სიმართლეს, რადგან მეცოდებით. ფულის გაფლანგვის მიზეზი მარტო ქაღალდი კი არ იყო, არამედ... ქალიც.

ღმერთო დიდებულო! ეს რა მეხი დაატყდა მაიკოს? ლევან, ნუ ხართ მაგრე დაუნდობელი და პირდაპირი! მაშ ქალიც ურევია ამ ჭუჭყიან საქმეში! ვინ... ვინ არის ის ქალი? ლევან, ნუ უმალავთ მაიკოს... ნუ სტანჯავთ საწყალ მაიკოს. რაკი შხამი შიაწოდეთ საბრალო ქალს, ბარემ დაალევინეთ კიდეც... სთქვი ვინ არის ის ქალი? ნუ გეშინიანთ, მაიკო პატიოსან სიტყვას გაძლევსთ, რომ ქაიხოსროს არაფერს ეტყვის. თქვენს სახელსაც კი არ ახსენებს... უთხარით, ყველაფერი უთხარით. ნუ შეშინდებით, მაიკოს გული არ წაუვა... არც იტირებს. რაო? მაიკო სტირის? სირცხვილია ტირილი ამოდენა ხალხში?! ჩრდილში სხედან, მაიკოს ხმა არავის ესმის... არც მის ცრემლს ჰხედავენ... კარგი, კარგი. მაიკო აღარ სტირის, აღარ იტირებს. ოღონდ უთხარით, იმ ქალის სახელი უთხარით ვინ არის? ნინო შალიშვილი? ის ქალია, წეღან რომ რომ ლევანი მოსდევდა?! ეხლა სად არის? სად წავიდა? ნუ ეშინიან ლევანს. მაიკო ხმას არ გასცემს იმ ქალს. მაიკოს მხოლოდ ის უნდა, რომ ერთხელ კიდევ გადახედოს იმ უნამუსოს... რაო, კლუბიდან წასულა? ო-ოჰ, სალახანავ! მეძავო!.. მაჯლაჯუნა!.. ჯოჯო!.. ლევან ნუ იჭერთ, თავი დაანებეთ მაიკოს! რა თქმა უნდა, მაიკო უნდა წავიდეს, თორემ ქაიხოსრო და ის უნამუსო უნდა სადღაც დროს ატარებდნენ და მაიკო კი აქ უნდა იჯდეს?! დაანებეთ თავი! ნუ მისდევთ, მაიკო მარტოც წავა. აკი გითხრათ მაიკომ, რომ მას კარგი გული აქვს... არც იტირებს, არც გული წაუვა...

— მაიკო, დამიჯერეთ, რომ ძალიან ვნანობ ქაიხოსროს დაბეზღებას, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის. რაკი თვითონ არ დამინდო, აღარც მე მოვერიდე.

ლევანი ტკბილად ნანობს. მას ცოდვა არ ჩაუდენია. პირიქით, მაიკო დიდი მადლობელია ლევანისა და იმის სიკეთეს არ დაივიწყებს.

— ტკბილად მიდიხართ ქაიხოსროს საძებნელად. სად იპოვით ეხლა ქაიხოსროს და ნინოს?

არა, არა! მაიკო ეხლავე უნდა წავიდეს. მთელ ქალაქს გადააბრუნებს და იპოვნის... უნდა საკუთარის თვალით დარწმუნდეს, თორემ... იქნება ლევანი სტყუის?! იქნება თავის ბარამზადობას ჭორით ჰმალავს?! ვინ იცის... ჩვენს დროში ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა.

ჰოო? მაიკოს ეჭვება ლევანის ნაამბობი? კეთილი და პატიოსანი, მაშ ლევანი დღესვე დაამტკიცებს თავის სიმართლეს. კეთილი, მაშ გაჰყვეს ლევანს მაიკო!

## III

ეტლში ჩასხდნენ და წავიდნენ. ლევანმა ორ-სამ ალაგას გააჩერა ეტლი, გადახტა, საეჭვო სახლებში შევიდა, გამოიკითხა. ვერ იპოვნა.

მერე გაღმა წავიდნენ.

მაიკო სდუმს და ცახცახებს. პატარა საგულედან გასივებული გული ამოვარდნას ჰლამობს. გაფითრებულ ტუჩებს იკვნეტს, გაცივებულ პაწაწინა თითებს იმტვრევს და ქვითინს ძლივს-ძლივობით იმაგრებს.

ვერის ხიდს გასცდნენ და ერთ დიდ სასტუმროს ბნელ ქუჩიდან მოუარეს. ლევანი სასტუმროში შევიდა, მერე ისევ გამოვიდა და მაიკოს ცივად მიუგდო:

— მომყევით. მაგრამ გახსოვდეთ თქვენი პატიოსანი სიტყვა: ხმა, კრინტი არ დასძრათ.

ბნელი ქუჩიდან შევიდნენ. ვიწროსა და ჩაბნელებულ ტალანს გაჰყვნენ. მარჯვნივ და მარცხნივ დაკეტილი კაბინეტებია ჩარიგებული. ორიოდე ოთახიდან მხიარული სიცილ-ხარხარი მოისმის.

ლევანი ერთ კარებთან შესდგა და მაიკოც შეაჩერა.

— ყური მიუგდეთ, ოღონდ ხმა, კრინტი არ დასძრათ.

მაიკომ გაბრუებული თავი კარებს მიადო და გაინაბა. მერე შეტორტმანდა, წაბარბაცდა და ლევანის მკერდზე მიესვენა.

— სერგო, გააღე თავისუფალი კაბინეტი, ჩქარა! წყალიც შემოარბეინე... აჩქარდი!

გაფითრებული მაიკო თითქმის შეიტანა მეორე კაბინეტში და საწოლზე მიასვენა.

ათიოდე წუთი გავიდა. მაიკო სულგანაბული წევს და ზოგჯერ ხელსახოცით თვალებს ისრესავს. პირმოქუშული ლევანი გვერდით უზის და ოთახის კუთხეს მისჩერებია...

მაიკომ ხელსახოცის ქვეშ წაიჩურჩულა:

— ლევან, იმ ოთახში... იმ ოთახშიც არის ტახტი?

— არის.

ისევ სიჩუმე დამყარდა.

უცებ მაიკო წამოდგა, გაიზმორა, ორივე ხელით აწეწილი თმა შეისწორა და გაიარ-გამოიარა. მერე ლევანის წინ შესდგა და უცნაურად დააცქერდა.

გაფითრებული პირისახე ნერვიულის ღიმილით უთრთოდა. დიდრონი შავი თვალები უფრო მეტად გასდიდებიყო. ისე ათვალიერებდა ლევანს, თითქოს პირველად: ჰხედავდა და იმ ოთახში იმის ყოფნას ჰკვირობდა.

მაიკომ ორი თვის წინად თითქოს გაკვრით გადაჰხედა ლევანს, მაგრამ—საკვირველია!—რატომ ვერ დაინახა მისი მშვენება? საოცარია! რა ხუჭუჭა და ხშირი თმა ჰქონია! ალბათ ბუმბულივით ლბილი იქნება. ქაიხოსროს თმას კი არა ჰგავს,—თხელსა და ჯაგრიანს. ღმერთო ჩემო, რა თვალები ჰქონია! ნახშირივით შავი, კაკლის ოდენა, ცეცხლმოკიდებული და მწვავე... წითელი, ფაფუკი ტუჩები... კოხტა ულვაშები, პირის კანი ატლასივით სუფთა... ჩაკირული ტანი, ალბათ ვეფხივით მოქნილი და ღონიერი იქნება, მიხვრა-მოხვრაშივე ეტყობა. ქაიხოსრო?— რა სახსენებელია!—უშნო დათვია!.. ბაყაყია!..

რად მათვალიერებთ აგრე რიგად, მაიკო!

— რად გათვალიერებ? ვერ მიხვდი? აბა გამოიცანი.

ვერც კი შეიმჩნია, რომ შენობით დაუწყო ლაპარაკი. ისევ ჩაციებით ჰსინჯავდა და ცბიერად იღიმებოდა.

— მიხვედრილობა მაკლია. მაინც?

— მაინც ისა, რომ მშიან... მშიან და მწყურიან.

მსახურმა საჭმელი და ღვინო შემოიტანა და ისევ გავიდა. მაიკომ კარებს თვალი გააყოლა, მერე იდუმალის ღიმილით ლევანს გადმოჰხედა და თვალები ისევ კარებს მიაბჯინა.

ლევანი მიხვდა. კარები გადარაზა და ღვინო დაასხა ორივემ დასცალეს დიდი ჭიქები.

— მაიკო დაბძანდი, გენაცვა.

— არ მინდა. კიდევ დაასხი.

თითო კიდევ დალიეს.

— მაიკო... ნუ მერიდები.

ხელები ხელებში წაავლო და მოიზიდა, მაგრამ მაიკო გაუძალიანდა, თან შეშინებული თვალები ისარივით ჰქონდა გაყრილი.

— დაიცა... დამაცა... რაღაც უნდა გითხრა... უნდა გაჩვენო.

ერთი ხელი ხელიდან გამოსტაცა და კაბაში ჩაიყო. უცებ ჰრიალა პატარა ხანჯალი გაუწოდა:

— აი... აი... ხანჯალი..., გამომართვი.

— ხანჯალი? რად მინდა ხანჯალი?

— გამომართვი მეთქი... შენია... შენთვის..

უცებ ხანჯალმა იატაკზე ბზრიალი მოიღო. იმავ წუთს მაიკო სიცილით და ქვითინით გადაეხვია გაშტერებულ ლევანს, თან სლუკუნით ჰბოდავდა:

— მაპატიე ჩემო ლევან... ჩემო უმანკო მეგობარო... ჩემო კარგო მეგობარო.

ლევანი მიხვდა. ერთი წუთი ყოყმანში იყო. მერე თვითონაც მკლავები მოჰხვია მთრთოლვარე დედაკაცს და ტუჩებით ჩააქრო სიცილ-ქვითინის ზადრევანი.

ორი საათის შემდეგ როცა ლევანი მაიკოს კაბის დუგმებს უკრავდა, მან იატაკზე თვალი მოჰკრა ბრწყინავ ხანჯალს. დასწვდა და მაიკოს გაუწოდა:

— სახსოვრად შეინახე... ისევ გამოგადგება.

მაიკომ ლევანს კისერზე ხელი მოჰხვია და ცბიერის ღიმილით ჰკითხა:

— როდის გამომადგება?

— ხვალ, ცხრა საათზე, ჩემს ბინაზე.

შუაღამე გადასული იყო, როცა მაიკომ ხელმეორედ გაიხადა თავის საწოლ ოთახში და შეჩვეულ ლბილ ლოგინში ჩაგორდა. სისხლი საამურად უჩქეფდა, ძარღვებს ტკბილი ჟრიამული გაჰქონდათ და ბურანში წასული მაიკო წყვდიადში ვიღაცას ეშმაკურად უღიმოდა.

მამლებმა რომ პირველად იყივლეს, ქაიხოსრო ფეხაკრეფით შემოვიდა, მაიკოს ლანდივით თავთ წაადგა და შიშით ჰკითხა:

— რა ჰქმენი მაიკო, მაიკო?

— უჰ, შენა ხარ?.. შემაშინე. რა გინდა?

— რა ჰქმენი მეთქი? ნახე ლევანი?

— არსად შემხვდა. იქნება ხვალ შევხვდე სადმე.

— კეთილი, აგრე იყოს. ძილნებისა, ჩემო კეთილო.

— ძილნებისა, ჩემო ხოსრო.

და ორივემ მალე ფშვინვა ამოუშვეს.

საღამო ჟამი რომ მოახლოვდება, მაიკოს თანდათან მღელვარება ემატება. სარკეს მიუჯდება, თმას ივარცხნის და ქაიხოსროს ეკითხება:

— დავიჯერო, რომ დღესაც ვერსად შევხვდები იმ ჰარამზადას?! სამუდამოდ ხომ არ დაიკარგება ის ჯიბგირი, ისა! დაიცადოს... დამაცადოს...

მერე ხანჯალს ჩაიმალავს ხოლმე კაბის ქვეშ და მუქარით გადის სახლიდან. ქაიხოსრო უკან მისდევს. მალე ერთმანეთს შორდებიან. ერთი მარცხენივ გაუხვევს, მეორე—მარჯვენივ.

ასე იარეს ღამ-ღამობით ცოლქმარმა იმ დრომდის, სანამ ერთხელ ქაიხოსრომ არ უთხრა მაიკოს:

— ლევანს თავი დაანებე. დღეს შემომითვალა: შენს ვალს ნაწილ-ნაწილად გადაგიხდიო, ოღონდ შენ თვითონ ნუ დამენახვებიო. სახლში მიდი, ნახე და გაურიგდი.

— წავალ, თუ პირობას შემისრულებ: ის ფული ჩემია. ღარაფერი მაქვს, ტანთ შემომეხია... ოჯახსაც ათასი რამე აკლია.

— კარგი, გენაცვა, აგრე იყოს, ის ფული შენთვის მიჩუქებია, ოღონდ მოახერხე მისი დაბრუნება.

მას აქეთ მაიკო კვირაში ორჯერ მაინც მიდის ლევანთან ვალის გამოსართმევად. იმ დღეს, როცა პირველად მივიდა ფულის გამოსართმევად, უკვე შევერცხლილი ხანჯალი მაგიდაზე დაუდო და უთხრა:

— გათავდა. ამას იქით ხანჯალი აღარ მინდა, გიძღვნი იმ ღამის და ჩემი ულრმესი სიყვარულის სახსოვრად.

ლევანმა მაიკოს ცხელის კოცნით გადაუხადა მადლობა. მერე შევერცხლილი ხანჯალი აიღო და გასინჯა. ქარქაშის ქვეშ თვალი მოჰკრა წარწერას:

„ზოგჯერ თურმე ხანჯალი სიყვარულის ხიდი ყოფილა".

**მიხეილ ჯავახიშვილი—ადამაშვილი.**

# ზაჰესის შთაბეჭდილებანი.

18 ნოემბერი ზაჰესისთვის სადღესასწაულო დღე იყო.. დილის ცხრა საათიდან ზაჰესის ტერიტორია ივსება აუარებელი ხალხით. აქ არიან: მთავრობის წევრები, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები, მუშები, გლეხები, კომუნისტური ახალგაზდობა, მოსწავლეობა.

რუხი, ქინქლლიანი დღეა...

სტუმრები ჯგუფჯგუფად დადიან და ათვალიერებენ გრანდიოზულ „მდევურს" ნამუშევარს.

იქ სადაც სამი წლის წინედ იყო ცარიელი უდაბნო, მყუდრო, მშვიდობიანი მინდორი საბნაური მწირი ჯაგებით დახერგილი, დღეს იქ ჰქუხან მანქანები, მოტორები. უზარმაზარ მბურღავს მანქანას, ვეშაპივით რო ქშინავს, ამოაქვს მთელი მიწას შიგნიერი და ისვრის ზემოდ. მუშების არმია დაჰსევია მიწას და ებრძვის გააფთრებით.

და საბჭოთა აღმშენებლობას დღითი დღე ემატება გამარჯვება. თითეული მტკაველი გათხრილი მიწის აძლიერებს ამ გამარჯვებას.

უდაბურსა და ურწყელ მინდვრებში გადის არხები. მიუდგომელ ადგილებში იმართება ჰიდრო ელექტრონის სადგურები, ველურ ტყეებში გუგუნებენ ქარხნის საყვირები.

აქაც მალე დაიდგმება უზარმაზარი ელექტრონის სადგური. აქაც სულ მალე აგუგუნდება დინამო მანქანები და შეაშფოთებენ წყნარს მტკვარს, უძველეს მცხეთას.

მცხეთა..,

ზაჰესი..,—

ორი საქართველო. ძველი, ჩაყუდებული სიზმრებში, წარსულის ბურანში. ძილში. საქართველო: რაინდების, ციხეების, დარბაზების... მონოზის..



ზაჰესი აფეთქებამდე.

და მეორე:

საქართველო—ატეხილი ახალი ენერგიით.. საქართველო მანქანების, შრომის, ბრძოლის, თავისუფლების..

დღეს ორ საათზე ნაღმებით უნდა აფეთქდეს განათხარი გამაგრებული ბეტონით და გადმოუშვან მტკვარის პატარა ნაწილი. ეს არის მიზეზი ამდენი ხალხის შეყრილობის...

ხალხმა დაასრულა დათვალიერება ყველა ნამუშევარის და ეხლა უნდა უყუროს აფეთქებას..

ახლოვდება ორი საათიც:

ხალხი ნერვიულობს:

ბევრს ჰგონია, რომ მთელი მტკვარი უნდა გადმოიყვანონ...

წყალი დაშრება. აუარებელ თევზს დაიჭერენ.. საშინლად გაიაფდება თევზეული..—ოხუნჯობენ ირგვლივ...

ხალხი უახლოვდება მტკვრის ნაპირს. იქ,—სადაც ბეტონით ამოშენებული ჯებირი უნდა ააფეთქონ.

ორს უკლია ათი წუთი და მთელი ხალხი სულგანაბული მიასკდა მტკვრის ნაპირებს გაღმიდან, გამოღმიდან.

ზოგი კი საქნებათ დამდგარ შპალებზე ასულა და იქიდან უყურებს სეირს..

მენიშნემ მისცა ნაღმისთვის პატრუქის წასაკიდებელი სიგნალი თოფიდან სამჯერ გასროლით და ჰინკებივით ჩაცვივნულები დაესივნენ ჯებირს და პატრუქებს ცეცხლს უკიდებენ.

თვრამეტი-ცხრამეტი პატრუქი უკვე ბოლავს.

თვალის დახამხამების უკან წამკიდებლები გამორბიან..

წუთიც და...

თითქოს ქვეშქნეთს შაენჩქრია მუცელი შეტორტმან-



ზაჰესი. ამაფეთქებელ მასალათა ჩაწყობა.

და ყველაფერი მტვრევით.. ასკდა შეგუნდებული ნისლი და ცაში გასეთქილი—მძინვარე ხმებით გადმოეფინა ძირს..

მას მოჰყვა მეორე, როგორც გარისხებული ვეშაპი მესამე როგორც გეიზერი...

მეხუთე..

ამსკდარ ვულკანს ამოაქვს დაგუნდავებული ქვა, შეშა, ბეტონი, წყალი, ცეცხლი და ყველაფერი სკდება ჩვენს თავზე მრისხანებით და საშინელებით...

მაგრამ არავის ეშინია. ყველას სიხარულის ღიმილი მოსდგომია პირს...

დასრულდა..

გირლიანდებით, ყვავილებით და დროშებით მორთულ ლამაზი ხიდებიდან გაკვირვებული ხალხი უყურებს გახეთქილ ჯებირს.. თითქოს გამოლადრულა ვეშაპის მუცელი. ჯებირი ოვაჯერ არის გადმოჭრილი. წყალი პატარა ტოტებად გადმოსკდა, და წელანდელი ქვით გაფილცრული კალაპოტი წყალით გაივსო. მხიარული ამხანაგები ნავით დასცურავენ. სიმღერით უსვამენ ნიჩაფს და თეცხს ეძებენ..

ერთმა მათგანმა ხელი სტაცა განგრეულ ბეტონში ოცდაათ გირვანქიან ქაფარს და ნავში ჩაათრია..

ხალხი ათვალიერებს წელანდელ საშინელ აფეთქების ადგილს.. სურს გაიგოს ყოველივე წვრილმანი..

ავტომობილები დაიძრა თბილისისაკენ..

ჩამოდგა საგანგებო მატარებლებიც...

ყველა ჩქარობს თბილისისკენ, რომ ჩაუსწრონ ძვირფასი ვანო საოჯიშვილის დაკრძალვას. ზაქანთან მწუხარებით იგონებენ მის უტკბილესს ხმას. მაგრამ ზაჰესის განცდილი სურათი საქართველოს ეკონომიური წარმატების და პროლეტარიატის გამარჯვების—ანელებს ამ სევდას...

—ლი.



ზაჰესი. მიტინგის ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ო. ჰენრი

(1862—1910)

ო. ჰენრი ცნობილი ამერიკელი მწერალია. ცხოვრებას ის საუკეთესოდ იცნობდა და თავის სიცოცხლეში მან მრავალი პროფესსია გამოიცვალა. ვიდრე მწერალი გახდებოდა ის იყო: აფთიაქარი, მხატვარი, კოვბოი, ბუხჰალტერი და ბოლოს როცა იძულებული გახდა სასამართლოს დევნისგან თავი მოეფარებინა, მან შემოიარა თითქმის მთელი სამხრეთი ამერიკა რკინის გზის ქურდების ბელადთან ერთად.

მან საუკეთესოდ გაიცნო ეს: ქურდები, ჯიბგირები და ავანტიურისტები, რადგან ციხეშიც მათთან ერთად ცხოვრობდა.

წერა დაიწყო ძალიან გვიან, სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე. წვრილ მოთხრობების გარდა მას არაფერი არ უწერია.

მისი ცნობილი რომანი „მეფეები და კომბოსტო" ნამდვილად რომანი კი არ არის, არამედ შეკრული სხვა და სხვა მოთხრობები, მხოლოდ გარეგნობით შეფარდებული.

ო. ჰენრიმ სახელი ძალიან გვიან მოიხვეჭა. ეხლა, მისი სიკვდილის შემდეგ, ამერიკელები უდგამენ მას ძეგლს, ეძახიან თავიანთ მოპასანს, მისი წიგნები სადდება მილიონობით და ითარგმნება ყველა ენებზე.

ო. ჰენრი მართლაც დიდი ოსტატია წვრილი მოთხრობების. თვითეული მისი სტრიქონი სავსეა სახეებით. კომპოზიცია მისი ნაწერების შეუმცდარია, ამასთან მისი მოთხრობების უმრავლესობა ისეა აშენებული, რომ მთელი სიუჟეტი ცხადდება მხოლოდ უკანასკნელ სტრიქონში.

ეს უკანასკნელი სტრიქონი აძლევს ახალ განათებას, როგორც ამბებს, ისე მოთხრობის გმირებს. ო. ჰენრის ენა ლაკონიურია, მდიდარი ნაჩრდილებით და სიტყვების კაპრიზული თამაშით. მთავარი მშვენიერება ჰენრის ნაწერებისა უცხოელებისთვის, რომელნიც თარგმანში კითხულობენ, თითქმის შეუმჩნეველი რჩება.

ქვემო დაბეჭდილი მოთხრობა ამოღებულია მისი წიგნიდან „The Gentle Graffer".

ო. ჰენრი.

## ტრესტი, რომელიც გაკოტრდა.

ერთხელ ჩვენ ტრესტი დავაარსეთ. მეტად საფუძვლიანი სიყალბეს მოკლებული. ჩვენს ხელში იყო ყველაფერი, რაც კი უზრუნველჰყოფდა გამარჯვებას: ქარი, წყალი პოლიცია, ნერვები და სრული მონოპოლიის საზოგადოებისთვის ძალიან საჭირო სურსათის.

რაც გინდა გადაგვკიდებოდა ეინმე, არავის შეეძლო ამ საქმეში რაიმე სუსტი ადგილი ეპოვნა. ეს იყო ისეთი შესანიშნავი საქმე, რომ მის გვერდით პატარა სანავთო კონტორა როკფელლერის[1]) პატარა დუქნად მოსჩანდა.

მაგრამ ჩვენ მაინც გავკოტრდით.

მე მყავდა კომპანიონი ენდი ტაკკერ. გენიალური ოსტატი ყველა თაღლითობის. მისნაირი მე ალარავინ შემხვედრია. სხვის ხელში დანახული დოლარი მას ეჩვენებოდა პირად შეურაცხყოფად; და ის, დაწყნარდებოდა ხოლმე მარტო მაშინ, როცა ეს დოლლარი მასთან დაბინავდებოდა.

მეტად განვითარებული კაცი იყო! დიდი—და სასარგებლო ცნობებით აღჭურვილი! მას შეეძლო იდეებზე ელაპარაკნა დაუსრულებლივ. რამდენი შანტაჟი და ეშმაკობა არ გამოუცდია!

კითხულობდა ლექციებს წმინდა ადგილებზე, პალესტინაზე—კითხულობდა ჯადოსნური ფანარით!—ეკრანზე კი აჩვენებდა ფეიქრების ყოველწლიურ ყრილობას ატლანტიკაში! ჰყიდდა ყალბს სპირტს გამოხდილს მუშკის ხიდან.

ამ ენდისთან ერთად გაზაფხულისას მომიხდა ყოფნა მეტად მოკლე ხნით მექსიკაში. იქ ერთმა ფოლადელფიელმა კაპიტალისტმა გადაგვიხადა 2500 დოლარი ჩიხუახუას ვერცხლის მაღაროების პაების ნახევარში.

ჰო, ასეთი მაღარო არსებობდა! ყველაფერი წესრიგზე იყო. პაების მეორე ნახევარი ღირდა დიდძალი ფული: ორასი თუ სამასი ათასი დოლარი: მე ხშირად ვფიქრობდი შემდეგ: ვის ეკუთვნოდა ეს მაღარო?

შეერთებულ შტატებში დაბრუნებისას, მე და ენდი ჩავრჩით ტეხასის ერთ პატარა ქალაქში რიო-გრანდეს პირზედ. ქალაქს ერქვა ფრინველთა ქალაქი; მაგრამ იქ ფრინველებს სრულიადაც არ უცხოვრიათ. ცხოვრობდნენ იქ უმეტესად მამაკაცები—ბირჟის მაკლერები, ქაღალდის მოთამაშენი, ცხენის ჩოდრები და სხვები უფრო კონტრაბანდისტები. სულ 2000 მოსახლე.

მე და ენდი დავბინავდით სასტუმროში.

ჩავედით თუ არა ქალაქში, მაშინვე წვიმა მოვიდა. მე და ენდი—სულაც არა ვართ მსმელი ხალხი, მაგრამ ჩვენ მალე შევნიშნეთ რომ ამ ქალაქში სამი სასმელი დუქანია და ადგილობრივი მცხოვრებლები მთელი დღე ამ დუქნების გზასა სცვეთავდნენ. სჩანდა, რომ თვითეულ მათგანმა კარგად იცოდა, თუ როგორ დაეხარჯა თავისი კაპიტალი.

მესამე დღეს, საღამო ხანზე, წვიმამ ოდნავ გადიღო მე და ენდი გავემგზავრეთ ქალაქში, რომ დავმტკბარიყავით თუ პეიზაჟებით არა, აქაური ტალახებით მაინც.

ფრინველთ ქალაქი გაშენებული იყო რიო გრანდესა და განიერ ღელეს შუა, სადაც წინად მდინარე ჩადიოდა. მდინარე ადიდდა წყალდიდობით. ჯებირი მდინარესა და მის ძველ კალაპოტს შუა წყალმა გადარეცხა და გაავსო გარემო.

ენდი დიდხანს იდგა და უცქეროდა გადმოსულ წყალს. ამ ადამიანის ჭკუა არასდროს არა სთვლემდა. ნაბიჯი არც კი გადმოედგა და ადგილიდანვე გამომიცხადა თავისი იდეა, რომლითაც ის იყო ამ წამს შთაგონებული.

იმავე წუთში ჩვენ დავაარსეთ ტრესტი, შემდეგ დავბრუნდით ქალაქში და დავიწყეთ მოქმედება.

[1]) როკფელლერი—ამერიკელი მილიარდერი.

უპირველესად ჩვენ გავემართენით მთავარ სასმელ დუქანში, რომელსაც ერქვა „მტრედისფერი გველი“, და საკუთრივ შევიძინეთ, ეს დაგვიჯდა ჩვენ ათას ორასი დოლარი. შემდეგ ჩვენ ერთი წუთით შევიარეთ მექსიკელ ჯოს დუქანში, წავილაპარაკეთ ამინდზე და ასე, სხვათა შორის, ვიყიდეთ იგიც ხუთასად. მესამე დუქანი დიდი სიამოვნებით დაგვითმეს ჩვენ ოთხასად.

მეორე დღისით ფრინველთ ქალაქმა გამოიღვიძა — და დაინახა, რომ ის გადიქცა კუნძულად. მდინარემ გამოარღვია ჯებირი და გადავარდა ძველ სადინარში.

მთელი ქალაქი მოექცა ახმაურებულ ნიაღვრების ალყაში. წვიმა მოდიოდა გადაუღებლივ. ჩრდილ დასავლეთზე ეკიდა მძიმე ღრუბლები, რომლებიც მიასწავებდნენ ყოველწლიურ წვიმების პერიოდს ორი კვირით კიდევ.

მაგრამ მთავარი უბედურება ამაში არ იყო.

ფრინველთ ქალაქი გადმოფრინდა საბუდარიდან, შეაფრხიალა ფრთები და დაადგა ჩვეულ გზას.

ეხ! მექსიკელის დუქანი დაკეტილია, დაკეტილია მეორე დუქანიც. ცხადია, რომ მწყურვალეთ ამოოხდათ ხმა განცვიფრებისა. მუშტრები გარბიან „მტრედისფერ გველში“ და რას ჰხედავენ ისინი „მტრედისფერ გველში?“

ერთი დახლის უკან ზის ჯეფფერსონ პიტერსი, ობობა*), მარჯვნივ მას უპირავს კეტი და მარცხნივაც კეტი, ის მზათ არის დაუბრუნოს ხურდა მუშტარს ან დააწვინოს ვინმე ადგილზე.

საში მორბედი მუშაობს დახლის უკან გაცხარებით. კედელზე კი გამოკრულია უშველებელი აბრა წარწერით: „ერთი დალევა—დოლლარი“.

ენდი ზის ცეცხლმიუდგომელ კასსაზე, ძვირფას პიჯაკში, პირველხარისხოვან სიგარით, რომელიც ოქროს ქაღალდით არის შემოხვეული. დუქანში მორიგეობს პოლიციის უფროსი ორი პოლიციელით ტრესტი დაპირდა მათ სასმელს უფასოთ.

ჰო და, სერ, არ გაუვლია ათ წუთს, რომ ფრინველთ ქალაქმა გაიგო, რომ ის მახეშია გაბმული. ჩვენ ველოდით, რომ იქნება აჯანყება, მაგრამ ყველაფერმა წყნარათ ჩაიარა. მცხოვრებლებმა იცოდნენ, რომ ისინი ჩვენს ხელთ არიან: ახლობელი სადგური რკინისგზისა იყო ოცდაათ მილზე, და უნდა გვეცადნა ორი კვირა, ვიდრე წყალი მდინარეში დაიკლებდა. იმ ვადამდის გადასვლა შეუძლებელი იყო.

მცხოვრებლებმა ერთი კი შეიგინეს, მაგრამ თავშეკავებით და მოდიოდა დოლარები წკრიალით, როგორც გრამოფონის ფირფიტები.

ფრინველთქალაქში იყო ათასხუთასამდე მამაკაცი, თავქარიანობის ჰასაკს შესული; ცხოვრების შესამკობად უმეტეს მათგანს სჭირდებოდა სამიდან ო/კ ჰიქამდე დღეში. „მტრედისფერი გველი“ იყო ერთად ერთი ადგილი, საცა შეეძლოთ ეს ჰიქები ეშოვნათ ვიდრე წყალი არ დაიკლებდა.

ეს იყო ლამაზიც, უბრალოც, როგორც ყოველი ჰეშმარიტი დიდებული თვალთმაქცობა.

---

*) ამერიკულ სოციალისტურ პრესაში ეძახიან ტრესტებს და ტრესტის დამფუძნებლებს.

დილის ათ საათზე ვერცხლის დოლარების წვიმა დახლზე მიჰუჩდა. მე გავიხედე სარკმელში და დავინახე, რომ ორასამდე ჩვენი კლიენტი კუდში ჩამდგარა, შემნახველი კასის წინ, და მე მივხვდი, რომ ისინი უკვე ზრუნავენ გადაარჩინონ დოლარები, რომელთაც სულ მალე გამოსწოვს ჩვენი ობობა თავისი სველი და ლიპი ჰანაგებით.

შუადღისას თითეული მათგანი წავიდა სახლში საუზმეზე, როგორც შეეფარება განებივრებულ ხალხს. ჩვენ უთხარით ბიჭებს, რო მათ შეუძლიათ ისარგებლონ ამ მოკლე მიწყნარებით; თითონ კი დაუწყეთ თვლა ჩვენ მოგებას.

ჩვენ მოვიგეთ 1300 დოლლარი.

ანგარიშით გამოდიოდა, რომ თუ ფრინველთ ქალაქი დარჩება კუნძულად ორი კვირა კიდევ, ჩვენ ტრესტს ექნება საკმაო თანხა იმისთვის, რომ ჩიკაგოს უნივერსიტეტს შესწიროს ახალი პანსიონი მთელი ფაკულტეტების, და აჩუქოს ფერმა თითეულ საწყალ კაცს ტეხასში, თუ, რასაკვირველია, ის იყიდის ადგილს თავის ხარჯზე.

ენდი მეტად ამაყობდა გამარჯვებით, რადგან მთელი გეგმა ამ საქმისა მას დაებადა.

ის ჩამოხტა კასსიდან და გააბოლა ყველაზე დიდი სიგარა, რომელიც კი იყო დუქანში.

— ჯეფფ,—სთქვა მან,—მე ვფიქრობ, რომ ვერსად მთელ ქვეყნიერებაში ვერ მოძებნი ასეთ ექსპლოატატორებს ასეთი მოხერხებით მუშათა კლასის დასამონავებლად როგორიცაა ჩვენი ფირმა „პიტერს, ტაკკერ, სატანა და კომპ“.

წვრილ მომხმარებელს მარჯვეთ დავკარით სასიკვდილო ნეშტარი.

მაშინვე დაისხა ერთი ჰიქა მშვენიერი პურის არაყი და გადაჰკრა, ეს იყო მისი პირველი დალევა, რაც მას ვიცნობდი.

— როგორც ღმერთების შესაწირავი,—განმარტა მან. პატივისცა რა წარმართულ ღმერთებს, მან დასცალა მეორე ჰიქა—ჩვენი საქმის გასამარჯვებლად, და მესამე—მთლად ამერიკის მრეწველობისათვის დაწყობილი ჩრდილო წყნარ ოკეანის გზის და გათავებული ქვანახშირის მადნების კავშირით.

— ენდი, ენდი,—ვეუბნები მე მას,—ეს დიდი კეთილშობილებაა შენის მხრივ, რომ სვამ სადღეგრძელოს ჩვენი მეგობრებისას, მაგრამ შეხედე, მეგობარო, არ გაერთო მაგ სადღეგრძელოებით.

შენ იცი, რომ, ყველაზე ცნობილი და ყველასთვის საზიზღარი არხი ობობები მილიარდერები არაფერს არ მიირთმევენ გარდა ჩაისა გამხმარი ნამცხვარით.

ენდი გავიდა ფარდულს უკან და გამოვიდა იქიდან საუკეთესო ტანისამოსში. მის თვალებში მოსჩანდა რაღაც ბოროტი და, მე ვიცოდი სასიკვდილოც. ძალიან არ მომეწონა მე ეს გამოხედვა. მე მოუსვენრად ვუყურებდი მას, თუ რა დაემართებოდა? ცხოვრებაში არის ორი შემთხვევა, რომელიც არ იცი რითი დასრულდება: როცა მამაკიცი დალევს პირველად და—როცა დედაკაცი დალევს უკანასკნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა აღმშენებლობა



ხეთის სახელი განყოფილება.

გარეგნობით ენდი იყო სრულიად დარბაისლურად და ცდილობდა თანასწორობა შეენახა, მაგრამ შიგნით ის იყო სავსე სურპრიზებით და ექსპრომტებით.

— ჯეფფ,—სთქვა მან,—გაიგე, რომ მე ვარ ვულკანის ყელი, ცოცხალი ვულკანიური, ცეცხლმფრქვევი ვულკანის ყელი. აქ შიგნით, ჩემში სდულან სიტყვები და ფრაზები, და ისინი ეძებენ გამოსავალს.

მილიონი სინონიმები და სიტყვები ისე მაწვებიან, ისე ელიან გამოსავალს, რომ მე არ დავწყნარდები, ვიდრე არ მოხდება ამოხეთქვა, ვიდრე არ წარმოვსთქვამ სადმე სიტყვას. ეს მუდამ მემართება; სმისაგან მე ვხდები ორატორი.

— უარესი აღარც შეიძლება!—მიუგე მე.

— ადრეულ ბავშობიდან, განაგრძობდა ენდი,— ალკოგოლი იყო ჩემში აღმძვრელი რიტორიკის და დეკლამაციის. უკანასკნელ არჩევნების დროს მე მაძლევდნენ სამ პორცია ჯინს, და მე ვლაპარაკობდი უფრო ხანგრძლივად, ვიდრე თვით პრეზიდენტი... ის ლაპარაკობდა ვერცხლის საკითხზე, მე კი ორი საათით მეტს, ვიდრე იგი. ბოლოს და ბოლოს მე დამაჯერეს გადავსულიყავი ოქროზე.

— რა უყოთ,—უთხარი მე,—თუ შენ გინდა განთავისუფლდე სიტყვებისაგან, მიადექი მდინარეს და იმდენი ილაპარაკე ვიდრე არ მოგწყინდებოდეს. მგონი იყო ერთი ბებერი ყბედი—სახელად კონტარიდი,—რომელიც იარებოდა ზღვის პირად და იქ ისუმბუქებდა ხახას!

— არა,—მიპასუხა ენდიმ.—მე მინდა საზოგადოება. უხალხოთ მე არ შემიძლია... იძულებული ვიქნები გადმოვხეთქო მოწოლილი სიტყვები, თორემ ეს სიტყვები შიგნით დამრჩება და მე ვიქცევი მოსიარულე კრებად.

— კარგი, მაგრამ, გაქვს რამე შეხედულებანი, თეორემები?

— თემა—რომელიც გინდა, ჩემთვის სულ ერთია! მომეცი როგორიც გინდა სიუჟეტი და მე ვიტყვი მშვენიერ სიტყვას. რუსის იმმიგრანტები, ან პრუსია ჩარლზ დარვინის ლექსები, ან ტარიფები, ან კაბილური სიტყვიერება, ან წვიმის ტრუბები,—მე შემიძლიან ვილაპარაკო რაზედაც გინდა, და ჩემი მსმენლები რიგრიგით ხან იცინებენ, ხან იტირებენ.

— კარგი, ენდი,—ვეუბნები მას.—თუ კი ვეღარ ითმენ, წადი და შენი სიტყვები მოასმენინე აქაურ მოქალაქებს მე კი აქაურობას მივხედამ. საცაა მოდის ჩვენი დროცა. ჩვენმა კლიენტებმა უკვე ისადილეს, ხოლო მლაში ღორის ხორცი და ლობიო, როგორც ცნობილია, იწვევენ დაუშრეტელ წყურვილს. შუალამისთვის ჩვენ კიდევ ავკრამთ ათასხუთას დოლლარს.

ენდიმ დასტოვა „მტრედისფერი გველი" და მე დავინახე, როგორ აჩერებდა ის გამვლელ-გამოვლელებს და ლაპარაკობდა მათთან. არ გავიდა ათი წუთი, მის გარშემო თავი მოიყარა პატარა ბრბომ, რომლიც სულ იზრდებოდა, და მალე მე დავინახე, რომ ის დგას კუთხეში, ცხარედ ლაპარაკობს, პირიდან ქაფსა ჰყრის და აქნევს ხელებს. შემდეგ ის მიბრუნდა და გასწია, ხალხიც მას აეტორღიალა, და ის ლაპარაკობდა ქუჩაში.

გზაში მას უერთდებოდენ სხვა გამვლელებიც, და როცა ისინი გავიდნენ მთავარ ქუჩაზე აუდიტორია მეტისმეტად გაიზარდა.

მე გამახსენდა ძველი ფოკუსი, რომელიც ერთს წიგნში წავიკითხე: თუ ვინმე პიტერსმა სტვირის დაკვრით როგორ გაიტყუა მთელი ქალაქის ბავშვები[1]).

გავიდა საათი, კიდევ ორი, კიდევ სამი, და საქმე არა გაქვს, ერთი მუშტარიც არ შემოსულა. ქუჩები მიცარიელდა. ათაში ერთხელ თუ გამოსჩნდებოდა იხვი, ან დედაბერი. მოხანხალებული დუქნისაკენ. ამავე ხანებში კი წვიმამ თითქმის გადიღო.

ვილაც მამაკაცი გაჩერდა ჩვენს კარებთან, რომ გაებლერტა ფეხსაცმელზე მიკრული ტალახის ტავარნა.

— მეგობარო,—ვეკითხები მას,—რა მოხდა? დღეს დილას აქ გაქანებული ქეიფი იყო, ეხლა კი მთელი ქალაქი მიაგავს ტიროსისა და სიდონის ნანგრევებს, სადაც კედლებზე მარტოდ მარტო ხვლიკი დახოხავს.

მთელი ქალაქი,—მიპასუხებს ლაფში მოსვრილი კაცი,—მთელი ქალაქი დღეს შეიკრიფა ქაღალდის საწყობის სადგომში და ისმენდა თქვენი კომპანიონის სიტყვას,—მერე და, რა ყოჩაღად ლაპარაკობს!

— ეჰე!—ვამბობ მე—იმედი მაქვს, ის მალე გაათავებს, თორემ ჩვენი ვაჭრობა მთლად გაბითურდება.

საღამომდე ჩვენთან არ შემოუხედია არც ერთს მუშტარს. ექვს საათზე ენდი ორმა მექსიკელმა ცხენის ზურგით მოიყვანეს სახლში. ჩვენ ჩავაწვინეთ ის ლოგინში და ის კიდევ განაგრძობდა როშვას, აქნევდა ხელებს, ფეხებს.

მე დავკეტე კასსა და წაველ გასაგებად თუ რა მოხდა. იქვე შევხვდი ერთ კაცს, რომელმაც მიამბო ყველაფერი, რის გაგებაც მე მინდოდა: ენდი მთელი ორი საათი ლაპარაკობდა სხაპასხუპით. იმ კაცის სიტყვით, ასეთი ლაპარაკი არ გაუგიათ არა თუ ტეხასში, მთელ დედამიწის ზურგზედაც კი.

რაზედ ლაპარაკობდა? შევეკითხე მე.

— ლოთობის მავნებლობაზედ. და როდესაც მან დაასრულა, ფრინველთ ქალაქის მცხოვრებლებმა ერთხმად მოაწერეს ხელი ქაღალდს, რომ არასდროს აღარ მიეკარებიან სპირტეულს.

[1]) პიტერსი იგონებს რობერტ ბრაუნინგის პოემას შურის მაძიებელ ჯადოსანზე, რომელმაც სტვირის დაკვრით დაღუპა ყველა ბავშვები ქალაქში.

# მებრძოლი სული.

ვერა, ვერ სძლიეს მებრძოლი სული
შავ-დროებათა გარდასულ წლებმა
და შემირყიეს მხოლოდ სხეული
მისმა უმძაფრეს ქარტეხილებმა.

წაქცეული ვარ, მაგრამ კვლავ ურჩი
ვაპირებ ისევ სიკვდილთან შებმას
და თუ ამ ჭიდილს ვერ გადაურჩი,—
ეს ფალავნობა განაგრძონ სხვებმა.

გიორგი ქუჩიშვილი.

# დამშეული წელიწადი.

(რომანიდან).

მატარებელი № ორმოცდაჩვიდმეტი—მერეული—მიღოღავს შავი ველის უდაბნოში.

ადამიანები, კაცის ფეხები, ხელები, თავები, მუცლები, ზურგები, ადამიანის ნაკელი,—ადამიანნი შემოსილნი ტილებით ისე, როგორც სათბური (теплушка) დაფარულია ამ ადამიანებით. იმათ, ვინც აქ მოიყარა თავი, მოიპოვეს წამოსვლის უფლება დიდი გაჭირვებით და მუშტით, რადგანაც იქ, დამშეულ გუბერნიებში, ყოველ სადგურზე სათბურს აწყდებოდა მშიერი ხალხი და თავების, კისრების, ზურგების, ფეხების ზევით მიძვრებოდა სათბურში,—იმათ სცემდენ, ისინიც უპასუხებდენ ცემით და აგდებდენ იმათ, ვინც შორიდან მოდიოდა, ეს ბრძოლა გრძელდებოდა იქამდის, სანამ არ დაიძროდა მატარებელი, რომელსაც მიჰყავდა ისინი, ვინც გარჩა შიგ, ესენი კი, ახლად შემომძვრალნი ემზადებოდენ ახალ ჩხუბისათვის ახალ სადგურზე.

მიდიან მთელი კვირეების განმავლობაში. ყველა ამ ადამიანებმა დიდი ხანია დაჰკარგეს გრძნობა განსხვავებისა დღესა და ღამეს, სიწმინდესა და წვირეს შორის და ისწავლეს ძილი დგომით, ჯდომით, დაკიდებული. სათბურში რამოდენიმე იარუსებათ დაგებულია ტახტები, და ტახტებზე, თაროებზე, ჭერზე, ყველა ფუღუროებში სხედან, დგანან, დაწოლილი არიან და სდუმან იმისათვის, რომ ისევ იხმაურონ სადგურზე.

ჰაერი სათბურში წაბილწულია ადამიანების სტომაქებით და მახორკით.

ღამით სათბურში ბნელა, კარები და ფანჯრები დაკეტილია.

სათბურში ცივა, ხვრელებში შემოდის ქარი.

ვიღაც ხროტინობს, ვიღაც იფხანება, სათბური ჭრიალებს, როგორც ძველი ურემი.

მოძრაობა სათბურში შეუძლებელია, რადგანაც ფეხები ერთის აწყვია მეორის გულზე, მესამე გადაწოლილია მათზე და სძინავს ისე, რომ მისი ფეხები ებჯინება პირველის კისერს.

ადამიანი, რომელსაც შეჭმული აქვს ფილტვები, ინსტინქტიურად ეკვრება კარს, და იმის ახლო გამოწეულ კარებს იქით, მამაკაცები და დედეკაცები ასრულებენ ბუნებრივ მოთხოვნილებას, დაკიდებულნი მოძრავ შპალებზე, ან დაკუნცხულნი,—ადამიანმა შეისწავლა დაწვრილებით, როგორ უნდა ჰქნას ეს,—თვითეულმა სხვადასხვა ნაირად.

იმას, ვინც იწვის ჰლექის უკანასკნელი სიწითლით არეული და ბუნდოვანი აქვს შთაბეჭდილებები.

ფიქრები სტოიციზმზე და პატიოსნებაზე, მისი პატარა ოთახი, მისი ბროშიურები და წიგნები, სიმშილი—ყოველივე ეს გაბითურდა.

მრავალ უძილო ღამეების შემდეგ, აზრები, როგორც ციების დროს, დაიყვნენ, და ადამიანი გრძნობდა თავისი „მე"-ს გაორებას და გასამებას, გრძნობდა, რომ მისი მარჯვენა ხელი სცოცხლობს და ფიქრობს თავისებურად, დამოუკიდებლად და რაღაცაზედ ეკამათება გაორებულ „მე"-ს.

დღეები, ღამეები, სათბურებში, სოფლებში სადგურებთან, მესამე კლასები, საფეხურები, სახურავები,—ყველაფერი აირია, დაიბნა და ადამიანს ჰსურს დაეცეს და იძინოს ტკბილად, უსაზღვროდ—დაე, მასზედ იარონ, მას მიაფურთხონ, დაე, აცვივდებოდეს მას ტილები, სტოიციზმი, ბროშიურები სოციალიზმზე, ჰლექზე, წიგნები ღმერთზე,—ადამიანი ფიქრობს ახალ უჩვეულო ძმობაზე. კარგია დაცემა ძილისაგან, უნდა მიეკრა ადამიანს, ვინ არის იგი? რად არის იგი? სიფილიტიკი? სახადიანი? უნდა გაათბო ის და გათბე მისი ტანის სითბოთი.

საყვირები, სტვენა, ზარი... თითქო ტვინი ამოსვრილია ბუმბულში, და რადგანაც ბუმბული მუდამ ცხელია აზრები იწვიან, არიან უჩვეულო, ვნებიანი, მოუცილებელნი, ციებიან არ ყოფნის საზღვარზე...

ქანაობს, ქანაობს ტვინში კარების კოჭი, ჭრიალებენ კარები, ქალები ეკიდებიან, იკუჭებიან მიმავალ შპალებზე. სქესი!..

გუშინ პატარა სადგურზე რონოდასთან მოვიდა დედაკაცი.

კარებთან იდგა ჯარისკაცი.

— შემიშვი, ღვთის გულისათვის. ვერასგზით ვერ დავჯექი,—სთქვა დედაკაცმა.

— არ არის ადგილი, ბიცოლა,—უპასუხა ჯარისკაცმა.

— ღვთის გულისათვის....

— რას მომცემ?

— რამენაირად გაგისწორდები.

— სიყვარულით?

— რამენაირად... მოვერიგდებით...

— აბა, შეძვერი ტახტებ ქვეშ. იქ ჩვენი მაზარაა ეი, სეიმონ, ჩაიბარე დედაკაცი!

---

ველი. სიცალიერე. უნაპირო წყვდიადი. სიცივე. სიდგურზე, სადაც მატარებელი შეხვდა გათენებას, ყველა მირბის წყლის საშოვნელად ცარიელი ჭებისაკენ, წუმპეებისაკენ, ანთებენ კოცონებს, რომ გათბენ და მოხარშონ კარტოფილი.

გაცარიელებულ სათბურში შეამჩნიეს მკვდარი: გუშინ სახადიანი მოხუცი იტანჯებოდა, ახლა ის მკვდარია.

გათენების ნაცრისფერი ნისლი. ველის ჰორიზონტების შავ ხვრელებიდან მოდის ქარი, ხანგრძლივი და ბო-

როტი. ღრუბელნი არიან დაბალი,—წამოვა თოვლი. შპალები, სათბურები, ადამიანები. კოცონები იწვიან წითელ ცეცხლებათ, კვამლის სუნია.

კოცონებთან, სადაც იხარშება კარტოფილი, იხდიან პერანგებს, შარვლებს, კოფტებს, კაბებს, ფერთხავენ ცეცხლში ტილებს და ჰკლავენ მათ. მოგზაურობენ მთელი კვირეების განმავლობაში.

პურისათვის! არ არის პური, არ არის მარილი, ხარბათ ჰამენ კარტოფილს.

მატარებელი გაჩერდა და იქნება აქ ერთი დღე და ღამე, ორი...

დილას ყველა გაიფანტება ახლომახლო სოფლებში, (რაც უფრო შორს მიდიან, მით უფრო დაბალია ქოხები, მით უფრო მაღალია ზვინები), დაიყოფიან პატარა ჯგუფებათ და თხოულობენ მოწყალებას ქრისტეს სახელით.

დედაკაცები სდგანან, ღუნავენ თავს და მღერიან:

— შეგვეწიეთ ღვთის გულისათვის.

მატარებელი იქნება გაჩერებული ორი დღე და ღამე. სათბურების მამასახლისები მიდიან მორიგეებთან და საგანგებო კომისიაში. აქ წინად იყვნენ თეთრები. სადგური; სათბური, მოხსნილი ბორბლებიდან, სათბურები, დაყენებული რიგში, ჩატეხილი ნახვრეტებით კარების მაგიერ. კანტორაში—ბნელ სათბურში იკვამლება ბაყაყი, ლუქის სუნია, ზრიალებენ მავთულები და ადამიანები.

ადამიანი ეჩურჩულება მორიგეს.

— არ შემიძლიან! ამბობს მორიგე კმაყოფილი ბასით.—სრული შემადგენლობა. ასორმოცდაათი ღერძი, სამოცდათხუთმეტი ვაგონი. დიახ, არ შემიძლიან!...

ადამიანი თავისი ყოშით ეხება მორიგის ყოშს და აძლევს გრაგნილს.

— ამხანაგებო; არ შემიძლია! მე ვიღებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შემიძლია მოხმარება, მაგრამ ამ შემთხვევაში—სამოცდათუთხმეტი ვაგონი, ას ორმოცდაათი ღერძი. არ შემიძლიან!

შეხება ყოშით ყოშზე— ნიშნავს ქრთამის მიწოდებას.

მაგრამ, თურმე, მორიგეს შეეძლო.

საღამოს მოდის ახალი მატარებელი, მოსულები სწვავენ კოცონებს და სჭყლიტავენ ტილებს, და ეს მატარებელი ღამით წავიდა პირველი.

მირბიან მორიგესთან, ის არ არის, ახალი მორიგე (ეს იყო, დარაჯები ამშვიდებდენ: ის არ არის, იმას წინა კვირაში შვიდჯერ სცემეს).

მირბიან საგანგებო კომისიაში. მაგრამ ღამით მოვიდა ახალი რაზმი წითელარმიელების და ვაგონებში დაიწყეს ჩხრეკა.

წითელ არმიელი შემოძვრება გაჩუმებულ სათბურში.

— რომელია, რაა!

მოხუცი ტანზე მოიხდის ქუდს და ჩამოარონინებს.

— ჩამოდით, ძმებო, ორმანეთ ნახევარს: განთიადზე მატარებელი წავიდა. ბაქანზე გამოჩნდება მორიგი და მატარებელი ათასი ყრონტით ეთხოვება მას:

— საძაგელო! მექრთამე!

მატარებელი ისე მიდის, რომ შეიძლება ჩამოსვლა! და გვერდით მასთან სიარული. ველი. სიცალიერე. სიცივე. სიმშილი. დღისით ამოდის მძინარე მზე. შემოდგომის სიჩუმეში გაძარცულ მინდვრების ზევით დაფრინავენ ყორნების გუნდები,—დამალონებელი გუნდები.

იკვამლებიან იშვიათ სოფლების ქოხები ჩალის კვამლით. სევდიანი ქოხები!

---

ბაქანი „მარი", სადაც წინად კვერთხებსაც არ ცვლიდენ, აკეთებს ფანტასტიურ კარიერას: ახალგაზდა მორიგის ოცნება სრულდება. ბაქან „მარზე" გაჩერდა შემაჩერებელი რაზმი, შინაური გადასახადი. ახლა აქ მატარებლები დგანან დღე და ღამე. დღისით და ღამით ანთია კოცონები და სადგურის ახლოს ჯგუფდება ბრბო.

წუმპეებში და ქებში ერთი წვეთი წყალი არ არის და წყალი მოაქვთ ორი ვერსიდან, სადაც მდინარეა. ვერ გაივლი ორ ნაბიჯს, რომ არ ჩაჰკრა ფეხი ადამიანის სკორეში.

სანიტარული სათბურები სავსეა ავადმყოფებით.

სასურსათო მატარებლიდან, რომელიც შეიარაღებულია ტყვიისმფრქვეველებით, ისმის მხიარული სიმღერა. გრიალებს ათეული „გარმონიკები".

ირგვლივ კვნესა, ვაება, ტირილი, მუდარა, კრულვა. მორიგემ და რაზმის უფროსმა კარგათ იციან, თუ რას ნიშნავს ყოშით ყოშზე შეხება,—მორიგეს შეუძლია გაუშვას მატარებელი ათი წუთის შემდეგ და დააკავოს იგი მთელი დღე და ღამე, მორიგეს შეუძლია მიიღოს და გაუშვას მატარებელი ღამით, როდესაც „შემზღუდველნი" არ მუშაობენ სინათლის უქონლობის გამო. მორიგეს ხვედრია—ქალები, ღვინო, ფული, ახალი ტანისამოსი, საუკეთესო თუთუნი, ეინემის და სიუს კამფეტები; მორიგე ლაპარაკობს, როგორც სარდალი, ორი სიტყვით, იმას არ სცალია და არ სურს ხეტიალი ბაქანზე.

შავი ველით გაძარცული მილოღავს მატარებელი № 57, შერეული, ღამის უდაბნოში; სოველი თოვლი, ბრუნავს ქარი, ძიძგინობენ სათბურები.

ღამე, წყვდიადი, სიცივე. და შავ უსკრულში ტორტმანობენ წითელი ცეცხლები კოცონების ბაქან „მარზე", საშინელნი, როგორც ავზნიანი ხანძარი.

სათბურებში, სადაც ადამიანები სდგანან და სხედან ადამიანებზე, არავის არ სძინავს, ყველა მდუმარეა.

მატარებელი ჩერდება ნელა,ყრუ სიჩუმით, ჰრიალებენ ბორბლები.

იწვიან კოცონები, კოცონებთან იშმუშნებიან ადამიანები და ყრია ტომრები.

სადგურის ქოხი მდუმარეა.

წყვდიადში, ჯგუფად, არყის ბოთლებით იკრიბებიან მატარებლის № 57. მამასახლისები.

თოვლი. ქარი. ორნი მიდიან, ბრუნდებიან. ერთი წუთით სადგურის ქოხთან გამოჩნდება მორიგი, ლაპარაკობს, როგორც სარდალი.

სიჩუმე.

ჩურჩული.

სათბურებისკენ გარბიან მამასახლისები. სათბურში ბნელა. მამასახლისი კარს მიიკეტავს. სიჩუმეა.

— რაშია საქმე? კითხულობს ვიღაც. მამასახლისი აჩქარებულად სუნთქავს და, მგონი, მხიარულია.

— დედაკაცებო, გოგონებო,—თქვენთან სათხოვარით, ამბობს მამასახლისი ჩქარი ჩურჩულით.—მოითხოვს გოგოებს და დედაკაცებს, რომელნიც უკეთესია, რომ გავუგზავნოთ არმიელებს, მე თვითონ არაფერი შემიძლიაო...

სათბურში სიჩუმეა, სუნთქავს მხოლოდ მამასახლისი.

— გოგონებო, დედაკაცებო, რას იტყვით?

სიჩუმე.

— უნდა წავიდენ დედაკაცები. ვერას გავაწყობთ.— ამბობს ვიღაც ამოხვნეშით—პური, პური მიგვაქვს!

ისევ სიჩუმე.

— მაშ წავიდეთ, მანიუშ.... ხმა ისმის, როგორც გაწყვეტილი სიმი.

სათბურებიდან, ბნელაში, თოვლში ფრთხილად ჩამოდიან ქალები. კარები სიჩქარით იხურება. ქალები უსიტყვოდ იკრიბებიან. იცდიან. სადღაც ახლოს ბუტბუტებენ მავთულები. ვიღაც მოვიდა, ჩააჩერდა ქალებს ამბობს ჩურჩულით:

— ყველა აქა ხართ? წავიდეთ...

რა უნდა ჰქნა... პური! გვიშველეთ გოგონებო, ქალებო.... რომელი გოგონები მთელია—ისინი ნუ წავლენ! რაშია მართლა საქმე!

შემდეგ ქალები დიდხანს დგანან სასურსათო მატარებლის უკანა სათბურთან, სანამ არ მოირბენს ბიჭი გაღეღილ გიმნასტიორკაში:

— ა, დედაკაცებო! სული მიგვიდის! ჩვენ გვინდა ქალები პირველ რიცხვამდე.— ამბობდა ის მხიარულად.

— თქვენ მთელი ჯოგი ხართ! ამდენი არ არის საჭირო, ძალიან გახურებულხართ. დედაკაცებო! აარჩიეთ ათი, თუთხმეტი ლამაზი.- ვაი, დედა თქვენს, თუ ჯანმრთელი არ იქნენ:

ღამეა. მოდის და მოდის თოვლი. ზრიალებენ მავთულები. ზრიალებს ქარი. კანკალებენ კოცონების ალები.

კანტორაში მორიგესთან არიან მამასახლისები და გამოცვლილი ხმით, რომელიც ახლა უაზროთ—გემრიელია და საზიზღრად—წვრილი, ერთმანეთს ასწრებენ, იკლანკნებიან და უმასპინძლდებიან მორიგეს—ფულით, სპირტით, პაპიროსებით, თუთუნით, ჩითით, ჩაით...

მორიგე ღამის შესამოკლებლათ, გენერალივით ჰყვება ანეგდოტებს, მამასახლისები უნამუსოთ და ტკბილათ იცინიან, თვალებს ქვევით ხრიან.

გათენებისას მატარებელი № 57, შერეული, სტვენს, ძიგძიგებს, თითქო ძვლები წყდებიან ხერხემალს და მიდის ბაქან „მარიდან“.

პური!

**ბორის პილნიაკ.**

# მათრახის პანაშვიდი

გადმოკეთებული დრამა 4 მოქმედებად.

## პირველი მოქმედება.

ავტორის ნებადაურთველად
დრამის დადგმა აკრძალულია.

ბებერი მუხა: ერთს ტოტზე საქანელა-გაბმულა. პაწია ბავშვს ნენე-დედა აქანებს და თან ნანას უმღერის. მეორე მხარეს თანდია თითქოს სთვლემდეს და თითქოს თავის ცოლის ნანას ყურს უგდებდეს; მოშორებით დედა მიწოლილა. მუხის ფანჩატურზე ციბომეფანდურე—მესტვირე.

1.

**დედა, თანდია, ნენე, ფანჩატურზე ციბო.**

**ნენე.**

დაიძინე, ნანას გეტყვი...
იავ-ნანა, ვარდო ნანა.

ქმარს.

გღვიძავს, თანდია?

**თანდია.**

გამიფრთხა ძილი!

**ნენე.**

გათენებამდე დიდი დრო არის?

**თანდია.**

ფიქრში გართული უმზერს ცას.

ვარსკვლავებს უკვე ფერი ეცვალათ.
რძისფრად შეჰღებავს განთიადი მალე კამარას.
ალაზნის ღრუბლებს ცეცხლს წაუკიდებს,
ამოცურდება მზე ჯილოსანი.

უცბად წამოდგება და ნენეს ეამბორება.

ჩემს მზეს სალამი!

**ნენე.**

მოულოდნელობით და ნეტარებით დამტკბარი აენთება, როგორც ღრუბელი პირველ სხივებისგან.

ჩემო თანდია! მხიარული ხარ...
შენი ხმა ჩემს გულს ეალერსება..

**თანდია.**

ჰერეთის თემში ყველაზე ტურფა
მეუღლედ გპოვე... მაშ მხიარული რად არ ვიქნები?

**ნენე.**

ო, თანდი! ირგვლივ სიჩუმე მეფობს...
მყუდრო სიჩუმე... ხვალე მინდორში თან გამოგყვები..

**თანდია.**

თითქოს რაღაცას ყურს უგდებდეს.

დიახ, სიჩუმე... და მდუმარება..
წუხელ, როდესაც ბუ გაჰკიოდა,
ან ჩვენი ხვადი ძაღლი დაჰყეფდა,
მე ამ სიჩუმეს ვუფიქრდებოდი...
ხმა ჩამქედარია...

**ნენე.**

გაბმულასთან ბავშვს დაჰყურებს.

აბა, უმზირე რა ტკბილათ სძინავს!?,
თითქოს თავს დაჰფრენს მას მყუდროება.

**თანდია.**

დაე ეძინოს!
ჯერ ვერ გაარჩევს მყუდროებას დადუმებისგან.

პაუზა.

**ნენე.**

ამოიოხრებს და ნელად დამღერის:

ნანა შვილო, ნანინა...

სიტყვები იკარგება.

**თანდია.**

თავისთვის.

ჩვენ უნდა ვსდუმდეთ?..
უნდა ვსდუმდეთ!..
როცა იღვიძებს არსი ყოველი,
მზე სალამს გვაძლევს,
გული ზეიმობს,.
ბუნება სდგება განახლებული
სიცოცხლით სავსე,—ჩვენ უნდა ვსდუმდეთ!

**ნენე.**
ისევ იგონებ... ისევ იმ ამბავს...
დროა ივიწყო, ჩემო თანდია!
**თანდია.**
მუხაზე მიყუდებულს შუბს იღებს.
ნენე, მეც მინდა დავივიწყო... ამაოდ ვცდილობ..
ეს ძველი შუბი, მამიჩემის ხელში ნაჭერი,
ეს არ ივიწყებს...
**დედა.**
თითქოს აქამდე ეძინა, უცბად წამოჯდება.
თანდია! მაგ შუბს თავი ანებე...
აქ მომეც იგი!
დაცინვით.
კაცის მარჯვენა მაგას ვერ ზიდავს.
სუბუქი არის მოხუცის ხელში.
ეხლა კი, იქნეს, დასაყრდნობად მე მემსახუროს.
წამოდგება.
რძალო! ეგ სურა აქ მომაწოდე,
წავალ წყაროზე, ცივს წყალს მოვიტან.
მხურვალე კოცნას განბანვა უნდა.
ირონია.
**თანდია.**
დედი! მოიცა! აი, ეს შუბი!
გაჯავრებული მიწაში ჩაურჭობს.
წყალს მე მოვიტან!
უცბად გადის
2.

**დედა და ნენე.**
**დედა.**
ბუტბუტებს.
ჰო! როგორ არა!
ქალაჩუნებიც წყალსა ზიდავენ...
შენც, როგორ არა, შესძლებ მოტანას.
მწარე ამოხვრით.
ჩემო მოხუცო, თემში განთქმულო!
ეს რა ლაჩარი მოდგმა დავტოვეთ!
სიჩუმე.
**ნენე.**
ნაძალადევად.
დაიძინე, ნანას გეტყვი.
დედა გენაცვალოს..
სწყვეტს სიმღერას.
დედი, თანდიას მუდამ რად სტუქსავ,
თითქოს რაღაცას უსაყვედურებ!
**დედა.**
გაავებული.
შენ ქერქში იყავ!
არც თუ შენ რამედ მეპიტნავებბი!
დაჩუმდი!
**ნენე.**
უწინ გვიალერსებდი!
ხალისიანად დავდიოდით სამუშაოზე...
ვენახს ვფურჩნიდით, თივას ვთიბდით,
ნახნავს ვმარგლავდით.
ეხლა კი იგი სდუმს და სდუმს მარად..
ათასში ერთხელ მიეცემა თავდავიწყებას.
**დედა.**
დაცინვით.
სდუმს და სდუმს მარად.
ან და ხმას როგორ ამოიღებს, როცა უბრძანეს:
სიტყვა არ დასძრას — მას უბრძანეს... სდუმს და სდუმს
მარად.
შემოდის ჯანდო-მოურავი მონადირეების თანხლებით.
3.

**დედა, ნენე, მოურავი და მონადირეები.**
**ჯანდო.**
სხვაგან სად ვნახავთ უკეთეს ადგილს?
ამ ბებერ მუხის ქვეშ სამართლობდნენ,
ამ ქვაზე ბევრჯელ მჯდარა მსაჯული,
თემის უფროსი ამორჩეული.—
ეხლა კი უნდა თქვენმა ბატონმა
აქ დაისვენოს!
მონადირეს.
აბა, თადარიგს შეუდექ მარდათ!
გადის.
4.

**იგინივე მოურავის გარდა.**
**მონადირე.**
აბა, ბებერო! ჩქარა, აქედან!
ეგ თქვენი ლეკვიც თან წაათრიეთ.
დიდი ბატონი სინადიროდან აქეთ ბრუნდება!
აქ ჩამოხტება და ისაუზმებს!
ვიდრე მე მოვალ, თქვენი სინსილა აქ აღარ იყოს.
შუბს დააკვირდება, რომელიც თანდიამ მიწაში ჩაასვა.
აბა, ეს არის სწორედ მარგილი!
სწორედ შამფურად გამოგვადგება.
ტახი შეიწვის.
**დედა.**
ამოაძრობს შუბს.
მოშორდი იქით!
თორემ შენ თვითონ აგაგებ ცოცხალს.
**მონადირე.**
გადახტება სიცილით.
ოჰო!
როგორ თხასავით ხტის ბებრუხანა!?
მაინც მიფრთხილდი, ბებერო ძვლებო,
თორემ ბატონის მათრახი ზურგს აგილილავებს.
ის არვის არჩევს: არც ახალგაზრდას, არც წელში მოხრილს.
გადის.
5.

**იგინივე, მოურავის გარდა, შემდეგ ელიზბარ, მათია და ელიბო.**
**ნენე.**
ბავშვს აიყვანს და მირბის, საითაც თანდია გავიდა.
თანდია! ჩემო! თანდი!..
მოფარდა.
**დედა.**
შუბს დაეყრდნობა და ნენეს თვალს გააყოლებს. ჩაფიქრდება.
თან მებრალებით... თან ბრაზი მომდის უსუსურებზე!
უცბად ატყდება ძაღლების და მეძებრების ყეფა. ხმაურობა. საყვირის ხმა და ძახილი. დედა შეკრთება, მაგრამ შემდეგ წელში გასწორდება, ამ დროს უცბად შემორბიან ელიზბარ, ელიბო და მათია, ელიზბარი ტანადი მოხუცია.
**ელიზბარ.**
გამწარებული.
შელახეს ჩვენი წმინდათა-წმინდა!
ბრძანოს გაჩენმა, აქ ფეხის დადგმა
იყოს იმათგან უკანასკნელი!

**დედა.**
*გამოერკვევა.*
რა ამბავია? რა ხდება ჩვენს თავს?
ვინ დაარღვია ჩვენი ადათი
და ღვთაებრივი „წმინდა სიჩუმე“?
რას გვითელის ჩვენი დამპყრობელი უცხო ბატონი!
**ელიზბარ.**
არ გვაკმარებენ, რომ ჩვენ ყმებად გარდაგვაქციეს.
წყეულიმც იყოს ჩვენი გამცემი! ნადირობის დროს
სთელავენ მინდვრებს, დათესილ ყანებს,
ზვრებს და ვენახებს ანადგურებენ....
**მათია.**
ჰერეთის თემი და ბატონყმობა!?
აი, აქ არის სიგელ-გუჯრები!
ალაროდიის ბრძანება მართველმა ჩვენ ეს გვიბოძა.
აქა სწერია ჩვენი უფლება:
*კითხულობს.*
„ჰერეთის თემი უნდა იყოს თავისუფალი სამარადისოდ.
„არც ერთსა თავადს და არც აზნაურს,
„არა აქვს ნება დაეპატრონოს ჰერეთის მცხოვრებთ,
„ხელი შეახოს მამაპაპეულს მათს ადგილს, მამულს,
„დაისაკუთროს ან და ჩასახლდეს....
გესმით? სიგელი! გესმით, სიგელი!
თავისუფლები ვართ სამუდამოდ!
**დედა.**
დღეს ეგ უფლება უხეშის ფეხით გათელილია!
და გვიბრძანებენ: ვიქმნეთ მუნჯები!
**ელიზბარ.**
უენოები.
**დედა.**
მეფემ ბრძანაო!
**ელიზბარ.**
რომელმა მეფემ? ჩვენ არც მეფე გვყავს და არც ბატონი!
მაგრამ დადგება დრო განკითხვისა!
შორის ძიების... მაშინ ვაი მათ!
გახსოვთ ამ ზამთარს როგორ იქუხა!?
ეს მათთვის ცუდი ნიშანი იყო!
**მათია.**
თვეა, მამლები ადრე ყივიან!
ესეც ხომ ცუდი ნიშანი არის!
**დედა.**
მაინც ჩემს დამჭკნარს ზურგს მათრახებით ემუქრებიან.
ყველა უგვანო კისერზე გვაზის...
**მათია.**
შენ რაღას, იტყვი, ჩვენო ელიბო?
**ელიბო.**
ეხ, ვსთქვა ვაია, არ ვსთქვა ვაია!
თევზივით პირი წყლითა მაქვს სავსე!
რა გითხრათ, აბა, ჩემი არ გჯერათ!
უნდა ავჯანყდეთ!
შენ იმედი გაქვს სიგელ გუჯრების...
*გაბრაზებული.*
ქალალდებია! ქალალდები! სხვა არაფერი!
ხალხო, გაიგეთ უნდა ავჯანყდეთ!
**ელიზბარ.**
გემხრობი, მაგრამ...
**ელიბო.**
მემხრობი, მაგრამ ხელს კი არ ანძრევ...
თუ გლეხი თავის საქმეს თვითონ არ მოიგვარებს,
სხვა შენთვის თავსა ვინ შეიტკივებს?
რა უყავ დრო'შა? გაგვიძეხ და თან გამოგყვებით!
**მათია.**
რით? რით გამოგყვებით?
ცარიელ ხელით?
გინდა მაგ შუბლით გაანგრიო რკინის კედელი?
**ელიბო.**
მაშ აიფარე სიგელ გუჯრები
და გასათხოვარ ქალიშვილივით
ელოდე, სანამ მზათ არ მოგართვან!
**მათია.**
იმათ არ სჯეროდ,
რომ ერთის დაკვრით დაუკარგონ სიგელებს ძალა.
მათ არ ასვენებთ ეს ქალალდები.
მათ ეს ძილს უფრთხობთ, გესმის ელიბო!
ყველგან ეძებენ...
ყველგან სჩხრეკავენ. ბრძანება არის ალმოაჩინონ.
ამიტომ არის აქ მოვიტანეთ,
გვსურს შენს ოჯახში დავმალოთ იგი.
**ელიბო.**
ჰო, ჰო! დამალეთ! სხვას უკეთეს რა მოიგონებთ?
**დედა.**
ამ ჩემს ოჯახში?...
აქ თავადები ნადიმს მართავენ...
**ელიბო.**
ჰხედავთ? ბებერსაც კი შეეშინდა! ათანელის ქვრივს!
დალახვროს ღმერთმა!
**მათია.**
*შემკრთალი იყურება.*
ჩუ! რა გაყვირებს?
უნდა მივმალოთ,
ჩვენ გადავსწყვიტეთ!
ამ მუხის ძირში...
მრავალ დროების იგი მოწმეა.
მას ახსოვს ჩვენი თავისუფლება
და წინაპრების თავგამოდება.
**ელიბო.**
დამალეთ, თორემ მზე გაახუნებს.
**ელიზბარ.**
ქვის ქვეშ ამოვდოთ!
მაგრამ თანდია რატომ აქ არ სჩანს?
მამის უფლება მას გარდმოეცა,
რომ ამ ქალალდებს დარაჯად ედგეს.
რომ ის იცავდეს ხალხის საუნჯეს
და მთელი თემის თავისუფლებას.
**დედა.**
უიმისოდაც შევძლებ დამალვას...
შვილია მაგრამ...
**მათია.**
ჩვენ ეს ორიც რომ შევინარჩუნოთ,
—ამათში მხოლოდ ორი სიგელი,—
შევინარჩუნებთ ჩვენს უფლებასაც!
დროება მუდამ ერთნაირი ხომ არ იქნება?
შესაძლო არის ჩარხი დაბრუნდეს ჩვენს სასარგებლოდ.
**ელიბო.**

გულზე ხელები დაიკრიფე და დაბრუნდება! ჰო, როგორ არა!
**ელიზბარ.**
მაშ ტყუილად ხომ არ იქუხებდა შუა ზამთარში?
**ელიზო.**
აგიტეხია: არ „იქუხებდა!"... აღარ იქუხა, რით ვერ გაიგე?
გარედ.
**ბაბული.**
ჰეი, მხლებელო! წაიყვა ცხენი!
სცენაზე შეკრთებიან. სიგელებს გარშემოებვევიან. დედა უბეში იდებს.
ყველანი ფეხაკრეფით გადიან.
**ჯანდო.**
6.
ქალბატონს ბაბულის წინ მოუძღვის მოურავი.
**მოურავი, ბაბული, სამი მხლებელი,** შემდეგ **თანდია.**
აი, აქ თქვენო ბრწყინვალებავ!
ცოტა ხანიც და მზად იქნება მწვადი მცვრიანი!
თავის დაკვრით გადის. სცენაზე ბაბული და სამი ყმაწვილი მხლებელია.
**ბაბული.**
მკლავზე მიმინოს
ჩემო მიმინო, სწრაფო მიმინო!
აქ რომ არ იყვნენ შეყვარებული ჩემი მხლებლები...
უგუნურები... არა ერთს კოცნას,
შენ მოგიძღვნიდი მთელ ღამის ტრფობას!
ტუჩებთან მიიახლოვებს.
ახ, კბენაც იცი? ეგ ვინ გასწავლა?
ამ ვნებიანმა იქნებ მსახურმა?
შენ, ჰეი, გივი? მას შენ ასწავლე?
ან იქნებ იმან, ძუძუმწოვარამ?
შენ, ჰე, რა გქვიან? მომიახლოვდი!
**მსახური.**
მუხლს მოუყრის
შალო!
**ბაბული.**
თავისკენ მიიზიდავს
შალო! შენ შალო...
გრძნობა აშალო!
უცბად შეამჩნევს შემოსულ თანდიას.
შენ ისევ.... აქ ხარ?
წაიყვათ ჩემი მიმინო და დამეკარგენით!
მხლებლები მისცვივიან. ერთი მათგანი მოსხლეტით და მოხერხებულად მიმინოს გაიტაცებს. სხვები მისდევენ. თანდია და ბაბული ერთმანეთს ჩუმად უმზერენ.
**თანდია.**
ნება მიბოძეთ.
ავხსნა გაბმულა!
**ბაბული.**
მაშ შენ, თანდია, უკვე გყავს ბავშვი?
სიჩუმე.
მე კი... გეტყოდნენ... უკვე დავქვრივდი.
სიჩუმე.
ხა, ხა, ხა! არც კი გსურს მელაპარაკო...
წყაროზე წყალი არ მომაწოდე...
ხმას არც აქა მცემ?
ანჩხლად
მიპასუხე!
შოლტს მოუღერებს.
სანამ ამ შოლტით...
**თანდია.**
თქვენგან უკეთესს რას მოველოდე?
ნება გაქვს სრული...

**ბაბული.**
რას მოელოდე?
შენ წინ აღარ სდგას ბავშვი ბაბუცა,
რომელს ჩვენს ბაღში ათამაშებდი
და შინ მოგყავდა ხელთ-აყვანილი!
დღეს ყმა ხარ ჩემი...
თუ მოვინდომე, ეხლავ დაგსჯიან....
საპყრობილეში ჩავასმევინებ.
**თანდია.**
დაცინვით.
სხვას რას ისურვებ ჩემთვის ბატონი!
**ბაბული.**
ჩემო თანდია!... თანდია, გესმის,
მხოლოდ ერთს კოცნას!
თანდია თავჩაღუნული მობრუნდება.
განა არ გახსოვს, ამ ძველს მუხასთან
ჩვენ ორნი ერთად რომ ვოცნებობდით?
შენ გიტაცებდა საქმე საგმირო,
ამბობდი როცა დიდი გავხდები,
ჯარს წავუძღვები მტრის წინააღმდეგ...
შენ ვითომც იყავ მთავარსარდალი...
სხვა მეომრები შურით გიმზერდნენ...
ვითომც მოიგე მრავალი ომი...
შენი სახელი ვითომც გავარდა...
შენ თაყვანს გცემდნენ ღმერთის თანაბარს
და ამ დროს მამამ გამოაცხადა:
„ჩემს მზეთ უნახავს იმ რაინდს მავცემ,
ვინც კი მოიგებს ხმალდახმალ ბრძოლას!"
როცა გათავდა დიდი ზეიმი,
ერთი ჩაფხუტში გამოწყობილი,
(ისე რომ სახე არც კი უჩანდა,)
იწვევდა ყველა შეკრეფილ გმირებს...
გაეიდა ერთი და წუთში დასცა,..
მიჰყვა მეორე, იმას მესამე...
ერთი ქართლელი დიდხანს ებრძოდა,
მას კეჰნაობა კარგად სცოდნოდა..
ყველას ეგონა იგი დასძლევდა...
ასტყდა ყიჟინა... მე ვკანკალებდი...
და არ ვიცოდი ჩემი ბედი ვის მარგუნებდა..
თვალი დავხუჭე... გავახილე... და რა ვიხილე?
დამარცხებულზე იმ ერთადერთს ფეხი დაედგა.
დანარჩენები შეკრთნენ, ბრძოლა ველარ გაბედეს...
მამაჩემი კი იძახოდა; „ეგ არის სიძე! ეგ არის სიძე!"
გამარჯვებულმა მოიხადა თვისი ჩაფხუტი...,
ის ხომ შენ იყავ...
ოცნებით.
ის შენ იყავ!
უფრო ყრუდ.
ის ხომ შენ იყავ, ჩემო თანდია!
**თანდია.**
ბავშვის ოცნება!
და იმ ოცნების მომხიბვლელობა
შოლტის ზუზუნმა უკვე მოწამლა..
**ბაბული.**
შოლტს სტეხავს და გადაისვრის.
ახ!
სახე ხელებში ჩაიმალა.
დავიქანცე და აღარ ძალმიძს

კიდევ ეატყუო მოხუცებული.
არც ამ მხლებლების ალერსი მატკბობს;
იმათ კოცნაში, იმათ ხვევნაში
მხოლოდ შენ გეძებ!

**თანდია.**

ნება მიბოძეთ ავხსნა გამბულა.

**ბაბული.**

მწარე ღიმილით.

ჩემს სიტყვას ბანზე...

შემოდის ჯანდო. წინ უძღვის ბატონს და მის სტუმრებს: ასლანს და ფრიდონს. მათ უკან მოსდევენ მონადირეები ქორ-მეძებრებით. შემოაქვთ მოკლული ტახი. ერთი შველი გააქვთ მხარეულ მხლებლებს შესაწვავად.

7.

**იგინივე. ბატონი, ასლან, ფრიდონ, თანდია, ბაბული.**

**ბატონი.** შედგება.

აბა, ეს რას ჰგავს?
 აგრამ ჰო, ძველი მეგობრები...
მემი გოგონა თავის ბავშობის ძველ ამხანაგთან.
ჩათანელის ძეს ჩემი სალამი!

თანდია სდგას მდუმარე.

**ბატონი.** აენთება.

ქუდი მოაძრეთ მაგ უხეშ ხეპრეს

ქუდს მოაძრობენ.

და გაათრიეთ... შორს, ჩემს თვალთაგან!

მონადირეები გარეთ აგდებენ.

8.

**იგინივე, თანდიას გარდა.**

**ბაბული.**

გლეხს დაავიწყდა თავისი სისხლი და თავის მოდგმა.

ერთი მონადირე საქანელასთან მიდის და ჰსურს ასჭრას.

**ბაბული.**

დაეხსენ ნუ სჭრი... იქნებ გავქანდე...

**ფრიდონ.**

მართალი არის, იქნებ გაქანდეს...
ისევ ბავშვია ჩვენი ბაბული!
აკვანში რწევა მას ეამება.
მე ნება მომეც, გამდელი ვიყო!

**ბაბული.**

თავადო ფრიდონ! მადლობელი ვარ.
ერთხელ მხვდა წილად მე თვით მეთქვა აკვაიში ნანა,
ვინც ჩემს აყვანას ხელით ლამობდა.

**ასლან.**

ჩემს ხელში, ვგონებ, თავს მტკიცედ იგრძნობ.

**ბაბული.**

თვალს გადაავლებს, თითქოს ზომავდეს.

არ ვიცი... ასლან! ვნახოთ!. ვნახოთ! აბა, მიშველეთ!..

შველიან საქანელაზე ასვლას.

**ბატონი.**

უკმაყოფილოდ ათვალიერებს.

ჯანდო! საუზმე! რა დაგემართათ?..
მუცელი წივის.

**ჯანდო.**

ეხლავ ბატონო! თქვენს მოკლულს შველს, მთლიანად
სწვავენ!

**ბატონი.**

კმაყოფილი.

მე მოვკალ განა?

**ჯანდო.**

მკერდიდან ტყვია ამოუღეთ თქვენი თოფისა.

**ბატონი.**

მესიამოვნა!

**ჯანდო.**

რომ ყოფილიყო მთის ოდენაც, ვერ გაარტყავდა.
სანამ გაშლიდნენ, იქნებ ისურვოთ წყაროზე გავლა.
იმ წყაროს პირად გაშლიან სუფრას.
ამ ყმას, თანდიას, ღვინო უდგას, როგორც ზედაშე.
მადამდე წყალთან გაგრილდებით—და იქ ინებებთ..

**ფრიდონ.**

ასეთი უნდა მოურავი! ჩინებულია.
თუმც ბაბულიამ გადამასხა სიცივე გულზე,
მაინც კარგია გაგრილება!..

**ბაბული.**

შენმა ალერსმა ისე გამყინა,
რომ ცეცხლის ალიც ველარ გამათბობს.

**ასლან.** აქანებს.

მე კი აქ ვრჩები... ჰხედავთ, საქმე მაქვს...
მინდა ბავშვს ვუთხრა ტკბილი ნანინა.

**ბატონი.**

არა!.. არა!.. ბატონებო... გთხოვთ მოურავი...
მე... მე დავრჩები... და გავართობ ჩემს ბაბულიას!
ეს არის ჩემი უფლებაც და მოვალეობაც.

**ჯანდო.**

გამომყევით პატივცემულნო!

**ასლან.**

უნდა გავყვეთ! რა გაეწყობა

სიცილით გადიან. მონადირეებიც წავიდ-წამოვიდნენ.

9.

**ბატონი და ბაბული,**

შემდეგ ციბო ფანჩატურიდან

**ბატონი.**

ჩემო გოგონი!... მშვენიერო!.. ისევ ჩვენ ორნი!
ისევ ჩვენ ორნი ვიცხოვრებთ ერთად!

**ბაბული.**

ახ! ყაითანი გამხსნია ფეხზე.

**ბატონი.** ათვალიერებს.

ეხლავ... მოვიხმობ ერთ-ერთ მხლებელს.

**ბაბული.**

არა, თქვენ თვითონ!

**ბატონი.**

მაგრამ...

**ბაბული.**

როგორ? არ გინდათ თქვენს ცელქს ბაბულის
თქვენ თვით შეუკრათ კოხტა ფეხსაცმო?
აბა, მამილო, დაეძხეთ ჩემ წინ!

**ბატონი.** რყევით.

ჰო, მაგრამ, მაგრამ...
ნუღარ მიწოდებ მაგ სახელს... ნუღარ!
მე მამა არ ვარ!

**ბაბული.** ყალბის ვნებით.

ო, მბრძანებელო!

**ბატონი.** მსწრაფლ მუხლებზე ეცემა.

შენა ხარ ჩემი დედოფალი!

ფეხზე ჰკოცნის და ყაითანს უკრავს.

**ბაბული.**

ასე იყავით ჩემს ფეხთ წინაშე.

დიახ, ვარ შენი დედოფალი ამიერიდან.
**ბატონი.**
ჰო, დედოფალი სოლომონ ბრძენის...
**ბაბული.**
რაც უნდა გთხოვო, ხომ ამისრულებ.
**ბატონი.**
ჩემს სიცოცხლესაც არ დავიშურებ.
**ბაბული.**
აღარ გადასთქვა, სოლომონ ბრძენო!
**ბატონი.**
ვფიცავ ბაბულის!
**ბაბული.**
ერთი მონა უნდა მაჩუქო!
**ბატონი.**
ყველას!... ყველას!..
**ბაბული.**
არა! მე მინდა მხოლოდ ერთი!
**ბატონი.** ეჭვიანად.
მაგრამ... რომელი?
**ბაბული.**
ის! აქ რომ იყო... აი ეხლახან...
**ბატონი.**
თანდია! ვიცი!
იგი უწინაც გზას მილობავდა!
ვუბრძანებ ეხლავ შუა გაჰკვეთონ!
**ბაბული.**
შუა გაჰკვეთონ?
იქნებ მე უფრო მკაცრ სასჯელს მივსცე,
რასაც მოხუცო, ვერც წარმოიდგენ.?
მაგრამ მე მინდა... მსურს, მინდა—მეთქი,
მისი სიცოცხლე მე მეკუთნოდეს.
**ბატონი.** გრაზმორეული.
არ შეიძლება!
არა, მე არ ვარ განსვენებული შენი მეუღლე,
რომ იმასავით მოვითმინო და ავიტანო...
**ბაბული.**
და არც ხომ მე ვარ შენი ცოლი...
**ბატონი.**
ხომ უნდა იქმნე?..
დიაღ, შენ მაშინ არ მისურვე და მას მისთხოვდი,
მას, ისეთსავე მოხუცებულს, როგორც თვით მე ვარ.
მას მიეც შენი სიქალწულე,
მე მას არ ვგევარ....
მე— — გესმის — არა! ახალგაზრდა თუმცა არა ვარ,
მაგრამ რა არის წლოვანება, როს ნებისყოფით
წელში ვტეხ ყოველ სიჭაბუკეს, ყოველ მეტოქეს?.
და თუ გზად ვინმე უგუნური გადამელობა...
**ბაბული.**
ო ბრძანებელო!
მშვენიერი ხარ როცა კი სჯავრობ,
და რისხვა შენი ყველას აოცებს,
მაგრამ ქორწინების ნებას ვინ მოგვცემს,
როცა მე თქვენი ქალიშვილი ვარ?
**ბატონი.**
არა, არა ხართ ქალიშვილი!..
თქვენა ხართ შვილი მეორე ცოლის,
რომელიც უკვე გარდამეცვალა.

**ბაბული.**
ო, მამაჩემი შეგვაჩვენებდა!
**ბატონი.**
ჰო, მამაშენი!
იმას სარკეში ჩავახედებდი...
მოვაგონებდი თავის ქალიშვილს.
**ბაბული.**
კესოს! ო, კესოს!.., მე იგი მომწონს!
**ბატონი.**
შენც კესოდ იქმენ...,
არაფერს ვნაღლობ, თუ შემცოდე ვიქნები ამით!
**ბაბული.** ჩათხრობილი.
ჩემო შემცოდევ!
ო მამაჩემო, გააქანე აწ შენი კესო...
მინდა ოცნებას თავი მივცე...
ან იქნებ ესეც აკრძალულია?
**ბატონი.**
მე შენს ოცნებას ხელს არ შევუშლი;
მხოლოდ ოცნება სინამდვილედ გარდააქციო,
ამის ნებას კი მე არ მოგცემ, არა, ბაბული!
**ბაბული.**
მაშ საქანელას ჰკარ ხელი მაგრა!
დაე, ოცნებამ ნანა მიმღეროს!
შენც ოცნებაში შეგიძლიან კოცნა მომტაცო.
**ბატონი.**
აჰა, ეს ასე! აქანებს.
**ბაბული.**
უფრო მაღლა... უფრო ძლიერად!
მსურს ვიგრძნო შენში ძალა ჭაბუკის..
**ბატონი.** ძლიერ აქანებს.
**ბაბული.**
იყავ მამაცი, ვნებით აღსავსე,
როგორც ყმაწვილი ათქვირებული!
ქვეშ გამირბინე!
**ბატონი.**
იქნებ გგონია მკვირცხლი არ ვიყო!
და არ შემეძლოს მე რბენა სწრაფი?
მაღლა ასწევს საქანელას და ქვეშ გაირბენს.
**ბაბული.**
თავსბრუ მეხვევა და ასე ვგონებ,
თითქოს ხვევნაში ჩემს გრძნობას ვკარგავ!
აჰა, მოხუცო, დროთ ისარგებლე..
ნება გაქვს კოცნა მომწყვიტო ბაგეს.
**ბატონი.** საქანელას შეაჩერებს.
სულ ერთი არის, ოღონ ჩავიკრა...
ჰსურს გულში ჩაიკრას, საქანელა ჩამოიჭრება და ორი რომანტიული გმირი მიწაზე გაერთხმება მუხის ძირას.
**ბაბული.**
რა მოხდა ეს?
მუხის ფანჩატურიდან ისმის მაღალი ხითხითი.
**ბაბული.**
დარცხვენილი მსწრაფლ წამოდგება.
ფუი, დასწყევლოს!..
ბატონს.
ამაზე უნდა შენ გეზრუნა, არ მომხდარიყო!
მსწრაფლ გადის.

**ტობანი.**
დაბნეული მიწაზე ზის.
ვინ ეშმაკი ხარ?
მანდ ვინ ასულხარ?
**ნაბადში გახვეული.**
ნავსი... ეშმაკი ..
შენი ცოდვილი სულისთვის მოველი...
**ბატონი.**
შე არამზადავ... ჩამოეთრიე! ჩამოეთრიე!
**ნაბადში გახვეული.**
აბა, რისათვის ჩამოვეთრიო,
როცა მე აქაც კარგად ვბრძანდები?
**ბატონი.** წამოდგება.
ხალხო! ვინა ხართ?
ჯანდო! ჯანდაბას წადი, წყეულო!
ჩქარა, გვიშველეთ! ჯანდო! ბაბული!
მეც შენთან ერთად! ბაბო, მომიცა!
მსწრაფლ მისდევს.
11
**ციბო,** შემდეგ **თანდია.**
**ციბო.**
ძირს ჩამოხტება სიცილით აცილებს.
პუმპლაუშობდნენ და ჩავუშხამე...
ეგ საზიზღრები! ნახეს ადგილი.
დალახვროს ღმერთმა..., **საქანელაში მოუხდათ ხვევნა.**
გუდას ჩაჰბერავს, ან ფანდურს უკრავს, დამღერის. თავიდანვე იგი მუხაზე გაკეთებულ ფანჩატურზე იყო და ყველაფერს ჰხედავდა რაიც კი დაბლა ხდებოდა.
საყვარლები შეიყარნენ:
არც ტოლი და არცა ხწორი;
ერთი ფშუტი და გულუხვი,
მეორე კი ლურთა ლორი!
იხრუტუნეს, იკრუსუნეს,
ერთმანეთს კი ვერ უსუნეს!
ტური რუ რი რუ...
ე, ყოჩაღ ციბო! როგორ დავათრთხე!
ის წყეულები რას აპირობდნენ.
უკრავს და ტრიალებს. შემოდის თანდია.
**თანდია.**
ციბო! მთვრალი ხარ? რა დაგემართა?
**ციბო.**
არ იცი, არა! რა მოვახდინე! ჰე ტა, ტა, ტა!
როგორც თაგვები, ისე გარბოდენ...
მე შენს მაგიერ შური ვიძიე...
**თანდია.**
შენ ჩემს მაგიერ?
**ციბო.**
ყველაფერს ვხედავდი! ყველაფერს ვხედავდი!
**თანდია.**
რას ჰხედავდი?
**ციბო.**
იმ ფანჩატურზე ვიყავ მთელს ღამეს!
როცა მოვიდენ, უკვე მელვიძა... ვჯავრობდი მაგრამ,
როგორ მეშველნა?... აბა, ამ სტვირით რას გავაწყობდი?
**თანდია.**
ჩემს სულს იმათი სითავხედე არ ეკარება!
ხოლო შველისთვის მადლობელი ვარ!
**ციბო.** განცვიფრებული უმზერს.
შენ, ძმაო, მართლა გამოსცვლილხარ
და იმიტომაც არ გენდობიან...
**თანდია.**
არ მენდობიან? ვინ არ მენდობა?
**ციბო.**
აქ იყო შენი ბიძა ელიზბარ!
ჩვენი მათი!.. ჩვენი ელიბოც! იქნებ არ იცი,
რომ ბატონები ყნოსვით ეძებენ ჩვენ სიგელ გუჯრებს?
ამბობენ: ძალა იმ ქაღალდებს არ დაუკარგავს.
**თანდია.**
მერე?
**ციბო.**
ის ქაღალდები აქ მოიტანეს
ჩვენს დიდედასთან, რომ დაემალა.
ბიძა ელიზბარ შენ გეძახოდა,
მაგრამ დიდედამ ნება არ მისცა....
იმან უშენოდ ჩაიბარა სიგელ-გუჯრები.
არ გენდობიან, ჩემო ძმაო! არ გენდობიან!
**თანდია.**
დედაჩემი მე არ მენდობა?
შესაძლო არის, მართალიც იყოს...
**ციბო.**
რა გემართება, ძმაო თანდია?
სოფლიდან-სოფლად ხალხი შეთქმულა,
საცაა რისხვა დაიგრიალებს
და დავიბრუნებთ ჩვენგან წაგლეჯილს თავისუფლებას!
მტერს დაუდგება განკითხვის ჟამი!
ამ დროს შენ სდუმხარ, ცივად იღიმი,
თითქოს ეს შენთვის სულ ერთი იყოს.
**თანდია.**
ციბო, მიყვარხარ... შეგწევს ოცნება..
და მეც შენსავით სასწაულს ველი.
**ციბო.**
ამბობ „სასწაულს"?
ეს სასწაული ჩვენთან არ მოდის,
ჩვენ მივალთ მასთან.
**თანდია.**
მე ჩემი ხალხის მრწამს ნებისყოფა...
ამიტომ უნდა მას სასტიკი წინამძღომელი,
რომელსაც ძალუძს არ დაინდოს, არც შეიბრალოს.
რას თხოულობენ ისინი ჩვენგან? მხოლოდ ჩვენ შრომას?!
დაე, წაიღონ ყველაფერი...
ამ მუხის გარდა..
ეს ასაზრდოებს კიდევ ჰრელ ზღაპრებს,
ძველთა თქმულებას..
მისი ფოთლები საოცნებოს მომითხრობს ამბავს...
**ციბო.**
ხვალ და ხვალზევით შენი ცოლიც მოეწონებათ..
**თანდია.**
ცოლი?
თუ კი ისურვებს, დაე, მათ წაჰყვეს..
**ციბო.**
მაშ თვითნებობის დასასრული არ უნდა მოხდეს?
**თანდია.**
დასასრული?
როს გული გეტყვის: ეს მე აღარ მსურს!
**ციბო.** გაბრაზებული.
შენ არას გვარგებ... წასულხარ ჩვენთვის!
ხალხისთვის გული შენ აღარ გიცემს.
ქუდს და ნაბადს იღებს. გუდას ჩაბერავს, დაამღერს და გადის.
რათ მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
„თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?
12.
თ ა ნ დ ი ა მარტო, შემდეგ **მოურავი** მხლებლებით.
**თანდია.**
ეხლა როდესაც:
„სოფლიდან სოფლად ხალხი შეთქმულა,
საცაა რისხვა დაიგრიალებს",
ჩემი ადგილი სად უნდა იყოს?
არა, არ ვიცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა აღმშენებლობა



ლენინის სახ. თამბ. ქარხნის ჩამლაგებელი განყოფილება.




მთავარი სახელოსნოები. ორთქლმავალი შეკეთების შემდეგ.

თქვენ გიყვართ თქვენი ვიწრო ბუდე, ცოლი და ბავშვი...
მე მიყვარს ჩემი შინაგანი ფართო ბუნება:
რწმენა, სურვილი, ქარის ქროლა, ოცნებით ტკბობა.
ვის შეუძლიან მე წამართოს სულის საუნჯე?
აგერ, იმ ღრუბლის ცაზედ ანთება,
მათი სრიალი მე ძვირად მილირს,
ვიდრე ზინეთი მთელი ჰერეთის!
ჩაფიქრებული.
მაგრამ მტერი ხომ ხალხს სულსაც უხშობს.
ციხეში ამწყვდევს, რწმენას უბღალავს,
ანგრევს იმ ტაძარს, სად შენთვის წმინდა სასოებაა,
მაშინ რა დაგრჩეს სანუკვარი, ო თავო ჩემო?
იქნებ ოცნება?
ხომ შეიძლება ისიც მოსწამლონ?
დაგაკარგვინოს გონიერება
და საგიჟეთში...
დაცინვით:
ჰო! გიჟებიც ხომ ოცნებობენ, თავსაც ირთობენ... წამოდგება.
საათმა დაჰკრა, არჩევანის!

**ჯანდო.**
შენ, ჰეი, ტეტიავ!
შეურცყავით ჩვენი ბატონი,
რაღაცა ხრიკი გამოგიგდიათ,
ამიტომ ბრძანა: მოვჭრათ ეს მუხა!
მუხას მივარდება, თითქოს გაშლილი ხელით იფარავდეს. სდგას ჩუმად. შემდეგ უსიტყვოდ გამობრუნდება და იქვე ქვაზე ჩამოჯდება.
მოსჭერით!

**თანდია.**
მშვიდობით, ჩემო ტკბილო ოცნებავ!

13

**იგინივე და დედა.**

**დედა.**
მუხის ფვერდით შემოიჭრება.
როგორ ჰბედავ ვინ მოგცათ ნება?

**ჯანდო.**
ნება? არავინ! პატრონმა ბრძანა...

**დედა.**
აი, პატრონი!
სხვა არავინ ჰყავს ამას პატრონი!

**ჯანდო.** დაცინვით.
მაგასაც ჰკითხე... მან ნება დაგვრთო.

**დედა.** შემკრთალი.
რაო?

**ჯანდო.**
იცინის.
აი, ჩვენა ვჭრით, ეგ კი გვიყურებს.
მონადირეებს.
ცულს მაგრა დაჰკარ! ხერხსაც გაუსვით!

**დედა.**
შუა ჩავარდება.
შესდექით! გესმით! შესდექით მეთქი!
თანდიას
შვილო ღვთის გულისათვას...
შენ მიეც ნება?

**თანდია.** ჩუმად ღიმილით.
დაე, მოსჭრან!
სიცილი მონადირეების და მოურავის.

**დედა.**
აზრდაბნეული მუხას მოჰშორდება. ხან შვილს უმზერს და ხან მუხას.
არ შეიძლება, არა,

**თანდია.**
უცბათ ყვირილით გავარდება.
ხალხო! გვიშველეთ! ბოროტგანზრახვა...
ხალხო გვიშველეთ!

**ჯანდო.**
რა გაღრიალებს ბებერო ლეშო!
გინდა რომ სისხლი დაგვალევრევინო?

იგინივე **ელიზბარ, ელიბო, მათია და შემდეგ ნენე და ხალხი.**

**ელიზბარ.** წინ წამოდგება
დე დაიღვაროს...
ერთმა ხომ ვინმემ უნდა დაიწყოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ყვირის*
ჰი!
ექეთკენ ჩქარა! ხალხო! მოგროვდით!
*აშემორბის მათია. ელიბო. აქეთ-იქიდან შემორბის ხალხი კეტებით, ფიწლებით, ცულებით და ზოგნიც ბარებით ხელში.*
**ელიბო.**
იქნება ეხლა მართლაც იქუხოს...
**თანდია.**
*მონადირეს*
საყვირით უხმე...
დაე ჩვენებიც მოვიდნენ თორემ...
*საყვირის ხმა. შეშფოთება.*
**დედა.**
კეთილო ხალხო! გამრჯელო ხალხო!
ამ მუხას სჭრიან, რომლის ქვეშაც ჩვენი მსაჯულნი
იკრიფებოდნენ და სამართალს აკანონებდნენ...
თავისუფლების წმინდა სახსოვარს ანადგურებენ...
*გაუბედავი უკმაყოფილება.*
**ელიბო**
მერე, თანდია რათა ზის ჩუმად?
პირველმა უნდა ხმა ამოიღოს.
ეგ პატრონია!..
**ჯანდო.** *მონადირეს*
მზად იარაღი!
**ელიზბარ.**
არ შეუშინდეთ!
სადაც წვრილია, დაე იქ გაწყდეს...
**ელიბო.**
მუსრი მაგ ძაღლებს ..
**მათია.** *თანდიას*
რჩეული ხალხი, მოსამართლენი,
დამრიგებელნი, ბრძენი მსაჯულნი
ამ მუხის ძირას კანონსა სჭედდენ.
და გზას გვიკვლევდნენ. *თანდიას*
ჯერ კიდევ ხალხის გონებიდან არ ამოფხვრილა,
რომ წინაპარნი შენი მოდგმის ერს წინამძღვრობდნენ
და როგორც იმათ შთამომავალს, ხალხს იმედი აქვს,
შენც უწინამძღვრებ!...
ეს მუხა არა მარტო შენი საკუთრებაა,
ყველას ეკუთვნის წმინდა ნიში და მოგონება!
უნდა დაიცვა...
**ჯანდო.**
დაიმალენით!
**ელიბო.** *მონადირეებს*
ნებას არ მოგცემთ!
**ელიზბარ.**
პირველი მე ვარ წინააღმდეგი! აბა, ვინ მომდევს!
*მონადირეები შეაჩერა. ჩოჩქოლი. ერთმა მონადირემ ელიზბარს ხელი სტაცა. სხვები თანდიას უყურებენ.*
I **გლეხი.**
მოიცა, მოხუცო! დაე, თანდიამ თვით გადასწყვიტოს!
II **გლეხი.**
ხელს არ გავანძრევ, სანამ თანდია არ გადასწყვეტავს.
**დედა.**
შვილო, ეს ხალხი...
ეს მეზობლები...
გელოდებიან, გამოფხიზლდები.
III **გლეხი.**
აბა, რას გვეტყვის, ყური დაუგდეთ!
**თანდია.**
*სიჩუმის შემდეგ მკვეთრად. თითქოს რაღაცას ყურს უგდებდეს.*
დაე მოსჭრან!
**დედა.**
*აფურთხებს, სხვები შეკრთებიან.*
ფუი! იყავ წყეული!
*თანდიას შეაჟრჟოლა. გასწორდა, შემდეგ სახე ჩამალა.*
**ჯანდო.** *ელიზბარს.*
ჩამოგვეცალე ყბედო ბებერო!
*მონადირეებს.*
აბა, მოსჭერით!
*ელიზბარს გამოაგდებენ ხელისკვრით. მონადირეები მუხას მიესევიან. ხალხი თავს იყრის ერთ ადგილს. ცულის რახუნი.*
**დედა.**
*საშინელი კივილით ხესთან მიირბენს ხელებ გაშლილი.*
მაშ მეც ამჩეხეთ! მაშ მეც აჩეხეთ!
**ჯანდო.**
*უხეშად ხელს კრავს და გადმოაგდებს.*
წა, დაიკარგე შე ბებრუხანავ!
*მათრახს გადაჰკრავს. ხალხი შეჩოჩქოლდა. მონადირეები სჭრიან და ელოდებიან ხის წაქცევას.*
*თანდია გალახულ დედას დასცქერის შეძრწუნებული ღია თვალებით.*
**ციბო.**
თანდია, დედა გაგილახეს და კიდევ სდუმხარ?
**ელიბო.** *თავისთვის*
და—და-და!
*თანდია გაბრაზებული. გაფითრებული დედას თვალს არ აშორებს წელში აიმართება. ჯანდოს თვალს გადაავლებს. შემზარავი სიჩუმე. თითქოს თანდია მივარდება მტერსაო, მაგრამ დალმეჭილი ღიმილით თავს მოიბრუნებს და ჩუმად:*
დაე, მოსჭრან!
*ხალხიდან ნენე გამოიჭრება და თანდიას ხელებს უკოცნის.*
**ნენე.**
თანდია ჩემო! ო თანდია! შენთვის ვშიშობდი!
ისევ ჩემი ხარ! ისევ ჩემი ხარ!
*თანდიამ ხელი გაინთავისუფლა. გადააბიჯებს და ქვაზე ჩამოჯდება.*
**ჯარისკაცი.**
ჰეი, გზა ბატონს! უკან დაიწით!

**15.**

**იგინივე, ბატონი, ბაბული და მხლებლები.**
*შემოდის ბატონი, შემდეგ ბაბული, ასლან და ფრიდონ*
**ბატონი.** *რამდენიმე მცველით შუა გამოდის*
რა ამბავია? რა მოხდა აქ?
**ჯანდო.**
აჯანყება, თქვენო ბრწყინვალებავ!
*ბატონი ხალხს თვალს გადაავლებს.*
გლეხები ნებას არ გვაძლევენ მოვჭრათ ეს მუხა!
და ზოგმა იარაღი კიდეც მოიშველია.
**ბატონი.**
ეს ვინ გიბრძანათ?
**ბაბული.**
მე, უბრძანე! გთხოვ ასრულებას!
**ბატონი.**
*ცოტა შერცხვენილი და დაბნეული*
ა! უეჭველად... არ ვიცი... დიახ...
**ჯანდო.**
თვითონ პატრონი არ იყო ჩვენი წინააღმდეგი,
და ნებაც დაგვრთო.
**ბაბული.**
*დაურცხვენლად გამომწვევ თვალით უყურებს თანდიას.*
ახ! ნება დაგრთოთ?
**ნენე.**
*ეჭვით თანდიას*
მაშ შენ მაგისთვის გიჩუქებია?...
**ბატონი.**
*თითქოს რაღაცა მოისაზრა.*
ძალიან კარგი! ხეს არ მოსჭრიან!
მაგრამ ჯანყისთვის შემეძლო თქვენი სიკვდილით დასჯა.
მაგრამ მისმინეთ: ჩემს ბატონობას თქვენ ვერ უარყოფთ!
კანონიერად დღეის შემდეგ თქვენ მე მეკუთვნით.
როგორც მმართველმა ამ კუთხისამ, მისმა მფლობელმა
გამოვიწვიე უკვე ჯარი და ვინც კრინტს დასძრავს,
არ დაინდობენ, აფლეთავენ ნაკუწ-ნაკუწად.
მაინც თქვენს შორის დადის რაღაც ზღაპრული ბოდვა
და ამ ცრუ ბოდვას აძლიერებს სიგელ-გუჯრები,
რომელიც თურმე ინახება თქვენს რჩეულებში.
წინადადებას გაძლევთ მომცეთ ის ქაღალდები,
თქვენივე ნებით...
სულ ერთი არის, იმ ქაღალდებს დაკარგული აქვს
ძალა უფლება და ითვლება გაუქმებულად.
ნაცვლად განიჭებთ პატიებას და შეწყალებას.

## საბჭოთა აღმშენებლობა



როზა ლიუქსემბურგის სახელობის ქარხანა.



ავტო-განყოფილება. ა. კ. რკ. გზების სამმართველო

გადასახადის შემცირებას, მყუდრო ცხოვრებას.
აბა, ვინ იცის, ქალადები ვის ხელში არის!?
**ციბო.** თავისთვის.
ღმერთო! ეს რა ვქენ! წელან მას უთხარ!
სწრაფი ჩურჩულით დედას:
მოხუცებულო!
მე დაგინახეთ, ქალალდები შენ რომ გადმოგცეს
და ეს თანდიას გავუმჟღავნე!
დედა თავზრუ დასხმულია.
**ბატონი.**
თანდია! შენ ხარ გონიერი ყველა მათ შორის...
შენ ჩვენ კარზე ხარ აღზრდილი და ჭკუას მოიხმარ!
უეჭველია შენ იცი თუ სად ინახება...
გამოამჟღავნე და აიცდენთ უბედურებას.
მითხარ ვისა აქვს?
**თანდია.** სიჩუმის შემდეგ.
დიახ! მე ვიცი!
**ელიბო.** ( თანდია! შენ არაფერიც არა იცი რა!
**დედა.** (თანდია შვილო!
**ნენე.**
მიეცი, გავშორდეთ!
**თანდია.**
არა! ვერ გეტყვით!
**ბატონი.** აენთება.
მაშ ასე არის? ჯარის კაცებს
დაჰკარით, ვიდრე არ გამოტყდეს!
ჯარის კაცები მიიწევენ.
ელიზბარი რამდენიმე გლეხით წინ გადაეღობებიან.
**თანდია.**
დამშვიდებული.
ამაოდ ცდილობთ! სიტყვას არ დავძრავ!
**ნენე.**
თანდია ჩემო!
**ბაბული.** წინ წამოდგება.
მაშ არც მე მეტყვი? მე, ბაბულიას!?
**თანდია.**
თვალებში უმზერს, მაგრამ შემდეგ თავს დახრის
და ზურგს შეაქცევს. მამინაცვალს.

მე მომანდეთ, ბატონო ჩემო,
შევიტყობ ყველას.
გამომიგზავნეთ სასახლეში და სიტყვას გაძლევთ
იგი გუჯრები, სიგელები თქვენს ხელთ იქნება!
გადის. უკან მისდევენ: ასლან და ფრიდონ.
16
იგინივე **ასლანის, ფრიდონის** და **ბაბულიას** გარდა.
**ბატონი.**
ეჭვიანად უკან სიცილს გააყოლებს.
მას გაუგზავნეთ!
მე უნდა გავხდე მასთან აშიყობისა!
ჯარისკაცებს შეიპყარით!
**ნენე.**
დედი! ხომ ჰხედავ, დღემდე ის უყვარს!
**ბატონი** წასასვლელად მომზადებული.
თან წამოიყვათ!
**დედა.**
შეჩერდით მცირე!
აკანკალებული ხელებით უბიდან ქაღალდებს ამოაძრობს.
აი ეს თქვენი სიგელ-გუჯრები...
იყავით კრულნი, შეჩვენებულნი!
ხალხმა ამოიკვნესა. ჯანდო უცბად აჰკრეფს ქალალდებს და ბატონს გადასცემს. ხალხი მისკენ მიიწევს, მაგრამ ჯარისკაცები შეაჩერებენ.
**ბატონი.** ჯარისკაცებს.
ვინც კი პირველმა ფეხი დასძრას, ესროლეთ ტყვია!
თანდიაზე უჩვენებს.
წარმოადგინეთ იგი ჩემთან!
შენ, მოურავო! ამბოხებაში მონაწილენი
ყველა შეიპყარ, შებოჭილნი ჩემთან მოიყვა!
უცბად გადის თანდიაც. ნენე კივილით აცილებს იძახის: ჩემო თანდია! მიჰყავთ. ხალხი ამოიკვნესებს, როგორც ერთი კაცი.
**ელიბო** მიმავალი მექარით.
მე გამცემთ პასუხს...
**ელიზბარ** მოისხანედ დედას.
რა ჰქენ, ბებერო!?
**დედა** მწარედ იცინის ჩაწყვეტილის ხმით.
სულ ერთი იყო შვილი გაგცემდათ!

**ფარდა.**

**სანდრო შანშიაშვილი.**

# შალვა ქიქოძე

მე არ ვაპირებ ამ შემთხვევაში დავწერო შალვა ქიქოძეზე, როგორც მხატვარზე. ეს წერილი არის მხოლოდ სიხარული მეგობარის.

შალვა ქიქოძე სიკვდილის შემდეგ, ყველასათვის მოულოდნელათ, დაბრუნდა საქართველოში როგორც მხატვარი და შემოქმედი.

ტფილისში მიღებულია გარდაცვლილი მხატვარის მხოლოდ რამდენიმე სურათის რეპროდუქცია. საბოლოო სიტყვის თქმა ქიქოძის შემოქმედებაზე ამით არ შეიძლება, მაგრამ მიღებულიც საკმარისია იმისათვის, რომ ქართულ მხატვრობას მოულოდნელათ უცაბედი შენაძენი.

არიან ადამიანები, რომლების გახსენება და თუ გნებავთ მათზე წერაც სიამოვნებაა. მაგრამ ხშირად თუ ეს არ ხდება, ამას თავისი მიზეზები აქვს: ხომ ვერ დაადალებ ხალხს იმ კაცის გახსენებას, რომელსაც არა აქვს სახელი, რომელიც კერძო ინტიმის საგანია, რომელიც არაფერს ეუბნება სხვას! ასეთ პიროვნებაზე წერა, მით უფრო როცა ის არაა ცოცხალი, შეიძლება დაემსგავსოს სამგლოვიარო განცხადებას, რომელსაც ჭირისუფლები ბეჭდავენ გაზეთების უკანასკნელ გვერდზე.

ეხლა ეს უხერხულობა აშორებულია. შ. ქიქოძეზე შეიძლება წერა როგორც მხატვარზე და ყოველ უმნიშვნელო გახსენებასაც აქვს თავისი გამართლება.

მაპატიოს ეს აღსარება გარდაცვლილმა მეგობარმა, მაგრამ ეს ასეა.

მე არც მოგონებას ვწერ მხატვრის ცხოვრებიდან. ის მაინცა და მაინც არ იყო მდიდარი, ყოველ შემთხვევაში 1919 წლამდე.

გავიხსენო მოსკოვი 1913—1917 წლებს, რომელიც ჩვენ გავატარეთ ახლო მეგობრობაში, ლათინური კვარტალი (კოზიხა), ან ყველა ქართველი სტუდენტისათვის ცნობილი კაროვკინის სახლი ტვერსკაიაზე (ეს იყო თითქოს ემბაზი, სადაც სტუდენტურ ნათლისღებას იღებდენ), ექვს სართულში კუბოებივით დაწყობილი ოთახები, და ახალგაზრდა მხატვრის ოთახი, ოთახი ლაბორატორია, აჭრელებული სურათებით, ფერადებით და ჩემთვის „მყუდრო სავანე“ საღამოობით?

მაგრამ ეს იქნებოდა აგრეთვე მოთხრობა საკუთარ თავზე, ეს კი ამ შემთხვევაში ზედმეტია და ამიტომ უნებურათ უნდა გადავდვა მეგობრობით და ინტიმით გამთბარი მრავალი საღამოების მოგონებები.

მოსკოვში შალვა ბევრს მუშაობდა. მისი ოცნება იყო სამხატვრო აკადემიაში შესვლა. აქ კი ძნელად იღებდენ. რუსეთის ყოველი კუთხიდან ჩამოდიოდენ ახალგაზრდა დამწყები მხატვრები, ყველას უნდოდა აკადემიაში შესვლა, მაგრამ სასტიკი კონკურსის შემდეგ ცოტა ვინმეს ერგებოდა ეს ბედნიერება.

— შეიძლება ეს რუტინაც არის, მაგრამ თუ გინდ მხოლოდ იმიტომ, რომ დავიჯერო მხატვარი ვარ, „აკადემიაში უნდა მოვხვდე!

და ის არ მიეცა სასოწარკვეთას, როცა ორჯერ ზედიზედ ჩასჭრეს კონკურსზე.

მესამეთ შ. ქიქოძე მოხვდა აკადემიაში. მიიღეს პირველთა შორის. მაგრამ ეს აღარ იყო მისთვის დიდი სიხარული. წინა წლების განმავლობაში, როცა თავგამეტებით მუშაობდა, ეცნობოდა როგორც მხატვრობას, ისე ლიტერატურას, ის თავისთვისაც შეუმჩნევლად გაიზარდა, მეტს მოითხოვდა თავისთავისგან.

მუშაობდა შ. ქიქოძე ყოველ დღე, დაღამებამდის. ამ დრომდე ის არავის აძლევდა ნებას ხელი შეეშალა მისთვის.

სამაგიეროთ საღამოდან ჩვენ ვიწყებდით ახალ ცხოვრებას. დაღამდებოდა და გავიდოდით ლათინური კვარტალის კუბოებიდან დიდ ქუჩებში. ჯერ ტრიოხგორნის ლუდხანები და შემდეგ, როცა დაგვიანებით დაბრუნებული მგზავრები კაფეებში მხოლოდ მაგიდებზე თავდაყირა დალაგებულ სკამებს ვხედავდით, უკანასკნელად ვთბებოდით „ჩაინებში“, სადაც ორსულ ქალებივით გაბერილი „ვანკები“ (მეეტლეები) ფინჯანიდან ხვრიპავდენ ჩაის.

შალვას ყავდა კიდევ ორი მეგობარი—ჯოხი და ქინძისთავი. ჯოხი ან უკეთ რომ ვსთქვა, ჯოხის თავი— არ მიყვარდა. მის სახეს ყოველთვის გიპნოზ ქვეშ ვჭყავდი, მაშინებდა. მეტი სიხარულით გავულებდი ხოლმე შალვას კარებს, როცა მას შემთხვევით შინ რჩებოდა ჯოხი.

შალვას მეგობრობა ამ ნივთებთან ბოლომდე გაგრძელებულა. მხატვარი შესისხორცებია მათ და ბოლოს გაუთანასწორებია ისინი თავისთავთან. მხატვარი ზის მათთან როგორც მოციქულებთან საიდუმლო სერობაზე (სურათი: „მხატვარი, მისი ჯოხი და ქინძისთავი“).

არ მახსოვს, რევოლიუციის ხანებში იყო თუ არა შ. ქიქოძე მოსკოვში. ამ თვეებიდან მოგონებაში დარჩა მხოლოდ თოფები, ყუმბარების ხმა, სისხლი და მიტინგები გააფთრებული ხალხის.

შალვა დამხვდა ტფილისში. მას ჰქონდა ორი ოთახი იზმაილოვის ქუჩის ერთ შესახვევში. ოთახები იყო ცივი. გვენატრებოდა ცეცხლი, სითბო. აქაც ბევრი მუშაობა უხდებოდა. ერთი მხრით—თავისი სამუშაო, მეორე მხრით—ხალტურა. ხალტურა კი აუცილებელი იყო.

როცა ძალიან საჭირო იქნებოდა ფული ჩვენ ვაწყობდით უხვი მეცენატის უეცარი მოსვლის ინსცენიროვკას.

— აქ სცხოვრობს მხატვარი შალვა ქიქოძე?

— ეს მე ვარ!

მეცენატი ფრთხილად შემოდის ოთახში, ათვალიერებს სურათებს და ირჩევს მათს შორის „ავტოპორტრეტს“ და რამდენიმე სურათს მთიულთა ცხოვრებიდან.

ამ „ხუმრობას“ არც სულ უმნიშვნელოდ ჩაუვლია. მხატვარმა ყურადღება მიაქცია თავის სურათს „ავტოპორტრეტს“ და თამამათ წაიღო ის ტფილისში გამართულ მხატვრების გამოფენაზე (ეს სურათი შეიძინა ეროვნულმა გალერეამ).

მე არ შევმცდარვარ, როცა ქიქოძის მრავალ უმნიშვნელო სურათებში ამ სურათისათვის მიმიქცევია ყურადღება. მხატვარი წასულა ამ გზით და ბოლოს შედევრებიც შეუქმნია („ესპანელი ქალის პორტრეტი“, „იაპონელი მეგობარი მხატვარი“).

როგორც სჩანს დიდიხნიდან უტარებია და გამოუტანჯია მხატვარს საქართველო. ის, რაც აქ იყო ყაზბეგის მოთხრობების უბრალო ილუსტრაცია, გურიის და ფშავ-ხევსურეთის პეიზაჟები, ბოლოს გადაქცეულან საქართველოს გრძნეულ სულათ „(ხევსურეთი“ „გურია“).

არ ვიცი რა არის შ. ქიქოძის ის სურათები, რომელიც უცხოეთში დარჩა. მაგრამ მინდა ვიფიქრო, რომ ისინიც საგულისხმოა, ამას უფლებას გვაძლევს საოცარი სწრაფი ზრდა მხატვარის შემოქმედებისა რაღაც ორიოდე წლის განმავლობაში.

სიკვდილი მწარე სინამდვილეა. მაგრამ სიმწვავე ნელდება მით, რომ თითქმის ახლობელთაგანაც დავიწყების შემდეგ შალვა ქიქოძის მაგიერ დაბრუნდენ მისი სურათები,—ეს უცაბედი სიხარული ქართული ხელოვნებისთვის.

**სერგო კლდიაშვილი.**



ძუკუ ლოლუა

# ძუკუ ლოლუა

ტკბილი მომღერალი და მოსაუბრე, მაგრამ ქინიანი და თავდადებული: ჩვეულ არ იყო უკანდახევას: რასაც გადასწყვეტდა, უთუოდ სისრულეში მოიყვანდა. ძუკუ ლოლუა საბედისწეროდ იყო გატაცებული მუსიკით. ყველაფერზე ძვირფასი მისთვის ქართული ხალხური მუსიკა იყო. ის მუდამ ხალხში იყო: ხალხიდან სწავლობდა სიმღერებს, ამშვენიერებდა და ისევ ხალხს ასწავლიდა. ძუკუ განსაკუთრებული და ერდად-ერთი მცოდნე იყო მეგრულ და აფხაზურ სიმღერების. დიდათ აფასებდა გურულ, ქართლურ და კახურ სიმღერებსაც. აი, თვით ძუკუ ლოლუას შეხედულობა ხალხურ მუსიკასა და პოეზიაზე:

„ძვირფასი ხალხური სიმღერები, რომლებიც ჩვენი ხალხის ჭარბი გრძნობის გამომხატველია, რომელშიაც ნათლად ისახვის მთელი წარსულის შინაარსი, უმანკო, ტკბილი ოცნებანი—ლამაზი, დინჯი და მშვენიერი ცეკვა-თამაში და ჩვეულებანი—ყოველივე ეს გვეკარგება. ჩვენ კიდევ დაბეჯითებით მოვითხოვთ რომ ქართველი ერის გამოჩენილი მუსიკოს-კომპოზიტორები დაუახლოვდენ ხალხის რჩეულ მომღერლებს, თუ სურთ უკვდავება და სულის წარმტაც ეროვნულ ხალხურ ჰანგებით შეამკონ თავიანთი ნაწარმოები. ამით ისინი უამრავ საოპერო მასალას შეიძენენ და ერის კულტურასაც უკვდავს ყოფენ: ამით საკუთარი კულტურა არ გაითქვიფება უცხო კულტურაში პირიქით გაძლიერდება, თუ მთელ საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებს, ხალხურ ზეპირ პოეზიას და ცეკვა-თამაშს შემოვიტანთ ერთ მთლიან დიდს ოჯახში.

ეს იქნება საკუთარი განძი, უცვლელი დედანი, რომელიც ხელუხლებლად შეენახება მომავალ თაობას.

ამავე დროს დავგროვდება მრავალი საისტორიო მასალაც.

ხალხური ჰიმნების შემკრებებთან და მომღერლებთან ერთად საჭიროა რომ ასეთი პირები მოეფინონ სამშობლოს ყველა კუთხეს—მოეწყოს მათი დამხმარე საზოგადოებები, რომელნიც საჭიროების მიხედვით ესტუმრებიან დედა ქალაქს მათი ნამუშავარის ერთგვარი კონკურსის გასამართავად. აქ მოწონებული ჰანგები გადაღებული იქნება რჩეულ მუსიკოს-კომპოზიტორების მიერ ნოტებზე. ამგვარად დამუშავდება, შეიკრიბება და შეიქმნება საერთო განძი. გარდა ამისა ასეთი მუშაობა იმ სარგებლობასაც მოგვიტანს, რომ გაიწვრთნება და ასპარეზზე გამოვა ერის ისეთი შვილები, რომელთა ნიჭი ამ ჟამადაც უქმად არის და ვერ ჰპოვებს საშუალებას გაიწვრთნას და განვითარდეს.

განა ჩვენ ცოტა ვიცით შემთხვევები რომ ნიჭით დაჯილდოვებული პირები უჩინარად დაიხოცნენ და მათ შინაარსით მდიდარი, მაგრამ მკრთალი ნამუშავარი დავიწყებას არის მიცემული?

ვინ ჩამოთვლის რა ძვირფასი მარგალიტები ჩაუტანიათ თან მიწაში ჩვენს სახელოვან მომღერალ-მგალობლებს ანტონ და დავით დუმბაძეებს, დიტო ჯალაგანიძეს და სხვებს ჩვენი დაუდევრობით და უყურადღებობით.

განა ჩვენი ვალი არ იყო, რომ გადმოგვეღო მათგან მათი მშვენიერი, ძვირფასი სიმღერები, სძლისპირები და საგალობლები?

ვამბობ — ვიკმაროთ, რაც დავკარგეთ ჩვენი საერთო დაუდევრობით. დღეს ამ დარგში ასეთი თავისუფალი მოქმედების საშუალებაა და ჩვენი საერთო ვალია, ვისაც როგორ შეუძლია ემსახუროს ამ საქმეს. განა მისატევებელია ჩვენთვის — აფხაზების სიმღერებს არ ვიცნობდეთ?

ამბობენ, სიმღერა ჯადოსნური საშუალებაა ერის სულიერად ამაღლებისათვის. და თუ ეს მართალია, მაშინ ჩვენ მეტად შეგვიძლია ვიამაყოთ, რადგან ჩვენ წინაპართ უამრავი ჰანგები შეუქმნიათ და, მაშასადამე, ისინი მაღალი სულის მქონი ხალხი ყოფილა.

ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ არა ერთსა და ორს ევროპიელს და კერძოდ რუს მუსიკოს კომპოზიტორებს უსარგებლნიათ ქართულ ხალხურ მელოდიებით თავიანთ კომპოზიციებისათვის. მაგ. რუბინშტეინი, დარგომიჟსკი, სეროვი და სხვები დიდად აფასებდენ აღმოსავლეთისა და კერძოთ ქართულ ხალხურ სიმღერებს.

და თუ უცხონი გვაქცევდენ ყურადღებას და გვაფასებდენ მით უფრო ვალდებულნი ვართ ჩვენ თვითონ მივაქციოთ ყურადღება ჩვენს ფასდაუდებელ მუსიკალურ სალაროს.

ისტორია და მადლიერი ერი არ დაივიწყებს ამ დარგში მომუშავეთ—ეს არც ისე მიუწვდომი საქმეა და მე დაბეჯითებით მოვუწოდებ სიმღერის მოყვარულთ და მუსიკოს კომპოზიტორებს ამ მიმართულებით მუშაობისაკენ. ქართული ხალხური მუსიკა ღირსია ყურადღებისა“.

აი, როგორ სწერდა ძუკუ, როგორ დაჟინებით მოუწოდებდა ქართველ მუსიკოსებს ქართულ ხალხურ მუსიკისაკენ.

ძუკუ ლოლუას, როგორც ლოტბარს და მომღერალს იცნობდა მთელი საქართველო, მაგრამ განსაკუთრებული და ნამდვილი სიყვარულით ეპყრობოდა მას დასავლეთი საქართველო.

გასულ წელს ფოთსა და ქუთაისში დიდის ზეიმით გადაიხადეს ძუკუს მუსიკალური მოღვაწეობის 25 წლის თავი.

უკანასკნელი მისი მიზანი იყო სრულიად საქართველოს მუსიკოსთა და მომღერალთა კონფერენციის მოწვევა ქ. ქუთაისში. მაგრამ აღარ დასცალდა. მოულოდნელმა ავადმყოფობამ დაადუმა ტკბილი მომღერალი. დაასაფლავეს ტფილისში ნიკოლოზის სასაფლაოზე.

# მთიულეთში.

მგზავრის წერილები[1]).

საღამო ხანზე უახლოვდებოდით ანანურის კარს და შევდიოდით ვიწრო ხეობაში, საიდანაც მთიულეთის ქვემო ნაწილი უნდა გაშლილიყო. აგერ გამოჩნდა ანანურის ეკლესია ციხე გალავნებით კვალად არაგვი, აქამდე მიმალული, გაიშალა ოდნავ ანანურის მიდამოს კედლებიც. თვით ციხე ამართული სოფლის ზემოთ და შიგ ეკლესია თავის ჩუქურთმებით რაღაც ამაყად გამოიყურება ეს სიძველის მაღიარებელი, მაგრამ არა ნაკლებ ამაყად შევსცქერით ჩვენც ჩვენი ახალგაზდური მისწრაფებით. და მივიწევთ მთიულეთისაკენ ახალი კულტურის, ახალი ცხოვრების წარმომადგენელნი.

ციხე ეკლესია დასაწყისია სოფ. ანანურისა. თვით სოფელი არაა დიდი. სამხედრო გზის პირად გადაშლილი მას ერთგვარი გაქალაქება ეტყობა ნაწილობრივ, რაც მე მგონია უკარგავს მას ძველებურ კოლორიტს.

სოფლის თავში გვიხდება გაჩერება, მავალა (ავტომობილი) მიგვაქროლებს კვლავ პირდაპირ, ზემოთ, ჩრდილოეთით. ფასანაურამდის გვაქვს 21 კილომეტრი. ანანურიდან ფასანაურამდე ქვემო მთიულეთია. ვიწროთ მიდის ხეობა. სოფლები ნაკლებადაა. გავიარეთ სოფელი ციხის ძირი. მის ზემოდ მაღლა მთაზე ციხეა. სოფელს სახელიც ზედ გამოჭრილი აქვს—ციხის ძირი. შემდეგ სოფელი ჭართალი. ზედიზედ გადავდივართ ჯერ სონდის ხევს, მერე ხანდოს ხევს. ყველანი გართული ვართ ამ ბუნების ცვალებადობის სწრაფი შეთვისებით, არვინ გრძნობს დაქანცულობას მაგრამ, აი, ის თვალწარმტაცი ადგილი, სადაც არაგვი ორად იყოფა. ერთი შტო მთიულეთიდან მომავალი რომელსაც ჰქვია თეთრი არაგვი და მეორე ხევსურეთიდან, რომელსაც შავი არაგვი ჰქვიან, და შეერთებული მიექანება ქვევით ანანურისაკენ, ანანურიდან კი მცხეთისაკენ მტკვარში. დიდებული სურათია ორი არაგვის—თეთრისა და შავის გაერთიანება გუდამაყრის ხეობასთან აქვეა ფასანაური, საზღვარი ქვემო და შუა მთიულეთის. ფასანაურში შეუხვიეთ მარცხნით და ვერ შევამჩნიეთ, თუ ჩვენს წინ როგორ გადაიშალა ფასანაურის საავარაკო მიდამოები; აქ დასაწყისში ხიდია. ამ ხიდზე მიდის გზა ხევსურეთისაკენ. ხევსურეთი ხომ დღესაც ჩვენ საზღაპრო კუთხედ მიგვაჩნია, ჯვაროსანთა დროის კუთხეთ, სადაც სავსებით დაცულია ძველი საუკუნეთა ტრადიციები, ზნეჩვეულება; ხევსურეთი ყველა ქართველისათვის ის საოცნებო, გმირობის კუთხეა, რომელსაც ვერ მიუდექით და რომლის ამბები ჩამოაქვს არა ნაკლებ გმირულ არაგვს.

ფიქრებით გატაცებულნი და გუდამაყრის ხეობას შემაცქერალნი გამორკვეულნი არ ვიყავით, როგორ შევსრიალდით ფასანაურში, სადაც ერთ სასტუმროს ეზოში ჩვენი მავალა მოთავსდა. მზე აღარ ჩანდა. იქვე წყაროსთან გავსუფთავდით, დავლაგდით ერთ მოზრდილ ოთახში. ისევ გავიფანტეთ ფასანაურის მიდამოებში. გუდამაყრის ხეობით გზა მიდის ხევსურეთისკენ ჩრდილოეთით, ოდნავ აღმოსავლეთით იხრება. ხევსურეთის მთებში ვიწრო კლდოვან ბილიკებით, შავ მთებში, რომელნიც ზაფხულშიც თოვლითაა დაფარული. ალბად იმისთვის არის იქიდან გამომავალი არაგვის შტო შავ არაგვად წოდებული, რომელიც იმით გაემსხვავება თეთრ არაგვს, რომ უკანასკნელი მოსრიალებს მთიულეთის უფრო დაბლობ ადგილებში, სადაც თვით მთები მოთეთრო—მოწითალო და მასთანვე ლამაზად ამწვანებულია. ფასანაურის მიდამოების ხილვით ჩვენს სამეცნიერო ექსპედიციის წევრები დაღამებამდის იყვნენ გართულნი, რის შემდეგაც ყველანი შეიკრიბნენ სასტუმროს ეზოში, სადაც პროფ. დიდებულიძეს ირგვლივ შეკრებილიყო ახალგაზდობა, რომელნიც ჭოგრის საშვალებით მთვარესა და ვარსკვლავებს აკვირდებოდენ. მთის ზემოდან მთვარემ გაანათა ფასანაურის მიდამოები. ყველა ცდილობს ჭოგრით შეხედოს მთვარის ახაზულობას, რიგში ჩადგა ხალხი.

27 აგვისტოს დილის 4 საათზე გაგვაღვიძეს. წამოვდექით. ჩალაგება დავიწყეთ. მოღრუბლულია. 5 საათი იყო, როდესაც გზას გაუდექით. ფასანაურიდან გზა მიდის მარცხნით მლეთამდე მთელს შუა მთიულეთით. შევედით თეთრი არაგვის ღია ხეობაში, გადავიარეთ ჭარხლის ხევი. გზაგზა მთებიდან ჩამოჩუხჩუხებს წყლები. აღნიშნულ მიდამოებს ხანდურეთს ეძახიან. ძალზე ცივა. აჰა, პირდაპირ მთის წვერო შეწითლდა, ეს მზის სხივების პირველი ფენი იყო. თანდათან გადანათდა მთელი მთა. მზემ ჩვენამდინაც მოაწია. შევთბით ცოტათი. შუამთიულეთი სავსებით გადაიშალა ჩვენს წინ, არაგვის ორივე მხარე დაფენილია სოფლებით. სოფლები ძლიერ პატარებია, სამი ოთხი სახლია თითოში. სოფელში თითო გვარეულობა ცხოვრობს და ხშირად სოფელს მცხოვრებთა გვარეულობის სახელს უწოდებენ. ლამაზად არის ეს პატარა საგვარეულო ბუდეები ამართული მთის ფერდოზე; რაც უფრო ქვემოდაა არაგვთან, მით უფრო აყვითლებულია მიდამოები, რაც უფრო მოცილებულია არაგვს და ზემოთ არის, მით უფრო ამწვანებულია მიდამოები. ეს იმის ნიშანია, რომ ქვემოდ უკვე მწიფეა პური და გახურებული მუშაობაა. მთიულები პურს მკიან. ფერდოს ზემო ნაწილებში არ ჩანს კაცი, რადგან პური არ არი შემოსული.

მეტად წარმტაცია მთიულეთი, რაღაც გაშლილობა, თავისუფლება შემოგცქერის, რაღაც დაწყნარებული სილამაზე გეალერსება.

ჩვენ შევსცქერით მთიულეთის მიდამოებს, საგვარეულოებს, მთიულთ მუშაობას და თვით მთიულეთშიც ვპოულობთ მრავალნაირ სურათებს. ერთფეროვნობას არა აქვს ადგილი.

უკვე შევდივართ მლეთის ხეობაში. გზა მიდის ზემოთ, მიდამოს ჰქვია ქვეშეთი. მლეთში ვართ დილის 7 ს. 20 წ. ყოფილი სადგური განადგურებულია. შენობა ინგრევა. სოფელი მლეთი მთის ფერდოზეა. მთაში მოსჩანს თითოოროლა სახლი კოშკებით სვანეთის მაგვარი. გავცილდით მლეთს, იწყება დიდი აღმართი გუდაურის გა-

[1]) გასული წლის აგვისტოში, პროფ. ალ. დიდებულიძის ხელმძღვანელობით მყინვარწვერზედ ავიდა საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიცია (18 კაცი), რომლის ერთ ერთი წევრის-მონაწილის დღიურიდან შემოკლებით ვბეჭდავთ მცირე ეთნოგრაფიულ ნაწილს.
რედაქცია.

დასავალზე, როგორც მას ეძახიან ჯვარის გადასავალზე, ანუ ჯვართაყელს.

მიხვეულ მოხვეულად მიდის გზა ზემოთ და ზემოთ. ნელნელა მიიწევს ჩვენი მავალა, ალმართი დიდია მასთანვე საშიში. ქვეშ რჩება მლეთი. ერთ ადგილას მავალა შევაჩერეთ. ანდრია გვიჩვენებს ლომისის ხატს, რომელიც მლეთის თავზე მაღლა მთაშია ამართული. მთიულეთში დიდი პატივისცემა აქვთ ლომისის. „ლომისის მადლმა"— ზირად გაიგებთ მთიულთ შორის. მაისში ლომისის დღესასწაულზე მთელი მთიულეთი, კვირით რჩება. იქ ხვდება ერთმანეთს მთელი მთიულეთი, ლომისი მათ აკავშირებს, აერთებს. ლომისის ეკლესია ძლივს მოსჩანს მლეთის მთაზე. კვლავ წინ მივიწევთ. არაგვის ხეობა სულ დაბლა გვრჩება. შიშით განაბულნი ვართ, უფსკრულის პირად მივდივართ. წინ მოჩანს მაღალი მთა, რომლის თავზე ალაგ-ალაგ თოვლია და მის ქვემოთ თეთრი არაგვის დასაწყისი. გავედით კაიშაურის ველზე, რომელსაც მარჯვნით დასცქერის ციხე „ცეცხლის ჯვარი" თავისი კოშკით ირგვლივ ველზე მოსახლეობაა ამ მიდამოებში საუკეთესო თივა მოდის. მთიულთ მოაქვთ რაღაც წნულები. გამოირკვა, რომ ეს არის თივის ქვეშ შესადგმელი ანუ საძირე. რომელზეც თივაა დადგმული და მხოლოდ დათოვის შემდეგ გამოამბავენ თოკით ულელს და მოასრიალებენ სოფლამდის. საერთოდ მთაში ამ საძირეს სათარს ეძახიან. მავალა (ავტომობილი) ზევით მიიწევს გუდაურისაკენ. გზა გზა გვხვდებიან მოცეკვავე ბავშები, რომელნიც მავალაში ბლუჯა-ბლუჯა ყვავილებს გვესვრიან, ჩვენც ფულებს უყრით. შევდივართ გუდაურში და ეჩერდებით დასანაყვრებლად. ვიშოვნეთ კვერცხი, რძე, ყველი. პური თან ბვქონდა. ვსაუზმობთ. დიდებული ყველია, თუთუნზე გავცვალეთ, ფულით არ გვაძლევდენ.

მლეთიდან გუდაურის სადგურამდის $14^{1}/_{2}$ კილომეტრია, მხოლოდ ტფილისიდან 123. თვით გუდაურში სიმაღლეზე 2200 მეტრია, ჰაერწნევა 589,5 მილიმეტრი, თბიერება კი 12,9 მენაკი (გრადუსი).

გუდაურში ავედით მლეთიდან $7^{1}/_{2}$ საათზე, გუდაურიდან გავსწიეთ გადასავალისაკენ სრულ $8^{1}/_{2}$ სათზე. კვლავ ახალი სანახაობები. გავდივართ ხელოვნურ გვირაბებში, რომელიც საგანგებოდ გაშენებულია გზაზე მთის. ძირას, რათა საშიშ ადგილებზე მთებიდან ჩამოწოლილი ზვავი გვირაბის სახურავით პირდაპირ უფსკრულში გადავიდეს შორს, ძლიერ დაბლა, სადაც იწყება არაგვი; უკვე თვალს ვერ უწვდენთ და გადახედვისას გულიც გვიძგერს. ასეთი გვირაბები გავიარეთ ხუთი. ერთთან შევჩერდით, სწორედ იმ ადგილს, სადაც გვირაბიდან გამოსვლისას ერთი შოფერი თავის მავალათი რამოდენიმე წლის წინად პირდაპირ უფსკრულში გადაჩეხილა. საშინელი გადასახედია.. თვალუწვდენი სიღრმე. მივიწევთ წინ, გამოჩდა ჯვარის გადასავალი. საყარაულო სახლთან, სადაც ქვაზე წარწერა გვამცნევს, რომ ჯვარის ულელტეხილზე ვართ, შევჩერდით რამოდენიმე წამი, სანამ ჩვენმა წევრებმა აამუშავეს ხელსაწყოები. სიმაღლე ულელტეხილზე 2332 მეტრის ტოლია, ჰაერწნევა 570. მარჯვნით მოჩანს ორასი მეტრის მანძილზე ჯვარი. გუდაურიდან გადასავალამდე ანუ ჯვართაყელამდე ვიარეთ ნახევარი საათი. 9 საათი იყო სრული, ჯვართაყელზე რომ შევჩერდით. აქედან კი გადასახედია მოხევეთა მიდამოებისაკენ, საითკენაც რამოდენიმე წუთის შემდეგ დავეშვით, დავეშვით ვაშას ძახილით, ალფრთოვანებით, იმ კუთხისკენ, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგმა საქართველოს გააცნო.

**ი. ახლანიშვილი.**

# რევოლიუციონერი.

I.

როდესაც ქარი ქუჩის ბაქანზე
ტიროდა როგორც ობოლი ლირი,
ვარსკლავთა კრებაც არ სჩანდა ცაზე
და ღამე ტოკდა სულ განაწირი;
მაშინ ნესტიან მიწის სარდაფში
მშობიარობდა სნეული ქალი.
ნავთი არ ედგა ცოდვილს ლამფაში
და მფლობელ ბნელეთს ვერ სჭვრტდა თვალი;
დახეულ ძველმან ქვეშაგებიდან
ისმოდა კვნესა, ზმუილი მწარე;
გადმოსდიოდა ქალს თვალებიდან
წამების ცრემლი, ცრემლი მდუღარე;
გაპობილ ბაგეს სწყდებოდა წყევა
და საყვედური, მდურება ბედის:
ო, რისთვის გაჩნდა ამ ქვეყნად ევა
და მძიმე ტვირთი საცოდავ დედის?!
ჰუჰყიან ბალიშს თმები ფარავდა
და წყვილი ძუძუ მკერდს შესჭკნობოდა,
გვამის ტკივილი გულსა სარავდა
დ[illegible]ივით ქალი დნებოდა;
შრომით დაღლილი კუთხეში ქმარი
გულ დაისრული უმზერდა სნეულს;
გარედ მრისხანედ წიოდა ქარი
და აწყდებოდა ფანჯრებს დამტვრეულს.
მაღლა სართულში ვიღაც როიალს
კლავიშს ამტვრევდა ვნებით დამთვრალი,
და ფანჯარიდან ფოთლების სრიალს
უმზერდა ნაზად ჰანგით დამტკბარი.
და დაებადა ბავშვი კრულ დედას
საშო დამწვარმა ამოიგმინა,
თან დააყოლა ბავშვს გულის სევდა
და გაბზარული შავ-ბედის მინა.
ბედკრულ ცხოვრების ჩანჩქერის ჩქერას
ბავშვი ტირილით მიესალამა;
ამცნო სიცოცხლის მწარ-ტკბილი მღერა,
ქარმა კარები დაუკაკუნა.

II.

დადის ქუჩაში სახე დამჭკნარი,
დაოგნებული და ფეხშიშველი,
სიცხე-სიცივით კანგადამწვარი,
ტანზედ აცვია ხალათი ძველი;
და ქუჩა-ქუჩა გამვლელს გამომვლელს
უწვდის ტირილით პაწია ხელებს,
არვინ იკითხავს ხელის გამომწვდელს,



გიორგი თაზიშვილი
სახ. თეატრის მსახიობი. გარდაიცვალა ფილტვების ანთებით,

თბილი იაზმით ინესტავს თვალებს;
და ბნელ კუთხეში გულ-ამომჯდარი
ქანც მილეული უძახის დედას,
ვინ გააგონებს, დედა ჰყავს მკვდარი
და უსუსურ გულს დაუჭრის სევდა.
ლამაზად ჩაცმულ ბავშვებსა ხედავს,
როს მიჰყვებიან ტიტინით დედას,
თვალს გააყოლებს გულს ნაღვლით რეწავს
და ახლოს მისვლას მათთან ვერ ბედავს.
არ ახსოვს დედა, იცის, რომ ჰყავდა,
რომ მის შობაში დალია სული
და იმის შემდეგ სიმშილი სწვავდა.
დარჩა ობოლი, ბედ დათუთქული
და ბნელ სარდაფში კუჭით მშიერი
ბრუნდება მარტო ღონე მიხდილი;
ბავშვს არ ახარებს ბედი ცბიერი
და თავის ჩვრებზე მოუვა ძილი.

III.

ქუჩა სავსეა. ხალხი მღელვარებს
და წითელ დროშებს აჭანებს ქარი;
მისი შრიალი ყველას ახარებს,
თავისუფლების გუგუნებს ზარი.
იქ ბრძოლა არის ბარიკადებზე,
მებრძოლ გმირების სისხლი იღვრება
და ყუმბარები სკდება სახლებზე,
და მტრის ბანაკი ძლევით ირღვევა;
ფეხს ვერ აუქცევ დახოცილ გვამებს;
შიში იტაცებს სისხლის მსმელ სვავებს.
და ბარიკადზე მკერდ გაღეღილი
ვიღაც გადმოდგა მედიდურ სახით,
სასტიკ ბრძოლაში ხმალ გატეხილი,
მებრძოლთ ამხნევებს მძლე მჭექარე ხმით;
თავ განწირული ეკვეთა თვის მტერს,
„თავისუფლება", ყვიროდა რიგში;
დიდი სვეტები აეგო შავ მტვერს,
ფეხი სხლტებოდა ნაგუბარ სისხლში.
ბარიკადაზე გასკდა ყუმბარა
და გმირი მოსწყდა მკერდ გაპობილი,
კორიანტელმა არე დაჰფარა,
ქინმორეული რაზმი წყობილი.
„თავისუფლება", გაისმა გრგვინვა
და გამარჯვების დროშა გაშალეს,
მას შეუერთდა დაჭრილთა გმინვა,
დამარცხებული მტერი დამალეს....
ბნელი სარდაფის ობოლი შვილი
გულ ალმა მწოლი მზეს შესცინოდა,
უცივდებოდა მკერდი გასვრილი
და მისი გვამი მზესაც მოსწონდა.

ი. ჭარელი.

# ქართული თეატრის სეზონი.

1923—1924 წლის სეზონი ქართული თეატრის განახლების ერად ჩაიწერება დრამატიული ხელოვნების ისტორიაში. გარდა იმ შესანიშნავ დადგმებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსული სეზონის განმავლობაში კ. მარჯანიშვილის თაოსნობით, მოხდა დიდი ისტორიული ფაქტი, სრულიად უჩვევი ქართული თეატრის ცხოვრებაში. ახალგაზრდა მსახიობთა კოლექტივმა, კორპორაცია „დურუჯის“ სახელწოდებით, სასტიკი ომი გამოუცხადა ძველ დახავსებულ თეატრალურ ტრადიციებს და საზოგადოების წინაშე გადაშალა ახალი პერსპექტივები ქართული ეროვნული თეატრის აღორძინებისა. თეატრს ძველი გზით სიარული არ შეეძლო. ცხოვრება ელვის სისწრაფით მიდის წინ. საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურა ძირიანად იცვლება. ასეთ დროს თეატრი ვერ შერჩებოდა მე-XIX საუკუნის ფორმებს. ძველი თეატრი მოკვდა თავის თავად, მაგრამ მის ჭირისუფლებს ენანებოდათ მისი დამარხვა. კორპორაციამ თავზე იდო ისტორიული მოვალეობა გარდაცვლილი თეატრის დასაფლავებისა. ამას მოყვა აგრეთვე შედეგად მსახიობთა კავშირის გათიშვა. ასე დამთავრდა წარსული სეზონი.

1924—25 წ. სეზონის დასი შესდგა მაისის ბოლო რიცხვებში. დასში შევიდა 21 ახალგაზრდა სახელმწიფო ინსტიტუტ (ქართული სტუდია) დამთავრებულნი. განახლებული დასი ივლისის შუა რიცხვებში გაემგზავრა მანგლისში საზაფხულო მუშაობის საწარმოებლად მომავალი სეზონისათვის.

მუშაობდენ რეჟისორები: კ. მარჯანიშვილი და ალ. ახმეტელი. მუშაობა სწარმოებდა $1\frac{1}{2}$ თვეს, რის შემდეგ დასი დაბრუნდა ტფილისს. ამ ხნის განმავლობაში მზადდებოდა სამი პიესა, „ლატავრა“ ორიგინალური პიესა სანდრო შანშიაშვილის, „ვინძორის მხიარული ქალები,“ შექსპირის და „შპიგელმენშ“ („კაცი სარკიდან“) ვერფელის. წაკითხულ იქნა აგრეთვე „მისტერია ბუფ“ მაიაკოვსკის, რომლის დადგმა განზრახულია აგრეთვე ახლო მომავალში.

ლატავრა არის ხალხის სიწმინდის და იდეალის გამომსახველი. იგი უყვართ სამს ძმა რაინდს იდეალურად: გურამს, ზექარს და რატის. მათი ქვეყანა გარდაქცეულია ქვეყნიურ სამოთხედ, სადაც ნასახიც კი აღარ არის ჩაგვრის და მონობის. აზიელ ბატონს ასეთი ქვეყანა მოსვენებას არ აძლევს. მას სურს მისი დაპყრობა და ლატავრას ხელში ჩაგდება.

შემოესევა მტერი, მაგრამ მისთვის თავდადებული სამი ძმა, ლატავრას სიყვარულით გამხნევებულნი, შეებრძოლებიან მტერს და დაამარცხებენ. გამარჯვების ზეიმის დროს Incubus, ბატონისგან შემოჩენილი, ცხოვრების ბოროტ ზრახვათა სიმბოლო, შეძლებს ძმებში ჩამოაგდოს უთანხმოება მათს შორის პირველობის ნიადაგზე. რატი გარბის ლატავრას დაუძინებელ მტერთან მრისხანე ჩინგიჩართან, რომ მისი დახმარებით თავისი ძმები დაამარცხოს და ლატავრა ერთმა ჩაიგდოს ხელში. ორი ძმა: გურამ და ზექარ მარცხდებიან, მაგრამ ვერც რატი აღწევს თავის მიზანს. იდეალური სახელმწიფო დაინგრა. ბოლოს ლატავრას ანთავისუფლებს ხალხი. პიესა დაწერილია ლექსად.

„ვინძორის მხიარული ქალები“ ძველი კომედიაა. ეს კომედია ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს მისი განსახიერება ახალ ხაზებში.

ყველაზე უფრო აღსანიშნავია ჩემის აზრით მომავალ სეზონში ვერფელის „შპიგელმენშ“-ის დადგმა. პიესა ზედმიწევნით სცენიურია და მეტად შინაარსიანი. გადათარგმნილია გერმანულიდან სანდრო შანშიაშვილის მიერ. დაწერილია ექსპრესიონისტული სტილით. მოცემულია ძველი ფაუსტი ახალ სამოსელში. ფაბულა ცნობილია. ადამიანის შინაგანი ბრძოლა, გაორება... ბოროტის და კეთილის მუდმივი თანამგზავრობა ადამიანის არსებაში... მუდმივი ტრაგედია ადამიანის სულის. პიესაში მთავარი როლებია: თამალ, შპიგელმენშ და ბერი. თამალის როლს შეასრულებს—აკ. ვასაძე; „შპიგელმენშ“—გიორგი დავითაშვილი და ბერი—დავ. ჩხეიძე. პიესაში უამრავი ადგილებია ისეთი, სადაც რეჟისორს შეუძლია თავის ფანტაზია უმაღლეს წერტილამდე გაშალოს. მარჯანიშვილს განზრახვა აქვს „შპიგელმენშ“ დადგას პრიმიტიულ ხაზებში, რომ ყალბ და ხელოვნურ ეფექტებით არ დაიჩრდილოს უდიდესი შინაარსი პიესის. ასეთი მისვლა საკითხისადმი, ჩემის აზრით, სწორეა და იმედი გვაქვს მარჯანიშვილი ალ. ახმეტელის ენერგიულ შრომასთან ერთად დაგვანახვებს, რომ ძლიერ აზრის უბრალო ხაზებში მოცემა ისეთივე დიდი მიღწევაა რეჟისორისათვის, როგორც უბრალო პიესის ძლიერ ეფექტებით გამშვენიერება.

ახალი თეატრის მესვეურებს დიდი შრომა და უნარი სჭირიათ, რომ გაამართლონ თავისი გამოსვლა თეატრალური ხელოვნების განახლების მიზნით. არ არის საკმარისი გადმოისროლო ლამაზი ლოზუნგები, გამოუშვა მანიფესტები და დეკლარაციები. ყველაფერი ეს თავის დროზე კარგი იყო. მან მოახდინა აშკარა დიფერენციაცია საზოგადოებრივი აზრის თეატრის გარშემო. ბევრი ზედმეტი ხორცი მოაშორა სცენას, რომელსაც ჰქონდა კიდევ დიდი პრეტენზიები ახალი საქმის მოთავეობისა. ყოველ რევოლიუციას ახასიათებს ორი მთავარი მომენტი: მომენტი ნგრევის და მომენტი შენების! პირველი უფრო ადვილია, ვიდრე მეორე. ამ მეორე, მომენტის განსამტკიცებლად დასჭირდებათ ახალი თეატრის მესვეურებს დიდი დრო და ენერგია; საზოგადოება დიდის ინტერესით შეხვდა ამ სეზონს და უნდა გვჯეროდეს, რომ კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ქართული განახლებული თეატრი ამ სეზონშიაც იქნება მთავარი ფაქტორი ქართული კულტურის აღორძინებისა.

კომანდორი.

# ავტორიდან წიგნამდე.

როდესაც წიგნი გასცდება სტამბას, უპირველეს ყოვლისა, მას—განსაკუთრებული სიყვარულით ავტორი გადაფურცლავს. ყოველი სტრიქონი ავტორის სულის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო მთელი წიგნი მთლიანათ მისი შემოქმედების უშუალო ნაყოფია.

ამიტომ არის რომ მკითხველი ვიდრე შეუდგებოდეს წიგნის წაკითხვას, სხვაზე უწინ წიგნის ავტორს გაიგებს.

მაგრამ ავტორიდან მკითხველამდე არის მანძილი, რომელიც წიგნმა უნდა გაიაროს. ავტორის ხელნაწერმა ერთი ხანი უნდა დაჰყოს სტამბაში, იქ გასხეულება უნდა ჰპოვოს, რომ მკითხველ საზოგადოებას წიგნის სახით მისი წაკითხვის შესაძლებლობა მიეცეს.

ასოთ-ამწყობი არის ბეჭვდითი საქმის აგენტი, რომელიც სწორედ წიგნს აძლევს ფორმებსა და სხეულს და რომელიც მკითხველისთვის სრულებით უცნობია.

ბაზრისთვის გამზადებული წიგნის ყოველი ასო ასოთ-ამწყობის ხელშია გავლილი. ის წიგნის შექმნის პროცესის უშუალო მონაწილეა.

აწყობილი ხელნაწერის სისწორესა და სილამაზეზე კორექტორი ზრუნავს. ეს წიგნის პირველი ცენზორია, რომლის უდასტუროთ წიგნი მზის სინათლეს ვერ იხილავს. ის ისეთი გულისყურით კითხულობს დამზადების სტადიაში მყოფ წიგნს, რომ მისი ყურადღების ცენტრში გატარდება არა მარტო წერტილსა და წერტილს შორის ჩატეული აზრი, არამედ ყოველი ასო, სასვენი ნიშანიც კი. მას დავალებული აქვს ავტორის ინტერესების დაცვა სტამბაში და ზრუნავს დედანი და აწყობილი ერთმანეთის შესატყვისი იყოს.

ქართული წიგნი კორექტურის მხრივ განსაკუთრებულ პირობებშია. და უფრო განსაკუთრებულ პირობებში ქართული თარგმნითი ლიტერატურა, როდესაც ყოველი მთარგმნელი ენისა და მართლწერის საკუთარ კანონებს იცავს, ხოლო რედაქტორი ჟილაჟოა ბაბილონის გოდოლში გაერკვეს. ამ შემთხვევაში უკანასკნელად ენის სისწორისთვის კორექტორმა უნდა იზრუნოს.

ქართველი მკითხველიც კორექტურის მიმართ უპრეტენზიოა. ის არაა განებივრებული კარგი კორექტურით და ლამაზათ გამოცემული წიგნით. ჩვენს ბიბლიოგრაფიებში ნაკლები ყურადღება ექცევა წიგნის ამ მხარეს. ქართულ წიგნს არ ჩვევია შეცდომების გასწორებისთვის ცალკე ფურცელი.

ხელნაწერი იწერება ცალ გვერდზე. ეს საშვალებას აძლევს მეტრანპაჟს, რომ ხელნაწერი ასოთ-ამწყობებს შორის გაანაწილოს.

ხელნაწერი იწერება გარკვეულათ. ცუდათ დაწერილი ხელნაწერი შეცდომების მთავარი წყაროა. ამ მხრივ ავტორები განსაკუთრებულ დაუდევრობას იჩენენ. ამ დაუდევრობის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიყვანოთ ამერიკელი ასოთ-ამწყობების წერილი, რომელიც აღსავსეა ჰუმორით:

„ვიდრე არ შეგიძლიათ ბეჭდისა და კალმის ნაცვლათ წერისთვის სხვა საშვალების გამონახვა—მოერიდეთ მათ ხმარებას.

„ხელნაწერი შეიძლება ძალიან გარკვეულათ იქნეს დაწერილი, ეს კი ასოთ-ამწყობისა და რედაქტორის ყურადღების ძლიერ დაჭიმვას არ მოითხოვს.

„თუ გარემოებათა გამო იძულებული ხართ ბეჭდითა და კალმით სწეროთ, გადაფურცვლის დროს ნაწერს ნუ გააშრობთ. ეს ჩვეულება უკვე გადავარდა. თუ კლიაკსი დაუშვით, ამოსაშლელათ საკმარისია საკუთარი ენა.

„ამგვარათ შესაძლებლობა გეძლევათ მეტ სივრცეზე და თანაბრათ გააფართოვოთ კლიაკსი. ინტელიგენტური ასოთ-ამწყობი განუსაზღვრელ სიამოვნებას გრძნობს, როდესაც ოცამდე სიტყვას მაინც თვითონ გამოიცნობს, რომელთა ჩვეულებრივი წესით წაკითხვა შეუძლებელია. ჩვენი თვალით გვინახავს ასოთ-ამწყობები, რომლებიც აკლავდნენ თავს, რომ ასეთი ბუნდოვანი ადგილები გაერჩიათ. ამავე დროს ისინი მაგრათ იგინებოდენ, რაც მათი კარგი სულიერი განწყობილების მომასწავებელი იყო. ნუ ხმარობთ სასვენ ნიშნებს; ჩვენ დიდ სიამოვნებას გვგვრის, როდესაც ვიკვლევთ, თუ იქვენ რისი თქმა გინდოდათ. აგრეთვე ნურც ასომთავრულებს იხმართ, ამ საქმეს ჩვენ გავაკეთებთ. სულ ზედმეტია ლამაზათ წერა: უკანასკნელი პლებეის მოდგმის მაჩვენებელია და გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ თქვენ სადმე სასწავლებელი გაგითავებიათ. ცუდი ხელნაწერი დამწერის გენიალობის მაჩვენებელია. მრავალმა მწერალმა მხოლოდ ამით გაითქვა სახელი. ამიტომაც წერის დროს თვალები დახუჭეთ და რაც შეიძლება გაურკვევლათ სწერეთ. საკუთარ სახელებს განსაკუთრებულ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ვინაიდან ყოველმა ასოთ-ამწყობმა იცის მთელი ქვეყნის დედაკაცებისა და მამაკაცების სახელი და გვარი.

„ძალიან ხელსაყრელია ფურცლის ორსავე გვერდზე სწეროთ. თუ ორივე გვერდი დაწერილია და კიდევ რასმე ჩამატება გინდათ, შეიძლება დაწერილი გვერდის გასწვრივ კიდევ დასწეროთ.

„სიხარულით ცას ვეწევით, როცა ხელში ასეთი ხელნაწერი ჩაგვივარდება. უფრო გაგვიხარდებოდა, რომ ასეთი ხელნაწერის ავტორი სადმე ბნელ ქუჩაში შეგვხვდებოდეს".

ასეთივე მაგარი ირონიით შეუძლია ქართველ ასოთ-ამწყობს მიმართოს ყოველ ქართველ მწერალს.

საუკეთესო მაჩვენებელი იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა იყოს ასოთ-ამწყობსა და ავტორს შორის არის ა. შოპენჰაუერის წერილი, რომელსაც აქვე ვათავსებთ:

„ძვირფასო ასოთ-ამწყობო! ჩვენ ერთმანეთისთვის იგივე ვართ, რაც სული სხეულისთვის; ამიტომ მათს მსგავსათ, ჩვენ ურთი-ერთს დახმარება უნდა აღმოუჩინოთ იმ შრომის მნიშვნელობის შეგნებით, რომელიც ბატონ ბროკგაუზის (გამომცემლის) გულს გაახარებდა. ამ საქმისათვის ყველაფერი გავაკეთე, რაც ჩემგან იყო დამოკიდებული და ყოველი სტრიქონის, ასოსა და სიტყვის დაწერის დროს ვფიქრობდი თქვენზე—იმაზე, შესძლებთ თუ არა თქვენ დაწ ილის წაკითხვას. ახლა თქვენც ჰქენით ყველაფერი, რაც თქვენზეა დამოკიდებული. ჩემი ხელნაწერი არ არის დაწერილი ლამაზი ხელით. მაგრამ ის გარკვეულათაა დაწერილი. ჩემი შრომის ყურადღებით დამუშავებამ მოითხოვა ბევრი ჩამატება; ყოველი ჩამატების დროს გარკვეულათაა აღნიშნული სად უნდა ჩაემატოს. და ამ მხრივ თქვენ არავითარ შეცდომას არ დაუშვებთ, თუ ყურადღებით იქნებით და დარწმუნდებით, რომ ყველაფერი წესიერათაა, რომ საჭიროა მხოლოდ ყოველ ნიშნისთვის კიდურზე მონახოთ შესაფერისი სიტყვა. გთხოვთ მიაქციოთ სათანადო ყურადღება ჩემს მართლწერას და პუნქტუაციას და ნუ წარმოგიდგენიათ, რომ ამ მხრივ თქვენ მეტი გესმისთ, ვიდრე მე. ვიმეორებ: მე სული ვარ, თქვენ კი სხეული.

„თუ შეგხვდებათ წაშლილი სტრიქონი, კარგათ დაუკვირდით, ამ სტრიქონში რომელიმე სიტყვა ხომ არაა წაუშლელი. ნუ იფიქრებთ, რომ ჩემს მხრივ რაიმე დაუდევრობას ექნება ადგილი, თუ არ გინდათ ზედმეტი კორექტურული სამუშაო გაიჩინოთ. დამიხსენით კორექტურის ფურცლებზე შეცდომის გასწორებისაგან."

აშკარაა ხელნაწერისადმი ასეთი მზრუნველობის მეოხებით აცილებული იქნება მრავალი კორექტურული შეცდომა და კორექტორის მუშაობაც გაადვილდება, არც აზრის დამახინჯებას ექნება ადგილი და ამ ნიადაგზე ავტორის საყვედურებს კორექტორებისადმი. დაბოლოს ავტორი მატერიალურათაც არის დაინტერესებული შეცდომების სიმცირეში. საქ. მბეჭ. უკანასკნელ ყრილობაზე სტამბების გამგეებმა ცუდი ხელნაწერის მრავალი ნიმუ-



1. გამოცვალეთ ასოები.
2. სხვა შრიფტი. (უნდა იყოს წარწერილი კორპუსი ჩვეულებრივი).
3. გაფუჭებ. ასოები და სხვა შრიფტი.
4. გადაბრუნებული ასოები.
5. სიტყვების და ასოების გადასხმა.
6. გამოტოვებულია ასოები.
7. ნაწილობრივ შემცდარი სიტყვები.
8. სიტყვაა გამოტოვებული.
9. ფირფიტებზე დაყოფვა.
9. საჭიროა აბზაცი.
10. ასოს ამოგდება.
12. შეცდომითაა აწყობილი სიტყვა.
13. არაა საჭირო შპაციებზე დაყოფვა.
14. დააშორეთ სიტყვები.
15. მრუდე აწყობები გასწორეთ.
16. სიტყვები თანაბრათ არაა დაშორებული.
18. ერთი სიტყვა ორჯერაა აწყობილი.
19. ასოების გადასხმა.
20. დატოვეთ, როგორც არის. შეცდომით გაესვა ხაზი.
21. არაა საჭირო აბზაცი.
22. სიტყვები შეაერთეთ.
24. შეცდომაა გადატანაში.
25. სიტყვა დასვრილია.

კორექტურა ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შეცდომების გასწორებას, შემოკლებას და ყოველგვარ ცვლილებას დაბეჭდილ მასალაში, დაბეჭდილის დედახთან შედარების დროს. არის პირველი, მეორე, მესამე და კიდევ შემდეგი კორექტურა.

ჩვენს ჟურნალს აქვს სამი კორექტურა, თუ მანქანაზე შედარებას ცალკე კორექტურად ჩავთვლით. უმეტეს შემთხვევაში ყველა ქართულ გამოცემას ჩვენი ჟურნალის მსგავსათ სამი კორექტურა აქვს. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მეტი კორექტურაც. მაგ., ბროკგაუზის „ენციკლოპედიურ სიტყვარს" ექვსი კორექტურა აქვს. პირველ კორექტურაში არავითარი არსებითი ცვლილება არ უნდა შევიტანოთ და მხოლოდ დედანს შევადარებთ.

ში მიიტანეს და დაადგინეს კიდეც, რომ ავტორს მეტი გადაახდევინონ გაურკვევლათ დაწერილი ხელნაწერის აწყობისთვის.

ქართული ბეჭდითი საქმის პრაქტიკაში არის შემთხვევები, რომ უკვე აწყობილი წიგნი დაუშლიათ და ხელმეორეთ აუწყვიათ, ვინაიდან ავტორის მიერ ახალი გასწორებისა და ჩამატებების გამო, ხელმეორედ აწყობა უფრო ხელსაყრელი იყო.

სუფთა და გარკვეული ხელნაწერი გარანტიაა იმისა, რომ შეცდომების რიცხვი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, თუმც თავიდან არ იქნება საბოლოოთ აცილებული. წიგნის პირველი კორექტურა მაინც თვითონ ავტორმა არ უნდა გაასწოროს, თუგინდ ის გამოცდილი კორექტორიც იყოს.

ავტორი წიგნის შინაარსის ძაფს მიყვება, ის იდეის თანდათან გაშლას ადევნებს თვალს და მას შეუმჩნევლათ რჩება მრავალი წვრილმანი შეცდომა და ხშირათ აზრის აშკარა გადამახინჯება.

ის, ასე ვთქვათ, ობიექტიურათ ვერ წაიკითხავს წიგნს, იგი წიგნის გარეშე მკითხველად ვერ დარჩება. ასეთ შემთხვევებისაგან გამოცდილი კორექტორიც არაა დაზღვეული.

ხშირათ წაკითხვის დროს ვკითხულობთ არა იმას, რაც ნამდვილათ სწერია, არამედ იმას, რაც უნდა ეწეროს.

ეს მხედველობის აშკარა ილიუზიაა.

ილუსტრაციისთვის საკმაოა „დროშის" უკანასკნელი ნუმრის შემდეგი მაგალითი:

იბეჭდება ვ. გაფრინდაშვილის წერილი ვალერი ბრიუსოვზე. წავიკითხე წერილი. ჩემს მეხსიერებაში მტკიცეთ აღიბეჭდა გარდაცვლილი პოეტის სახე. იქვეა ბრიუსოვის პორტრეტი. ვკითხულობ სურათის წარწერას. სწერია: „ვალერი ბრიუსოვი, რომელიც გარდაიცვალა პარიზში". აშკარა შეცდომა ყველას თვალში გვეცა და „პარიზს" ვასწორებთ „მოსკოვად". ამ წარწერას წაიკითხავს ერთი, მეორე., გამზადებული გვერდები მანქანაზე მიაქვთ დასაბეჭდათ. შემთხვევით ერთი თანამშრომელი კიდევ წაიკითხავს წარწერას და აღმოჩნდება, რომ „ვალერი ბრიუსოვის" მაგიერ სწერია „ვალერი **ბარბიუსი**". ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი ასეთი შემთხვევაა ჩვენი ჟურნალ-გაზეთების კორექტურის სწორების დროს, როდესაც მასალები საჩქაროთ სწორდება, რომ ჟურნალის გამოსვლა არ დაგვიანდეს.

ასეთი მოვლენა მშვენივრათ აქვს ახსნილი ჯემსს: „ვინც რომანებისა და გაზეთების კითხვაში არის გაწვრთნილი, უეჭველია, ვერ შესძლებს ჩქარ კითხვას, რომ თვითეულ ასოს უკვირდებოდეს, ან თვითეულ სიტყვას, მათი ათვისების მიზნით. ნახევარზე მეტს სიტყვებს ისინი შეავსებენ საკუთარ აზრიდან, ხოლო ნახევარს იღებენ იქიდან, რაც დაბეჭდილია. რომ სხვანაირათ იყოს და წაკითხვის დროს ყველაფერს ვამჩნევდეთ, მაშინ კარგათ ნაცნობ სიტყვებში კორექტურულ შეცდომებს არ დავუშვებდით. ბავშვები, რომელთაც ჯერ კიდევ იდეები არ აქვთ გამომუშავებული, რათა ერთი მოსმით აითვისონ სიტყვები, კითხულობენ შეცდომათ, ე. ი. ისე როგორც დაბეჭდილია. უცხო ენებზე დაწერილ წიგნებს ვკითხულობთ მით უფრო ნელა, რაც ნაკლებათ გვესმის წიგნის შინაარსი და იოლათაც ვამჩნევთ შეცდომებს. ამიტომაც ლათინურ და ებრაულ წიგნებში უფრო ნაკლები

შეცდომები იპარება, ვიდრე ჩვენს ენაზე დაწერილ წიგნებში". და სხ.

ამას დავუმატებთ, რომ იმ წიგნში, რომელსაც მარტო ავტორი ასწორებს, შეცდომაც მეტი გაიპარება.

კორექტორი უნდა იცნობდეს ბეჭვდის ტეხნიკას. ტეიბლის აზრით „კორექტორი უნდა იყოს სწავლა-დამთავრებული ასოთ-ამწყობი, „ვინაიდან მხოლოდ განსწავლული და განათლებული სტამბის მუშაკი, რომელსაც აქვს აუცილებელი გრამატიკული ცოდნა და მეცნიერული მომზადება და აღჭურვილია აგრეთვე მახვილი მხედველობით, შეიძლება იყოს კარგი კორექტორი. ამაში პრაქტიკამ დამარწმუნა".

ბევრი ჩვენი კორექტორი ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ეს საკითხი ქართულ პრესაშიც იყო ადრევე დასმული და გამოითქვა აზრი კურსების დაარსების შესახებ, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, არავითარი კურსები არ დაარსებულა.

კორექტორებს აქვთ გამომუშავებული გასწორების წესები და ნიშნები. ქართულ კორექტურაში განმტკიცებულია ადათით, რომ შემცდარ სიტყვასა და ასოს წაშლიან და ხაზით გამოიტანენ ფურცლის კიდურზე. საერთოდ კი მიღებულია არა ხაზი, არამედ განსაკუთრებული ნიშნები. შეცდომებს ასწორებენ ფურცლის მარჯვენა გვერდზე, თუ მისი არე საკმარისია შეცდომის გასწორებისთვის.

არსებობს შემდეგი კორექტურული ნიშნები:

გასასწორებელი ასოები წაიშლება და მარჯვენა მხარეზე თავისუფალ არეზე იწერება სწორე ასო. თუ სტრიქონში რამდენიმე შეცდომაა, თვითეული მათგანი განსაკუთრებული ნიშნით აღინიშნება (იმ შემთხვევაში თუ შეცდომები ფურცლის ნაპირზე ხაზით არ გაგვაქვს).

სიტყვა, რომელიც სხვა შრიფტით უნდა აიწყოს, წაიშლება და ახალი შრიფტის სახელწოდება აღინიშნება.

წამხდარი და სხვა შრიფტის ასოები წაიშლება და კორექტურის კიდურზე დაიწერება იგივე ასო, ხოლო ქვეშ პატარა ჯვარი გაუკეთდება.

გადაბრუნებული ასოები წაიშლება და კიდურზე გამოტანილი ხაზის ბოლოში დაიწერება ნიშანი √.

ასოების და სიტყვების გადასხმა აღინიშნება ნიშნებით ⌒ ან ⌐⌙, რომელიც გადასხმის წესს გვიჩვენებს.

ასოს გამოშვება შემდეგნაირათ გასწორდება: წაიშლება მეზობელი ასო და კიდურზე დავწერთ, როგორც წაშლილ, ისე გამოტოვებულ ასოს.

ნაწილობრივ შეცდომებით აწყობილი სიტყვა გასწორდება შემცდარი ასოების წაშლით და კიდურზე საჭირო ასოების აღნიშვნით.

გამოტოვებული სიტყვა აღინიშნება ნიშნით და კიდურზე მის გვერდით დაიწერება გამოტოვებული სიტყვა.

რომელისამე სიტყვის ფირფიტებზე დაყოფისთვის სიტყვას ხაზი უნდა გაესვას, კიდურზე პორიზონტალურ ხაზს გავიმეორებთ, რომელსაც ვერტიკალური ხაზებით გადავჭრით.

გამოტოვებული აბზაცი სტრიქონის დასაწყისში აღინიშნება ტექსტსა და კიდურზე ნიშნით [.

ზედმეტი ასოები წაიშლება და კიდურზე განსაკუთრებული ნიშანი დაიწერება, რომელიც გვიჩვენებს, რომ ზედმეტი ასო უნდა ამოვარდეს.

დამახინჯებულათ აწყობილი სიტყვა წაიშლება და მათს მაგიერ კიდურზე დაიწერება მკაფიოთ და გარკვეულათ სწორე სიტყვა.

თუ სიტყვებს შორის მანძილი არაა დარჩენილი, მათ დააშორებენ ნიშნით და იგივე ნიშნები დაიწერება განუმარტებლათ კიდურზე.

შეცდომით ფირფიტებზე დაყოფილ სიტყვებს ტალღისებური ხაზი გაევლება და იგივე ხაზი კიდურზე განმეორდება.

გამრუდებულ სიტყვებს გაესმება ორი ჰორიზონტალური ხაზი და იგივე განმეორდება კიდურზე.

არათანაბრათ დაშორებული სიტყვები შემდეგნაირათ გასწორდება. ფართო ხარვეზი —**U**, ვიწრო **Z**, რომელნიც კიდურზე განმეორდებიან.

გაცვეთილ ასოებს ქვეშ გაესმება ნიშანი |____|, კიდურზე ეს ნიშანი განმეორდება წერტილებით.

სტრიქონებს შორის სიგმანის გამორჩენა განსაკუთრებული ნიშნით აღინიშნება.

სიტყვების ადგილების გადასანაცვლებლად დავაწერთ მათ ახალი რიგის მაჩვენებელ ციფრებს და გავიმეორებთ ამ ციფრებს კიდურზე.

სტრიქონებს შორის ზედმეტი სიგმანისთვის განსაკუთრებული ნიშანი არსებობს.

ზედმეტი სიტყვა წაიშლება და ეს ტექსტსა და კიდურზედაც აღინიშნება.

თუ რამდენიმე სიტყვა გამოტოვებულია, ეს აღინიშნება კიდურზე, ხოლო თუ ბევრი სიტყვაა ჩასამატებელი, უნდა დავსწეროთ. „იხ. დედანი".

კორექტორის მიერ შეცდომით წაშლილ სიტყვებს გავუკეთებთ წერტილებს, რასაც კიდურზეც აღვნიშნავთ.

როდესაც საჭირო არაა აბზაცი, ამას განსაკუთრებული ნიშნით აღვნიშნავთ.

სიტყვის შეცდომით დაშორებული ნაწილები შეერთდებიან ნიშნით ⊤, რომელსაც კიდურზეც დავსწერთ.

დასვრილ ასოებს ქვემოთ წერტილებს დავუსვამთ, რასაც კიდურზეც გავიმეორებთ.

შეცდომით გადატანილი სიტყვის კანონიერ გადატანისთვის არსებობს განსაკუთრებული ნიშანი.

ესაა კორექტურის მთავარი წესები. პრაქტიკის დროს ამ წესებისაგან გადახრა შეიძლება საქმის დაუზიანებლათ.

როდესაც კორექტორი უკანასკნელად გაასწორებს კორექტურას, ის ზედ წააწერს: „გასწორდეს და დაიბეჭდოს"; ამ დოკუმენტს ჩაიბარებს სტამბა ყოველ შემთხვევისთვის, ვინაიდან საყვედურების და პრეტენზიების შემთხვევა ხშირია ავტორისაგან.

ასეთ გძელ გზას გაივლის ხელნაწერი, ვიდრე ის წიგნის მაღაზიების ვიტრინებში გამოჩნდება.

**ნ. წულუკიძე.**

# მეფეზე ნადირობა

ამა წლის 6 სექტემბერს შესრულდა ორმოცდახუთი წელიწადი მას შემდეგ, რაც „ხალხის უფლების“ პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა იმპერატორს ალექსანდრე მე II-ს სიკვდილით დასჯის განაჩენი დაადასტურა.

დიდის მეცადინეობის შემდეგ ეს განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქმნა მხოლოდ 1 მარტს 1881 წელს.

აი, რამდენიმე ეპიზოდი მეფეზე ნადირობისა.

„ხალხის უფლების“ პარტიამ პირველად ასეთი გეგმა შეიმუშავა: როცა მეფე კრიმიდან პეტერბურგს დაბრუნდებოდა, რკინის გზის ლიანდაგი უნდა აეფეთქებინათ.

ეს უნდა მომხდარიყო ოდესის მახლობლად. რკინის გზის ლიანდაგს ყუმბარებიც ჩაუწყეს, ქელიაბოვი და ოკლადოვსკი ელოდებოდნენ მეფის მატარებლის მოახლოვებას. მოუახლოვდა კიდეც, მაგრამ აფეთქება ვერ მოახერხეს, რადგან, როგორც შემდეგ გამოირკვა, თურმე ელექტრონის მავთული ერთ ალაგას შემთხვევით გაწყვეტილიყო.

განზრახული მიზანი მაინც სისრულეში უნდა მოეყვანათ. კომიტეტის მონდომილობით ალ. მიხაილოვმა დაათვალიერა მიხაილოვის და მოსკოვ-კურსკის რკინის გზა ადგილი ამოარჩია სადგურ „მოსკოვიდან“ სამის ვერსის დაშორებით, სადაც უნდა მოეწყო მეფის მატარებლის აფეთქება. იყიდეს კონანოვიდან სახლი ლევ გერტმანმა და სოფია პეროვსკაიამ ყალბის პასპორტებით.

ამ სახლიდან გაიყვანეს გვირაბი (ხვრელი) რკინის გზის ლიანდაგამდე 600 არშინი. სამუშაო მეტად მძიმე იყო, მაგრამ მაინც დააბოლოვეს, აფეთქება უნდა მომხდარიყო ელექტრონის საშუალებით. ყუმბარაში ჩადეს ფუთნახევარი დინამიტი. შირიაევს უნდა აეფეთქებინა, ხოლო პეროვსკაიას ნიშანი მიეცა.

მოახლოვდა მეფის მატარებელი. ნიშანი მიეცა. მაგრამ შირიაევი დაიბნა, აფეთქება დააგვიანა და მხოლოდ მეორე მატარებელს უსწრო, სადაც მეფის ამალა იყო. მსხვერპლი არ ყოფილა.

მესამედ ოდესაში შეეცადნენ. მაგრამ აქაც საქმე განუხორციელებელი დარჩა.

მეოთხეთ მუშა დურგალი სტეფან ხალტურინი მეფის სასახლეში ვითომდა სამუშაოდ მივიდა. ნამდვილად კი კომიტეტისგან მას დავალებული ჰქონდა მეფის ოთახის აფეთქება იმ დროს, როცა მთელის ოჯახით სადილად ისხდებოდნენ. სტეფან ხალტურინმა ეს დავალება მოაწესრიგა. ააფეთქა ოთახი, სწორედ იმ დროს როცა სასადილოდ შედიოდნენ, მაგრამ ვერ აღმოჩნდა ყუმბარა საკმარისად ძლიერი. ზოგი დაიჭრა და ზოგი გარდაიცვალა 50 ჯარისკაცამდე მცველი. ხალტურინი მიიმალა მაღლა სართულის სასადილოში. მეფე თავის ოჯახით გადარჩა.

მეხუთედ შეეცადნენ თვით პეტერბურგში. ხიდი უნდა აეფეთქებინათ, როცა მეფე გაივლიდა, მაგრამ მოწყობილი საქმე აქაც ჩაიშალა. დანიშნულ ადგილზე მისვლა შეუგვიანდათ.

დაბოლოს კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ მეფის ეტლისთვის ხელით ესროლნათ ყუმბარები. 1 მარტს 1881 წელს მეფის ეტლს შეხვდნენ ეკატერინის არხთან. ყუმბარის მსროლელებს ველარსად წაუვიდათ შუაში მოტანებული ნადირი.

რისაკოვის ყუმბარამ ნაფლეთებად აქცია მეფის ეტლი, ხოლო გრინევიცკის ყუმბარამ მოკლა თვით მეფე.

# ნავთის ხელოვნური საშუალებით მიღება.

დედამიწიდან ნავთის ამოღება ყოველწლიურად მატულობს: 1857 წ. 275 ტონა ნავთი იყო ამოღებული, 1922 წელს კი 115.000.000 ტონა. ამერიკელ გეოლოგების გამოკვლევით ნავთის მსოფლიო მარაგი 80—90 წლის განმავლობაში სრულიად ამოიწურება, თუ ამ გვარად გაგრძელდა მისი ამოღება. ნავთს, როგორც ვიცით, ტეხნიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ნავთი და მისი პროდუქტები ფართოთ იხმარება შინაგანი წვის მმოძრავებში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საავტომობილო და საავიაციო საქმეში.

ვინაიდან ნავთი და მისი პროდუქტები წარმოადგენენ სათბობ მასალას, ნავთის შემცირება შეაფერხებს საავტომობილო მოძრაობას და ავიაციას. ნავთის შეცვლა სხვა მისგვარ თვისების ნივთიერებით ამ ჟამად წარმოადგენს რთულ საკითხს. ბუნებრივი ნავთის წარმოშობის შესახებ რამოდენიმე ჰიპოტეზა არსებობს, რომელთა შორის ყველაზედ მეცნიერულად დასაბუთებულია არაორგანიული ჰიპოტეზა, რომლის მთავარი წარმომადგენელი რუსი მეცნიერი მენდელეევია.

ჯერ კიდევ 1866 წელს ბენანმა და დედოუმ გამოსთქვეს აზრი, რომ დიდ ტემპერატურით წყლის ორთქლისა და ნახშირბადის ურთიერთ მოქმედებით წარმოიშვება ნავთი და რომ პროცესი ვულკანიურ მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. ბერტელო ამტკიცებდა ნავთის წარმოშობის შესაძლებლობას ნახშირის ანგიდრიდისაგან, მწვავე ლითონებისაგან და წყლის ორთქლისაგან. ეთანხმება რა დევის შეხედულებას, რომ დედამიწის გულში არის დაუჟანგებელი მწვავე ლითონები, ნახშირის ანგიდრიდთან ერთად, იძლევიან ნახშირბადგვარ ლითონებს და ეს უკანასკნელნი კი წყლის ორთქლთან ერთად-აცეტილენს, რომელიც, თავის მხრივ, გადაჭარბებულ წყალბადთიან ერთად, დიდ დაწოლილის ზეგავლენით, წარმოშობენ სხვა ნახშირწყალბადებს. მართლაც ბოსონმა მაღალ ტემპერატურით მიიღო ნახშირის წყალბადები (რომელნიც ნავთს ძალიან მიაგავან) წყლის ორთქლისა და ნახშირის ანგიდრიდის რკინაზე მოქმედებით. კანტ-ლაპლასის კოსმოგონიური ჰიპოტეზა, დედამიწის ხვედრი წონა, მეტეორიტების შედგენილება და სხვა მოსაზრებანი მენდელეევს აძლევდენ შეძლებას ის დასკვნა გამოეყვანა, რომ დედამიწის ღრმა ნაწილებში არის მძიმე ლითონების მარაგი, განსაკუთრებით ხალასი რკინისა; დიდ ტემპერატურის პირო-

---

[1]) მეტეორიტების ქიმიურ ანალიზისაგან მიღებულ შედეგებით პროფ. პ. მელიქიშვილი ადასტურებს ნავთის არაორგანიულ წარმოშობის ჰიპოტეზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებში ნახშირგვარ რკინაზე დედამიწის ნაპრალებიდან გასული წყალის მოქმედებით, მენდელეევის აზრით, მიიღება ნავთის დასაწყისი.

უკანასკნელი ცნობით გერმანელ მეცნიერებს ფიშერსა და ტროპშის მიუღიათ ხელოვნური ნავთი მათი საშუალება მენდელეევის ჰიპოტეზის პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენს თანამედროვე ლაბორატორიის ტეხნიკურ პირობებში. ფიშერი და ტროპში მთავარ გამოსავალ მასალად იღებენ **წყლის აირს**. ეს აირი მიიღება ნახშირის ნაკვერჩხლებზეო წყლის ორთქლის გატარებით იგი შესდგება ნახშირბადის ჟანგისა და წყალბადისაგან და, ამგვარად, იგი შეიცავს ნავთისმაგვარ პროდუქტების ყველა ელემენტებს. გერმანელი მეცნიერნი წყლის აირს 150 ატმოსფერამდე ჰკუმშავდენ და განსაკუთრებულად დამზადებულ რკინის ნახერხში უშვებდენ, 400 – 500° ტემპერატურით. ამ პროცესის დროს თვით რკინა არ იცვლება, მხოლოდ იგი წყლის აირზე ჰმოქმედებს და მას სხვა ნივთიერებებათ გარდაჰქმნის, ამავე დროს, მიმღებში გროვდება სითხე, რომელიც შესდგება წყლისა და ზეთის მაგვარ შრეებისაგან. წყლის ორთქლთან ერთად გამოხდისას გამოიყოფა აქროლი ზეთი, რაც გამოცდის დროს —შინაგანი წვის მოტორის სამუშაოთ საუკეთესო აღმოჩნდა. აღმომჩენელებმა მას **„სინტოლი“** დაარქვეს. სინტოლის შეთბობით, დიდ დაწოლვაზე, მიიღება სითხე (რომელიც თავის თვისებით მოგვაგონებს ბენზინს) **სინტინი**.

ამგვარად ხელოვნურად ნავთი და ბენზინი მიიღეს, თუმცა უწინაც მიუღიათ ნავთისმაგვარი პროდუქტები, მხოლოდ მათ პრაქტიკული მნიშვნელობა ნაკლებათ ჰქონიათ და ტეხნიკაში არ გამოუყენებიათ. ფიშერისა და ტროპშის აღმოჩენის შესახებ ნაადრევი იქნება ითქვას, რომ იგი ცხოვრებაში დაუყოვნებლივ იქნება განხორციელებული, მაგრამ იმას ტეხნიკური იმდენი მრავალი უპირატესობანი აქვს, რომ მის წარმატების შესახებ ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ. რასაკვირველია ბევრი ტეხნიკური დაბრკოლებათა დაძლევა იქნება საჭირო, რათა სინტოლი და სინტინი ნავთის ბუნებრივ პროდუქტებთან შედარებით იაფად ჯდებოდეს, მხოლოდ ყოველ შემთხვევაში მას ბრწყინვალე მომავალი მოელის

ამ ახალი აღმოჩენის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა მეტად დიდია, თუ იგი განხორციელებული იქნება, ვინაიდან ნავთს ომისა და მშვიდობიანობის ხანაში დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი მსოფლიო პოლიტიკაში წარმოადგენს მთავარ პოლიტიკურ კვანძს, სადაც დიდი და პატარა სახელმწიფოების ინტერესებია გადახლართული. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკა ნავთის ალაგების მისაკუთრების გარშემო ტრიალებს და ამ აღმოჩენის ცხოვრებაში განხორციელებით ბრძოლა ამ საკითხის ირგვლივ შესწყდება.

**გ. ბარნაბიშვილი.**

# თეატრი და მუსიკა.

**რეპერტუარიდან მოხსნილი ოპერები.**

მოსკოვის დიდ თეატრის რეპერტუარიდან მოხსნილია შემდეგი ოპერები, „ტრავიატა“ „ფრიის ქალი“ თავადი სერებრიანი“, „ტრუბადური“ „თქმულება ქალაქ კიტეჟზე“, „პარსიფალი“ და „სალომეა“.

**„ლენინის ქალაქი“.**

ნ. ვინოგრადოვის და ს. სპასკის მიერ ოქტომბრის ზეიმისთვის ყოფ. ალექსანდრიის სცენაზე დასადგმელად დაიწერა ახალი პიესა: „ლენინის ქალაქი“

**ბაირეიტის დღესასწაულები**

ბაირეიტის დღესასწაულები (ვაგნერის ოპერების ციკლის დადგმა) დაიწყება მხოლოდ 1926 წლიდან. დაიდგმება „ნიბელუნგების ბეჭედი“ პარსიფალი“ და „ტანჰეიზერი“.

**ბერლინის დრამატიული თეატრები.**

ბერლინის დრამატიულ თეატრებში სეზონი უკვე დაიწყო. რეპერტუარი კლასიკურია: უმეტეს ნაწილათ იდგმება შექსპირი და შილლერი. დანარჩენ დრამატურგებიდან: ბრეხტი, ბარლახი, ბრონენი, კაიზერი და ბლიუმი.

**რეინჰარტის თეატრი.**

ბერლინში მოგზაურობიდან დაბრუნდა რეჟისორი რეინჰარტი. მან წელს ბერლინში დაიქირავა სამი თეატრი.

**კამერული თეატრი.**

მოსკოვის კამერულ თეატრში სეზონი გაიხსნება ოქტომბრის პირველ რიცხვებში ბ. შოუს პიესით „წმინდა ანნა“, რომელსაც სდგამს ტაიროვი.

**მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდია.**

მოსკოვის სამხატვრო თეატრის პირველ სტუდიამ სეზონი დაიწყო 25 სექტემბრიდან კალდერონის პიესით: „ქალი-უცნობი“.

**მოსკოვის მცირე თეატრში.**

მოსკოვის მცირე თეატრის მომავალი სეზონი ჩაბარებული აქვს ისევ ალ. სუმბათაშვილ—იუჟინს. რეპერტუარი — კლასიკებიდან არის შევსებული. შექსპირის პიესებიდან გადაწყვეტილია: „ანტონიუს და კლეოპატრას“ და „ოტელლოს“ დადგმა.

**ახალი ოპერა „სტენკა—რაზინი“**

კომპოზიტორმა ს. ბერშადსკიმ დასწერა ახალი ოპერა „სტენკა რაზინის“ სიუჟეტზე.

**თეატრალურ ტეხნიკოსის გამოგონება.**

ტეხნ. ტიტოვმა გამოიგონა თეატრალური ახალი ეფექტიური აპარატი, რომელიც პირველად გამოყენებული იქნება აკადემიური თეატრის სცენაზე მოსკოვში.

**ყოფილი ეკლესიები თეატრალურ მუზეუმებად.**

მოსკოვის აკადემიურ თეატრებთან არსებული ეკლესიები გადაკეთებულია თეატრალურ მუზეუმებად.

**ხელოვნების ნაწარმოებთა აღრიცხვა.**

რუსეთის სოც. ფედ. რესპ. განათლების სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მოახდინოს რესპუბლიკაში არსებული ხელოვნების ნაწარმოებთა სრული აღრიცხვა.

# ბიბლიოგრაფია.

## ადამიანის წარმოშობა.

**გრიგოლ გოგიბერიძისა.**

გრიგოლ გოგიბერიძის წიგნი დიდ დახმარებას აღმოუჩენს მკითხველს როგორც მეცნიერულად დასაბუთებული ნაშრომი ადამიანის წარმოშობის შესახებ.

ავტორს უხელმძღვანელია ცნობილი ავტორების მეცნიერული გამოკვლევებით და საკუთარი დაკვირვებითაც შეუდგსია თავისი წიგნი. ავტორი გადმოგვცემს სხვადასხვა ხალხის თქმულებებს ადამიანის წარმოშობის შესახებ. ეხება ბიბლიურ გადმოცემას, მოჰყავს მეცნიერთა შეხედულებანი—ლინეის კლასიფიკაცია, ლამარკის ევოლიუციონური თეორია, დარვინის თეორია, ჰექსლის აზრი, ცნობები პალეონტოლოგიური აღმოჩენისა, ჰეკკელის გენეოლოგია; ეხება ადამიანისა და ცხოველების სულიერ მოძრაობას: ალტრუიზმს სიბრალულის გრძნობას, ცხოველებისა და ფრინველების აღმოცხენილობით ნიჭს, მეტყველებას და ბოლოს გვაცნობს ერთ გერმანელ პროფესორის აზრს ადამიანის წარმოშობის შესახებ.

წიგნის ღირსებას შეადგენს შესაფერი მაგალითები, როგორიც ზემოხსენებულ მეცნიერთა ნაწარმოებიდან, ისე საკუთრივ ავტორისაც.

ასეთი პოპულარული შრომა სასურველი იყო რომ ყოველად უნაკლო ყოფილიყო.

სამწუხაროდ ეს არ ითქმის წიგნის სტილზე და მის ტეხნიკურ მხარეზე. წიგნში სათანადოთ არ არის დაცული აბზაცები, რის გამოც ერთ დამთავრებულ აზრს ზედვე მისდევს სულ ახალი აზრი და მკითხველი იბნევა, ნამეტნავად ჩვენი უბრალო მკითხველი. მაგალითად მე-50 გვერდზე ზევიდან, მე-5 სტრიქონი უეჭველად აბზაცით უნდა იწყებოდეს. აგრეთვე 54-ე გვ. ზევიდან მე-17 სტრიქონი, 57 გვ. მე 12-ე სტრიქონი და სხ.

სასურველია, რომ ამ საჭირო და ყველა გლეხის ოჯახისთვის საყვალდებულოდ შესაძენ წიგნში სტილი შესწორდეს მეორე გამოცემისათვის.

შეუწყნარებელია ასეთი ფორმები: „... რაც იყო მის საცხოვრებელ ადგილის რკალში მოქცეული, რაც არა ამას მისი აზროვნება ვერა სწვდება." (გვ. 4), „ან აუცილებლივ უნდა ენახა ან შორიდან უნდა დაენახა", „მიისროლიდენ უკან ქვებს" „პურის მოკვეთება", „პირველყოფილ სარწმუნოებას არ ჰქონდა დიდი ინტერესი, რათა თავისუფალი აზრისთვის რომ გზა აეხსნა", „ქურუმებმაც შეცდენ", „განათლებული ქალიშვილის შედარება ველურ ქალიშვილზე" „იუცუნა ბალნითაა შემოსილი" „ასეეეთაა", აქედან გამოსული ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ", „ამერიკელ მოწითალო შაშვის ბუდეს თავს დაესხა გველი" "ცოცხალმა ადამიანმა... მოვიდა".

ეს წიგნი, ამ სამწუხარო ნაკლის აშორებით, ყველა გლეხისა და მუშის ოჯახისათვის მეტად სასარგებლო შრომა იქნება.

**ნარკანი.**



ენგიბარ (ა. ხორავა).



ლატავრა (ვ. ანჯაფარიძე).

# ლენინგრადის

## სახელმწიფო ელექტრო-მანქანების სააღმშენებლო ტრესტი

# „ელმაშტრესტი“

ტფილისი, სოლოლაკის ქ. № 2, ტელეფ. 8—20.

## ყველაფერი ელექტროფიკაციისათვის:

სოფელი, ქალაქი, რკინის გზა და სამრეწველო წარმოებანი.

პროექტები, სმეტები, დადგმები, ტეხნიკური მეთვალყურეობა

## კონსულტაციები.

სპეციალურათ: გამოკვლევები, პროექტები, ჰიდრო-ელექტრონულ სადგურების მოსაწყობად.

სახელმწიფო ჰიდროტეხნიკური საამშენებლო

# კონტორა

# „გიდროსტროი“

სერგეევის ქუჩა, № 1.

# ასრულებს დაკვეთებს

გამოკვლევებს, პროექტებს და ხარჯთ-აღრიცხვებს,

აგრეთვე მელიორატიულ სამუშაოებს:

ჭაობების ამოშრობას, ხელოვნურად წყალის გაყვანას და მორწყვას.

ღრმა მანქანების ამოჭრას (არტეზიანის) მდინარეთა ნაპირების გამაგრებას და აგრეთვე ყოველნაირ ჰიდრო-ელექტრონის, წყალსაყვანის და კანალიზაციის გაყვანას

გარანტიით ტეხნიკურის მხრით და მსწრაფლ-დამზადების.

ტეხნიკური ექსპერტიზა და კონსულტაცია.

„კავგიდროსტროი“.

**ᲐᲮᲚᲝ** მომავალში შემოღებული იქნება სახელმწიფო ᲡᲐᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲝ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ, რომლის ძირითად მიზანს შეადგენს მეპატრონეთათვის ანაზღაურება იმ სხვა და სხვა ზარალის, გაფლანგვის და სხვა სისხლის სამართლის კოდექსით დასახელებულ მოქმედებათა, რომელსაც ჩაიდენენ მუშა-მოსამსახურენი სამსახურის ასრულების დროს.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო ამიერ-კავკასიაში, მისი კონტორები და აგენტები

# ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲓᲐᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐᲓ

**ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ:**

ტფილისში: სამმართველოს საოპერაციო განყოფილების მიერ (სოლოლაკის ქ. № 8.)

**ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ:**

ამ.-კავკ. სახელმ. დაზღვ. სამმართველოს კონტ. და სააგენტ. მიერ საქ. ტიპის დასახლებულ ადგილებსა და ქ ა ლ ა ქ ე ბ შ ი.

წარმომადგენლები ყველა საბანკო, სატრანსპ. და სხვა დაწესებ—ბში.

# ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡᲒᲐᲜ

შენობებს, ქარხნებს და სხვა ქონებას სახელმწიფოსას, კომუნალურის და სხვა დაწესებულებების, სამრეწველოებს, და აგრეთვე კერძო პირებისას.

**დაზღვევა ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.**

ამ.-კავკ. სახ. დაზღვევის სამმართველო აწარმოებს

დაზღვევას

**ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲝᲗᲮᲤᲔᲮᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ,**

ცხენებისა და ღორების სიკვდილისაგან, ყოველგვარი ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევების გამო რკინის გზებზე

გადაყვანის დროს,

**ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ ᲓᲐᲘᲖᲦᲕᲔᲕᲐ**

ღირებულების **ᲡᲐᲛᲘ** მეოთხედის რაოდენობით გაგზავნის ადგილზე, გადაგზავნის ღირებ. მიმატებით.

**ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲢᲕᲘᲠᲗᲡ** მათთვის დანიშნულ შენობებში, ნავთსადგურების საწყობებსა და რკინის გზის სადგურებში და სხ.

# ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ

1. **ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ** სხვა და სხვა ტვირთის, გაგზავნილის რკინის გზით, გზატკეცილით, ზღვით, მდინარით და ფოსტით. საქონელი შემოსაზიდი და გასაზიდი. 2. **ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲔᲑᲘ** ზღვის და მდინარის გემების (კასკო). ქურდობისგან და დაკარგვისგან და ყოველგვარი საქონელი, რომელიც დაზღვეულია მგზავრობის საფრთხისაგან რკინის გზებზე, ზღვით და ფოსტის გაგზავნით. დაზღვევა სიკვდილისა და უბედურ შემთხვევებისაგან მსხვილი ოთხფეხი საქონლის და ცხენების. სეტყვისაგან—ნათესის და სხვა მცენარეულობის კულტურების. **ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ** დაზღვევა: ა) ჩვეულებრივი (პერსონალური), სიკვდილის შემთხვევისაგან დაზღვევა და შერეული (სიკვდილი და განსაკუთრებული ჰასაკამდე მიღწევა) ვადით. წინასწარი საექიმო შემოწმების შემდეგ უეჭველი პასუხისმგებლობით. ბ) **ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ** (ჯგუფური) **ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ** საექიმო შემოწმების გარეშე უეჭველი პასუხისმგებლობით.

# ამიერ-კავკასიის

# რკინისგზის ეკონომიური განყოფილება აცხადებს,

## რომ

## კომერციული საგენტოები და ქალაქის სადგურები

შემდეგ ქალაქებში: ტფილისში, ბაქოში, მოსკოვში, ბათომში, განჯაში, თელავში, ევლახში და ზუგდიდში

## აწარმოებს შემდეგნაირ ოპერაციებს:

1. გაყიდვას სამგზავრო ბილეთებისას, ყოველ ხაზზე (სახლში მიტანით).

2. საწყობების ოპერაციებს.

3. ყოველგვარ კომერციულ ოპერაციებს.

4. სესხის გაცემას საქონელზე (როგორც გზაში მყოფ საქონელზე, აგრეთვე საწყობებში).

კომერციული აგენტები და ქალაქის სადგურები დიდ დახმარებას უწევენ კლიენტებს რკინის-გზის ტარიფის სარგებლობის დროს.

5. მიღებას, გაგზავნას და გაცემას საქონლისას.

6. გადატანას საქონლისას.

7. საქონლის ყიდვა-გაყიდვას კლიენტის დავალებით.

8. საბაჟოს, სააქციზოს და სხვა და სხვა გადასახადების მოვალეობას.

ზემო-აღნიშნული და სხვა სატრანსპორტო ოპერაციები სრულდება მინიმალურ საკომისიო გადასახადით.

# გლეხებისთვის ტანისამოსი.

საააქციონერო საზოგადოება.

## მთელი რუსეთის საკერავ მრეწველობის სინდიკატი.

ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილებანი:

**ბაქო**, ტროცკის და ფიოლე-ტოვის ქ., № 6—10. **ბაქო**.

**ტფილისის განყოფილება:**

რუსთაველის პროსპექტი, № 10, ტელეფ. 6—78

გახსნილია დიდი კოლექტიური კრედიტი მუშებისთვის და მოსამსახურეებისათვის

ბითუმათ ყიდვისად როს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისთვის შეღავათიანი პირობებია.

## „სინდიკატი"

**მიიღო ახალი სეზონისთვის დიდი პარტია საქონლის**

და აძლევს საშვალებას ყოველ მოქალაქეს ჩაიცვას

## იაფად და კოხტად.

საწყობებში იმყოფება საბითუმო და ცალობრივ გასაყიდი ტანსაცმელი.

ყოველნაირი პ ა ლ ტ ო ე ბ ი ქალებისთვის და კაცებისთვის,

როგორც შემოდგომის, აგრეთვე ზამთრის, კოსტუმები ქალის, კაცის და ბავშვების და ქალის კაბები. თავის მოსართავები, სპეც. და საწარ. ტანსაცმელი. ქალის და კაცის საცვლები.

ამ.-კავკ. საოლქო განყ. გამგე: ბაჟიევი. ტფ. განყ. გამგე: მ. ბ. შუშინი.

საზოგადოება

# „ჩემი"

მთავარი კონტორა

ტფილისი,

რუსთაველის პროსპექტი,

№ 23.

განყოფილებები

და სააგენტოები

ჰააგაში, სტამბოლ-

ში, ჭიათურაში, ფოთში,

ბათომში.

მონოპოლია

მონოპოლია

ჭიათურის

შავი ქვის გატანაზე

საზღვარგარეთ

ს. ს. ს. რ.

ტფილისის განყოფილება-წარმომადგენლობა:

რუსთ. პრ

**27**

13-42 ტელ.

ს. ს. ს. რ.

# აშენებს:

წისქვილებს,

სახერხებს,

კართოფ. სახლებს,

შაქრის ქარხნებს,

საარყებს,

**ზეთის** სახდელებს

და სხვათა.

მოსკოვის სახელმწიფო მანქანების აშენებლობის ტრესტი

# ქარხნაში ერთდებიან:

1. „მებრძოლი“ (ყ. გუსტავ, ლისტ, ბუტირსკი)
2. „წით. ჩირაღდანი“ (ყ. გუსტავ ლისტ, სოფიისკი)
3. წითელი პროლეტარიატი“ (ყოფ. ბრომლეი).
4. „კოტლოაპარატ“ (ყოფ. დანგაუერ და კაიზერ).
5. „კლიმოვსკი“ (ყოფ. მოსკოვის ამხ მეხანიკ. წარმომ.).
6. „პაროსტროი“ (ყოფ. ინჟ. ბარი).
7. „კრასნაია პრესნია“ (ყოფ. გრაჩევისა).
8. „პ რ ე ს ს“ (ყ ო ფ. ჟ ა კ ო).
9. „სერპი მოლოტ“ (ჩაქუჩი და ნამგალი) (ყოფ. გუჟონი).
10. ყოფ. „პირეიც და კომპ.“
11. „ყოფ. დობროვიხ და ანგოლც“.

აწყობს საქონლებს, ყოველნაირ სასწორებს

მოწყობა: წყლის და ნავთის

ამზადებს: ჩამოსხმას:

თუჯის, ფოლადის და სპილენძის

ჩამოსხმა: სარისხოვანი, თუჯის, თანახმად.

ფოლადი: რგვალი, მავთული, ლურსმანი, ბოლტები, ზაკლიოპ. ქვები, ცილები და სხ. იარაღი.

# ქარხნები ამზადებენ და შეაკეთებენ:

## მამოძრავებლებს

(დვიგატელ) დიზელს ლიცენმაიერს და სხ.

ორთქლის

## ქვაბებს

(პარავიკებს)

ყოველ. შეკეთებით

## წყლის ტურბინებს

სისტ. ფრენსისას და სხვ.

## წყლის საქაჩავებს

(ნასოსებს) ორთქლის, ცეცხლის-მქრობ მილებს და ხანძარის საქრობებს.

მოწყობა:

## წყლის და ნავთის

## კომპრესორებს.

დაზგებს, სტანოკებს მადნეულობის დასამუშავებლად, წისქვილებისთვის და სხვა.

## ტორფიანულ ვარნიტურებს.

საქსოვ. დაზგებს, ხელით ასაწევ მანქანებს, ლითონურ კონსტრ., სტროპილებს და სხ.

№ 107.

## სომხეთის ს. ს. რ.

პაიებზე. სახელმწიფო

# სავაჭრო

ამხანაგობა პაიებზე.

## „არმენტორგ“

გატანა სომხეთის პროდუქტების, შემოტანა, ყიდვა-გაყიდვა და მიღება საკომისიოდ ყოველგვარ

საქონლის

ცენტრ. სამმართველო ერევანში.

## განყოფილებები საბჭოთა ფედერაციის ყველა დიდ ქალაქში.

| ა. კ. ს. ფ. ს. რ. | სომხეთში. | რ. ს. ფ. ს. რ. |
|---|---|---|
| ბაქო, ტფილისი, ბათომი | ლენინკანი, სტეფანაკან, გერუსი, ელენოვკა, ნახჩევანი, შარურ, მეგრი, დარალაგეზ. | არმავირი, მოსკოვი, ლენინგრადი, როსტოვი დონზე. |

ქარხნები ერევანში: — ბამბის მწმენდავი, ბრინჯის მწმენდავი ; ნაწლავების დამამუშავებელი.

სამხრეთის ლითონის ტრესტი

# „იუგოსტალ“

# („ЮГОСТАЛЬ“)

## აერთებს შემდეგ ლითონის ქარხნებს:

იუზოვკის, პეტროვსკის, მაკეევის, ამხ. პეტროვსკის სახელობის (ყოფ. ბრიანსკის), ლენინის სახელობის (ყოფ. ბოდუარ), კარლ ლიბკნეხტის (ყოფ. გენტკე), მარიუპოლის, დნესტრის, დონის იურიევის ‎და სხვ.

## ქვანახშირის მაღაროებს:

იუზოვკის, პეტროვსკის, მაკეევის.

## ამზადებს:

თუჯს სხვადასხვას, ფოლადს სხვადასხვას, თუჯის ჩამოსხმას, ფოლადის ჩამოსხმას, რელსებს, ბოძებს და სხვ.

## რკინეულობას:

სხვადასხვა ხარისხის, საზორბლეს, სალტეებს, სარეზერვუაროს, თხელსა და სქელს, სახურავებისათვის და სხვა.

მავთულს: გრეხილსა და უბრალოს.

მილებს: თუჯისას, ფოლადისას, რკინისას.

## ლურსმანს:

ბოლტებს, ვინტებს, რკინისგზის ლურსმნებს.

აქვს კონტ. და წარმომადგენლ.:

მოსკოვის კონტორა—ქ. მოსკოვი, როსტოვის კონტორა—ქ. როსტოვი დონზე, დონის წარმომ. ქ. ბახმუტი, წარმ. ჩრდ.-დასავლეთ ოლქში—ქ. ლენინგრადი.

გამგეობის რწმუნებული და მთავარი კონტორა ამიერ-კავკასიისათვის: ტფილისი, ყოფილი სასახლის ქუჩა № 4

№ 105